# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 8 ივლისი, 2006 წელი.

№ 131 (5472)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika
ფასი 50 თეთრი.


# „დედა, ბიჭო, როგორ დამძიმებულა ვარდენის ქალიშვილი!..“

## ანუ რატომ „დამძიმდა“ და რანაირად იქცა „სამასი კაცი“ რამდენიმე ათასად





**– რომ არა ხელისუფლების სხვადასხვა შტოების წარმომადგენელთა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტის პროფესურის მოთხოვნა უბრალოდ სამარცხვინოა, რომ ამ მიტინგებს ძირითადად 20-ლარიანებით მოსყიდული სამასამდე კაცი მართავს და სხვა, რამაც უნივერსიტეტის ბაღში შეკრებილი ხალხი გააღიზიანა, პარლამენტისკენ დაძვრას სულაც არ ვაპირებდით, ჩავატარებდით აქციას და დავიშლებოდით, ორშაბათს კი ისევ შევიკრიბებოდითო, – ეუბნებოდა გზადაგზა აქციის ერთი მონაწილე ჟურნალისტებს.**

პარლამენტისკენ დაძვრამდე კი აქციის მონაწილეთა ყურადღების საგანი ორი საკითხი იყო: სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემკვეთთა დასჯა და უნივერსიტეტის ავტონომიის დაცვა.

**– ჩვენ გადავარჩენთ უნივერსიტეტს, ჩვენ დავსჯით სანდრო გირგვლიანის მკვლელებს, ჩვენ გადავარჩენთ ქართული ერის ღირსებას,** – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრმა ფიქრია ჩიხრაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიმდინარე აქციის მონაწილეებს.

როგორც ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მას ტვინის შერყევის დიაგნოზი აქვს, არ შეეძლო სახლში დარჩენილიყო და საკუთარი პოზიცია არ გამოეხატა. მისი თქმით, თანამდებობებს ვერ შეინარჩუნებენ ვერც ხუბუა და ვერც ვანო მერაბიშვილი. და თუ მათ ამის იმედი აქვთ, ქართულ საზოგადოებას არ იცნობენ.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ირაკლი წერეთელმა უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილ საზოგადოებას შეკითხვით მიმართა – დაიღალნენ თუ არა ისინი ამ აქციებით და სურთ თუ არა, რომ შეწყვიტონ საპროტესტო აქციები. ამაზე მომიტინგეებმა უარით უპასუხეს.

გარდა ამისა, ირაკლი წერეთელი გამოვიდა ინიციატივით, რომ შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, რომელიც საერთო ეროვნული კრების ჩატარებას უზრუნველყოფს.

ირაკლი წერეთლის განცხადებით, ისინი შეხვდებიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელიც ეროვნული კრების კანონიერებას დაამტკიცებს. ისინი შეაგროვებენ ასევე მილიონობით ხელმოწერას, რომლითაც საზოგადოება მიხეილ სააკაშვილის გადაყენების სურვილს დააფიქსირებს. „ძირს სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობის ტირანია“, – ამ სიტყვებით დაასრულა ირაკლი წერეთელმა თავისი გამოსვლა.

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნესტან კირთაძემ აქციის მონაწილეებს წინადადებით მიმართა, რომ პარლამენტის შენობისკენ დაძრულიყვნენ.

ამასთან, მან სთხოვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, რომ კორდონი გაეკეთებინათ მანიფესტაციის მონაწილეებისთვის და გადაადგილების დროს მათი უსაფრთხოება უზრუნველეყოთ.

აქციის მონაწილენი პარლამენტისკენ დაიძრნენ.

**ერთი კია – დედა, ბიჭო, როგორ დამძიმებულა ვარდენის ქალიშვილიო, – „უდიპლომო სასიძოდან“ დოდო აბაშიძის კინოგმირის წამოძახილისა არ იყოს, გუშინ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ნახსენები მომიტინგე „ოცლარიანებით მოსყიდული“ სულ რაღაც „სამასი კაცი“ უკვე რამდენიმე ათასად ქცეულიყო...**

მომავალი აქცია სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში ორშაბათს 5 საათზე გაიმართება.

**„ინტერპრესნიუსის“ მიხედვით**



# ნუ გავყიდით, მოვუაროთ საქართველოს!

# „ყველაფერში დამნაშავე შენ ხარ!..“

ანუ ტელეკომპანია „იმედი“, პოლიტიკოსთა ჯგუფი და სხვები, ვისაც, ნაციონალთა ლიდერების მტკიცებით, ვაკაჭის ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზირებით თუ ვიტყვით, იმედი აქვს, შანსი – არა!

იხ. მე-2 გვ.

# რატომ გაუფრინდა „რუსთავი-2“-ს ხოფერია?

იხ. მე-2 გვ.



# პრინციპები და ფსევდოპრინციპები, რომლებიც ქვეყანას ღუპავენ

იხ. მე-3 გვ.

# დონაძემ ჟურნალისტიც შეიწირა

იხ. მე-4 გვ.

# ოპოზიცია „რუსთავი-2“-ისთვის მუნჯია

იგი ამ ტელეკომპანიას „ხალხის მომტყუებელ და მოტყუებული ხალხის ტელევიზიად“, „შინაგან საქმეთა ერთ-ერთ განყოფილებად“ მიიჩნევს და ამიტომაც ეუზრება

იხ. მე-2 გვ.

დავა

# ვინ აუკრძალა ხელისუფლებას კომპრომისზე წასვლა?

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის – ყოფილი სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა ჟურნალისტის სახლში პრესკონფერენცია გამართეს. სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ივერი კაკუბავა, პროფესორი ზურაბ პაპასქირი, დოცენტები ეთერ ქაჯაია, ოთარ მიქიაშვილი, დავით ჩიტაია დედაუნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურნენ.**

მათი აზრით, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიღება მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. ხელისუფლება ვალდებულია რეფორმა ბოლომდე მიიყვანოს, მაგრამ ეს აღმასრულებელი ხელისუფლების უკანონო ექსპერიმენტების საშუალებით არ უნდა ხდებოდეს.

– მივესალმებით მომავალი სტუდენტების შერჩევის წესს, მაგრამ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი დარღვეულია იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია უმაღლეს სასწავლებელში მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა თანამდებობებზე გადაყვანაზე. გადაყვანის ნაცვლად კონკურსი დაინიშნა, ამ ფორმით ჩატარებას მივიჩნევთ კანონდარღვევად. კანონში აშკარად ხარვეზია. უნივერსიტეტის მოვლენები სამართლებრივი სივრციდან არ უნდა გამოვიდეს. ამიტომ ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა კანონში ამ ხარვეზის აღმოფხვრაა. უნივერსიტეტი უავტონომიოდ ვერ იარსებებს და ამ მხრივ მუშაობა უნდა დაჩქარდეს, – თქვეს სტუმრებმა.

მათ მიუღებლად მიაჩნიათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გია ხუბუას მიმართ დაუმსახურებელი ეპითეტების გამოყენება, ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი მას რატომღაც დიდ ნაკლად უთვლის... სოხუმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულობას.

ფილიალის პროფესორ-მასწავლებლებმა გია ხუბუას სამეცნიერო მიღწევებზე და მის პიროვნულ თვისებებზე ილაპარაკეს, მას მიღებული აქვს ტრადიციული ქართული საუნივერსიტეტო განათლება. იმავდროულად, კარგად ესმის, თუ რა არის თანამედროვე, ევროპული განათლების სისტემა. არც მის პატრიოტიზმში შეიძლება ეჭვის შეტანა: მან თავის თავზე იწვნია აფხაზეთის ომი. 1993 წლის სექტემბერში ის თბილისიდან სოხუმში ჩაფრინდა, ალყაშემორტყმულ ქალაქში ლექციების წასაკითხად. შემდეგ, როცა სოხუმი დაეცა, სხვა დევნილებთან ერთად გაიარა გოლგოთის გზა.

სამწუხაროა, რომ ბატონ გია ხუბუას უნივერსიტეტში ხელმძღვანელობა იმ დროს მოუწია, როცა ახალი ღირებულებები მკვიდრდება, რეფორმა წინააღმდეგობას აწყდება, მაგრამ მისი აზრით, სწავლების ახალი სტანდარტების დამკვიდრებას ალტერნატივა არ გააჩნიაო, – თქვეს.

ფილიალის პროფესორ-მასწავლებლებისთვის მიუღებელია უნივერსიტეტის დაპირისპირების პოლიგონად ქცევა, რადგან კონფრონტაცია ყოველთვის ქაოსს იწვევს. მათ უნივერსიტეტის საქმეში პოლიტიკოსების ჩარევაც გაუმართლებლად მიაჩნიათ. მათი აზრით, ორივე მხრიდან უნდა შეირჩნენ განათლების რეფორმის სპეციალისტები, ამ საქმეში ჩახედული ადამიანები და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, კონსულტაციებით, კომპრომისებით, დიალოგით დადგინდეს ჭეშმარიტება.

ამ აზრის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ დიალოგს გაფიცული პროფესორ-მასწავლებლები თავიდანვე ითხოვდნენ. სამწუხაროდ, ხელისუფლება, თუნდაც განათლების სამინისტრო არანაირ კომპრომისზე არ წავიდა და, ვითარების დაძაბვის მიუხედავად, არც ახლა აპირებს წასვლას...



**თამარ შაიშმელაშვილი**

რეაქცია

# „ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!..“

**ანუ ტელეკომპანია „იმედი“, პოლიტიკოსთა ჯგუფი და სხვები, ვისაც, ნაციონალთა ლიდერების მტკიცებით, ვაკაჭის ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზირებით თუ ვიტყვით, იმედი აქვს, შანსი – არა!**

**სანდრო გირგვლიანის მკვლელების სასამართლო პროცესი, სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენები, „რუსთავი-2“-დან წასვლის თაობაზე ეკა ხოფერიას მიერ ღია ეთერში გაკეთებული განცხადება, ამის გამო გუშინ გამართული პრესკონფერენციები... ძირითადად ეს იყო მიზეზი „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში გუშინ გამართული საგანგებო პრესკონფერენციისა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გიორგი არველაძემ, მაია ნადირაძემ, ნინო კალანდაძემ და გიგა ბოკერიამ.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ გიორგი არველაძემ საქართველოში რევოლუციური განწყობის დანერგვაში პოლიტიკოსთა ჯგუფი და ტელეკომპანია „იმედი“ დაადანაშაულა.

მისი თქმით, პოლიტიკოსთა ნაწილი და ბადრი პატარკაციშვილის ტელევიზია ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა მაქსიმალურად აირიოს და რევოლუციური განწყობა შეიქმნას – ტელევიზია ორი დღის განმავლობაში საზოგადოებას მასობრივი გამოსვლებისკენ მოუწოდებდაო, განაცხადა მან.



– მინდა, ვუთხრა მათ, რომ ასეთი მეთოდები განწირულია წარუმატებლობისთვის. ქართული საზოგადოება ხედავს, თუ რა ხდება სინამდვილეში. ხდება ის, რომ ეს ჯგუფი მზად არის, ნებისმიერი ადამიანის უბედურება, ნებისმიერი არსებული თუ არარსებული პრობლემა საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოიყენოს და რეიტინგი მოიხვეჭოს. ჩვენ, როგორც ხელისუფლება, მათ ამ ისტერიას მშვიდად ვადევნებთ თვალყურს, – განაცხადა არველაძემ.

მისი თქმით, ხელისუფლების კურსი მყარი და პრინციპულია. ხელისუფლებას დიდი პასუხისმგებლობა აქვს აღებული სამშობლოს და ერის წინაშე.

„ჩვენ გვაქვს დიდი მიზნები და ამ მიზნების განსახორციელებლად ყველანი ვართ ერთად და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ იმას, რომ ვინმემ თავს მოგვახვიოს რაიმე სახის ასეთი ინსცენირებული პროვოკაცია“, განაცხადა არველაძემ.

იგივე აზრისანი იყვნენ პრესკონფერენციის სხვა მონაწილენიც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ნებისმიერი ამგვარი მცდელობა მარცხისთვის არის განწირული. გიორგაძის ოცლარიანებით მოსყიდული სამასიოდე მომიტინგე აღებული კურსიდან ვერ გადაგვახვევინებსო, – აცხადებდნენ პრესკონფერენციაზე...

**„ინტერპრესნიუსის“ მიხედვით**

ბოიკოტი

# ოპოზიცია „რუსთავი-2“-ისთვის მუნჯია

**იგი ამ ტელეკომპანიას „ხალხის მომტყუებელ და მოტყუებული ხალხის ტელევიზიად“, „შინაგან საქმეთა ერთ-ერთ განყოფილებად“ მიიჩნევს და ამიტომაც ეუბრება**

**„რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა ტაბატაძის პრესკონფერენციას, რომელიც მან არხიდან ეკა ხოფერიას წასვლას მიუძღვნა, ოპოზიციურმა პარტიებმა „ახალი მემარჯვენეების“ ოფისში პრესკონფერენციითვე უპასუხეს, სადაც მათ „რუსთავი-2“-ისთვის ბოიკოტის გამოცხადების გადაწყვეტილება მიიღეს.**

„მემარჯვენეთა“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ მას მერე, რაც „რუსთავი-2“-ის ეთერში 6 ივლისს მოხდა (ხოფერიას განცხადება წასვლის შესახებ, აშკარაა, რომ ეს ტელეკომპანია ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ იმყოფება და ამიტომაც ყველა ოპოზიციონერი მასთან ყოველგვარ ურთიერთობას წყვეტს.

ოპოზიციონერებმა ნიკა ტაბატაძის იმდღევანდელი პრესკონფერენციიდან დაასკვნეს, რომ „რუსთავი-2“ არჩეული კურსიდან გადახვევას არ აპირებს და იგი შინაგან საქმეთა ერთ-ერთ განყოფილებად რჩება.

ამიტომაც დღეიდან არც ერთი ოპოზიციონერი „რუსთავი-2“-ის ინტერვიუს აღარ მისცემს, გადაცემაში მონაწილეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამის დემონსტრირება ოპოზიციონერებმა გუშინვე მოახდინეს, როცა ბრიფინგის დასრულების შემდეგ „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტს ინტერვიუზე ცივი უარი სტკიცეს.



**მანუჩარ მეგრელიშვილი**

„თავისუფალი თემა“ – ცხელი თემა

# რატომ გაუფრინდა „რუსთავი-2“-ს ხოფერია?

**ხელისუფლებას თავზე ხელი აქვს აღებული და აღარაფერზე იხევს უკან: მისი ეს ყველაფრისმკადრებლობა ბოლო დღეებში იმდენად აუტანელი გახდა, რომ სინდისის ქენჯნამ თვით ამავე ხელისუფლებისთვის გუნდრუკის მკმეველი ტელეკომპანიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და დამფუძნებელი ეკა ხოფერიაც კი შეაწუხა.**

თოქ-შოუ „თავისუფალი თემის“ წამყვანმა ლამის მთელ საქართველოს გაკვირვებისგან ყბა



მაშინ ჩამოუგდო, როცა ამ არხიდან წასვლის თაობაზე განცხადება გადაცემის მსვლელობისას, პირდაპირ ღია ეთერში გააკეთა.

ხოფერიამ არხის დატოვების მიზეზიც იქვე ახსნა.

მისთვის მიუღებელი დათა ახალაიას მიერ წამოყენებული პიროვნება აღმოჩნდა. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს ეკასთვის უთქვამს, შენს გადაცემაში იმ შემთხვევაში ჩავერთვები, თუ ბოლო სტუმარი მე ვიქნები და ჩემს შემდეგ არავის ალაპარაკებო.

ხოფერია ამაზე არ წავიდა.

ხუთშაბათ ღამეს მან თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია და პოლიტიკური შეხედულებაც თამამად გამოხატა:

**– როცა ქვეყანაში სანდრო გირგვლიანის მკვლელობა ხდება, მიმაჩნია, რომ მინიმუმ შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა გადადგეს. ეს ჩემი ბოლო გადაცემაა ჩემს არხზე. მე მივდივარ აქედან,** – გამოაცხადა და სტუდია დატოვა.

ამის შემდეგ „რუსთავი-2“-მა მაუწყებლობა რამდენიმე წუთით შეწყვიტა.

გუშინ კი ამ ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნიკა ტაბატაძემ ეკა ხოფერიას არხიდან წასვლას საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა.

**– ჩემთვის, როგორც არხის გენდირექტორისთვის, ხოფერიას გადაწყვეტილება სრულიად მოულოდნელი იყო,** – განაცხადა „კურიერის“ ყოფილმა წამყვანმა და ხოფერიაზე არხის ხელმძღვანელობის მხრიდან ყოველგვარი ზეწოლა გამორიცხა.

**– გადაცემის მზადების პროცესში ეკა რამდენჯერმე დამიკავშირდა, მაგრამ ჩვენი საუბარი მხოლოდ თოქ-შოუს სცენარს შეეხებოდა, რომელშიც მე არანაირი კორექტივი არ შემიტანია. უბრალოდ ჩვეულებრივი მსმენელის როლში ვიყავი,** – ირწმუნება ნიკა ტაბატაძე, რომლისთვისაც ეკა ხოფერიას ახალაიას მიერ დაყენებული პირობაც გაუცვნია და იქვე დაუმატებია: მე ამ პირობის დაცვას არ ვაპირებ, ახალაია რომ ილაპარაკებს, ამის მერე გირგვლიანების ოჯახისა და სანდროს მკვლელების ადვოკატების კომენტარი უნდა გავუშვაო.

**– ეკა არის ჩემი მეგობარი, „რუსთავი-2“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელმაც შექმნა ძალზე მნიშვნელოვანი რამდენიმე გადაცემა და საქართველოში ყველაზე გავლენიანი და მაღალრეიტინგული თოქ-შოუ. იმედი მაქვს, რომ იგი ჩვენთან თანამშრომლობას გააგრძელებს. მე ველაპარაკე მას და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეკა მზად არის კვლავაც ჩვენთან თანამშრომლობისთვის.** – თითქოსდა ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, „რუსთავი-2“-ის გენდირექტორი, მაგრამ აშკარაა, რომ მას წყნარად ყოფნის საფუძველი ნამდვილად არ აქვს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხოფერიას წასვლა და თან ასე ხმაურიანად, ტელეკომპანიის პრესტიჟს უეჭველად დაარტყამს.

და მეორე. ავ ენებს თუ ვენდობით, ტაბატაძესა და ხოფერიას შორის უკვე დიდი ხანია შავმა კატამ გაირბინა და გენდირექტორი საინფორმაციო ხელმძღვანელის არხიდან გაშვებას მაინც აპირებდა, უბრალოდ ეკამ დაასწრო და კარი გამოიჯახუნაო.

ნიკა ტაბატაძის პრესკონფერენციის დასრულებიდან ერთ საათში „რუსთავი-2“-ის ეზოში პრესისთვის განცხადება თავად ეკა ხოფერიამ გააკეთა:

**– მინდა, რამდენიმე კომენტარი გავაკეთო ჩემს 6 ივლისის გადაცემასთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმ განცხადებასთან, რომელიც პირდაპირ ეთერში გავაკეთე, არანაირი კავშირი არ ჰქონია არხის ხელმძღვანელობას, მის გენდირექტორს ნიკა ტაბატაძეს. მას გადაცემის მსვლელობაზე არანაირი მითითება არ გაუცია.**

**გადაცემის თემის სიმწვავიდან გამომდინარე, მინდოდა, რომ თოქ-შოუ მაქსიმალურად ობიექტური და დაბალანსებული ყოფილიყო. ამიტომ მთელი დღის მანძილზე მხარეებთან მოლაპარაკებას ვაწარმოებდი.**

**ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან რამდენიმე მოთხოვნა წამოვიდა, რის შედეგადაც იცვლებოდა სტუმართა შემადგენლობა. ვინ რომელ ბლოკში უნდა ყოფილიყო და ა. შ.**

**რაც უფრო ახლოვდებოდა საღამო, სატელეფონო კავშირი მქონდა რამდენიმე თანამდებობის პირთან, რომლებიც მოთხოვნებს აყენებდნენ, რომ ახალაია მარტო უნდა ყოფილიყო, დარბაზიდან არ უნდა გახმიანებულიყო არანაირი რეპლიკა და მას უნდა დაესრულებინა გადაცემა, რაც ჩემთვის მიუღებელი იყო.**

**მინდოდა, როცა დათა ახალაია ლაპარაკს მორჩებოდა, მას შემდეგ პირდაპირი ჩართვით განცხადება გოგა ხაინდრავას გაეკეთებინა. ჩემი აზრით, ეს გადაცემის ძალიან კარგი დასასრული უნდა ყოფილიყო, რადგან ხაინდრავა იქნებოდა ნეიტრალური სტუმარი, რომელსაც თავის პოზიცია აქვს გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, სახელისუფლო გუნდის წევრია.**

**გადაცემის დაწყებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე დამირეკა რამდენიმე ადამიანმა და მითხრა, რომ დათა ახალაია მარტო უნდა ყოფილიყო. მე მივხვდი, რომ პირდაპირ ეთერში გოგა ხაინდრავას ველარ ჩავრთავდი და მივიღე ის გადაწყვეტილება, რაც ყველამ მოისმინა,** – განაცხადა ეკა ხო-



ფერიამ, რომელმაც კვლავ გაიმეორა, რომ ვანო მერაბიშვილის გადადგომა აუცილებელია.

მან გადაწყვეტილად იცის, რომ „თავისუფალ თემას“ აღარ წაიყვანს, რადგან **„აბსოლუტურად მიუკერძოებელი ჟურნალისტია და ხელისუფალთა დირექტივების შესრულებას არ აპირებს“.**

ეკა ხოფერიამ გუშინ აღიარა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გადაცემის მსვლელობაში ჩარევა პირველი არ ყოფილა, მაგრამ მხოლოდ ახლა მიიჩნია საჭიროდ ამის საჯაროდ გახმაურება.

**– აწი დავჯდები და თქვენს მიერ მომზადებულ რეპორტაჟებს ვუყურებ,** – დაუბარა კოლეგებს ხოფერიამ, ტაქსი გააჩერა და სახლში წავიდა.

**ჯაბა ხუბუა**

## ◉ კვირის თვალსაწიერი

# პრინციპები და ფსევდოპრინციპები, რომლებიც ქვეყანას ღუპავენ

**ეს, აწ უკვე გასული კვირა ძალზე მძიმე და ძნელი იყო ქვეყნისთვის.**

**სანდრო გირგვლიანის მკვლელთა გასამართლება და თბილისის უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები მაქვს მხედველობაში.**

**პირველი, რაც ამ წუთში თავში მომივიდა, ეს შეგონება გახლავთ: სხვა ვერ გიზამს იმას, რასაც შენ უზამ საკუთარ თავს.**

**ანუ, ვერარა მტერი ვერ დაგიშავებს იმდენს, რამდენსაც შენ დაუშავებ შენს თავს („მტერი მტერსა ვერას ავნებს, ოდენ კაცი თავსა ივნებს").**

**ჩვენს ხელისუფლებას ვგულისხმობ ამ „საკუთარ თავში".**

მე მესმის, რომ მას აქვს თავისი პრინციპები, რომელიც აუცილებლად უნდა გაატაროს.

მაგრამ არის პრინციპი და არის ფსევდოპრინციპი.

ჩვენმა ხელისუფლებამ მშვენივრად იცის მათ შორის განსხვავება.

**პრინციპია:** შავი ზღვისპირეთის შემორჩენილ მონაკვეთზე, აჭარაში, თითქმის ყველა, 22 სასტუმრო ყაზახებს მიჰყიდო და ყური გამიხედნო, შთამომავლობისთვის ვზრუნავო.

**ფსევდოპრინციპია:** იმ სასტუმროებიდან ნილზიანი სპეცმუტრუკების შესევით ისეთი წივილ-კივილით გამოყარო უბედური დევნილები, რომ ქვეყნიერებას თვალები დააჭყეტინო და გაფაციცებული მოსკოვი და სოხუმი შენზე აციგნო.

**პრინციპია:** საჯარო სამსახურში 40 წელზე უხნესი კაცი არ გინდოდეს, ტვინი სულაც ყურებიდანაც რომ გადმოსდიოდეს.

**ფსევდოპრინციპია:** ყბადაღებული რეფორმირების ალმით უწყება-დაწესებულებების ისე ჩარაზვა, რომ შიგნით ბუზი ვერ შეფრინდება და რომც შეფრინდეს, ამბავს ვერ გამოიტანს, რადგან იმ შიგნით თვითონაც არ იციან რას აკეთებენ და არც შეუძლიათ რამის გაკეთება.

**პრინციპია:** რუსეთს, საჭიროა თუ არა, დედ-მამის სული აგინო, აიმხედრო და მერე უკმაყოფილო დარჩე, ჩემი მეგობარი რატომ არ არისო, აი ისე, დედაბერი ქარს რომ უშვებდა და თან წყრებოდა.

**ფსევდოპრინციპია:** ერაყიდან სხვებს თავისი ჯარები გამოჰყავს, შენ კი იმით ტრაბახობ, მე ყველაზე მეტი ჯარისკაცი მყავს იქო.

**პრინციპია:** შინაგან საქმეთა სამინისტრო გააჯეჯილო და ყველას თავზე წამოასვა, რადგან შენი ყოფნა-არყოფნა ვანო მერაბიშვილის ფხიზელ ერთგულებაზე ჰკიდია. და რაკი ბატონ ვანოზე ჰკიდია, მასაც საზოგადოება ფეხებზე ჰკიდია და ბულტერიერივით ჩაფრენია მინისტრის სავარძელს.

**ფსევდოპრინციპია:** ხალხი აყაყანო და წამდაუწუმ ქუჩაში გამოიყვანო, იმიტომ, რომ სასამართლო სასამართლოს არ ჰგავს, იმიტომ, რომ თბილისის უნივერსიტეტი ხელის ბიჭად გინდა გაიხადო...



ოღონდ, ეს პრინციპები და ფსევდოპრინციპები ისეა არეული ერთმანეთში, გარკვევა გიჭირს, რომელი რომელია, ან, საერთოდ, რა „პრინციპებია" ეს.

მე პირადად ნამდვილად არ მესმის, რატომ ჭრის ხელისუფლება თავისი ხელით იმ ტოტს, რომელზეც ზის, რისთვის სჭირდება ყოველ წუთში ვულკანზე დგომა, რატომ აღრმავებს ნაპრალს მასა და ხალხს შორის და გაუგებარი დაჟინებით ამზადებს ახალ რევოლუციას, რომელიც, თუ ასე გაგრძელდა, აუცილებლად იფეთქებს. სავარაუდოა, რომ იგი სულაც არ იქნება „ვარდების რევოლუციის" მსგავსად უსისხლო და უმსხვერპლო, რადგან იმედი არ მაქვს, რომ შევარდნაძესავით ესენიც იარაღს არ გამოიყენებენ.



სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე ავიღოთ.

თავი დავანებოთ იმას, რომ ეს სასამართლო სასამართლოს მეტს ყველაფერს ჰგავდა, ისევე როგორც აქამდე ჩატარებული სასამართლოების უმრავლესობა. მთავარი ის არის, რომ არც გამოძიებამ და არც სასამართლომ არ გამოამზეურა მკვლელობის შემკვეთნი.

შეიძლება იმ შემკვეთთ მაინცდამაინც მკვლელობა სულაც არ შეუკვეთიათ, მაგრამ ის ხომ უთხრეს (დაურეკესძ უშუალო შემსრულებლებს, გაიყვანეთ და ცხვირპირი დაუნაყეთო. თორემ რა გამოდის: ალანია სახლში იჯდა, თავისთვის წიგნს კითხულობდა, უცებ წამოხტა, თავისი ხალხი შეყარა, „შარდენ ბარისკენ" გაქანდა, პირველსავე ორ გამომსვლელს ხელი სტაცა და ოქროყანის სასაკლაოს გაუყენა? **იყვნენ ეს შემკვეთები!** ერთ-ერთ შემკვეთ-შემსრულებელი (მელნიკოვიძ ბოლოს დაასახელა კიდეც თვითმხილველმა და დაზარალებულმა ბუხაიძემ.

რატომ გადაეფარა ხელისუფლება ასე გადარეულად შინაგან საქმეთა სამინისტროს უფრო მაღალი ჩინის მოხელეებს, ვიდრე ალანია და სხვა მკვლელები იყვნენ, რატომ არ ითქვა სიმართლე, რატომ სხვებიც არ მიუსვეს გვერდში განსასჯელებს?

**თუ ბატონ ვანო მერაბიშვილს გაუფრთხილდნენ მადამ მინისტრშას გამოისობით, ამაოდ დაშვრნენ, რადგან ჯერ ერთი, ქალბატონი თაკო შეიძლებოდა მაინც მშრალად გამომძვრალიყო ამ საქმიდან იურისტთა მწყობრი თავდადების მეოხებით, მეორეც, მან ქმარს ციხეში წაუსვლელადაც მოსჭრა თავი ეპოლეტებიან რეგვენებთან ერთად იმლამინდელი ქეიფით, მესამეც, მინისტრს და მის უწყებას მუნდირი ისედაც დაულაქავდათ ამ საზიზღარი მკვლელობით.**

ასე რომ, პირველი ოთხეულისთვის მეორე ოთხეულიც რომ მიესვათ გვერდით, ის ლაქა ისევ იმავე ზომისა დარჩებოდა, რადგან საზოგადოებამ თავიდანვე ერთ მთლად აღიქვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს სიკვდილის ბრიგადა — არა მხოლოდ ოთხი, არამედ რვავე!

ჰოდა, ახლა განვსაზღვროთ, მინისტრისა და დანარჩენი ოთხის თავგამოდებული დაზოგვა ხელისუფლების მხრიდან პრინციპია თუ ფსევდოპრინციპი?

ცნობილია: მოჭადრაკე შეგნებულად შეწირავს ხოლმე ამა თუ იმ ფიგურას, რათა მეფე დაშამათებას გადაარჩინოს, ან ტემპი მოიგოს. ახლა სწორედ ის დროა, პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა ვანო მერაბიშვილი სიტუაციის გადარჩენას შესწირონ. ეს შეწირვა სწორედ ზევიდან უნდა მოხდეს, თორემ თვით მერაბიშვილი, იმ სავარძლიდან, ნაჯახით თუ ამოჩეხავ, თორემ თავისით არ წავა. ისე, ყველა ლოგიკის მიხედვით, სწორედ თავისით უნდა წასულიყო ამ ამბების შემდეგ, რომელმაც მთელი საქართველო ფეხზე დააყენა.

**მერედა, ულირდა ამ ჩვენს „პრინციპულ" ხელისუფლებას ეს გაუგებარი მფარველობა იმ ლანძღვა-გინებად, იმ ზიზღად, რაც უხვად გადმოანთხია ხალხმა მის მიმართ სასამართლოს მსვლელობისას და მის შემდეგ, რასაც მთელმა საქართველომ უყურა და უსმინა ტელევიზიით?**

**ან იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ყველაფერი უკვე დამთავრდა? სამართალში მიცემული (?!ძ ირაკლი კაკაბაძის ხელიდან გავარდნილი „კვერთხი" გაერთიანებულმა ოპოზიციამ აიტაცა და სავარაუდოა, რომ ასე იოლად არ შეეშვება.**

მოხდა ხელისუფლებისთვის კიდევ უარესი რამ. სასამართლოდან წამოსული აბობოქრებული საპროტესტო ტალღა უნივერსიტეტის მდუღარე მორევს შეუერთდა და ცარგვალი კიდევ უფრო საავდროდ ჩაამუქა.

**უნივერსიტეტი...**

აქ კიდევ ერთხელ უნდა დავსვა კითხვა, ზემოთ რომ დავსვი: ის, რაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება და მრისხანე ექოდ ეფინება მთელ ქვეყანას, ულირდა ხელისუფლებას თავის რეფორმისტულ „პრინციპად"?

რატომ შეჯდა ჯორზე ხელისუფლება, რას თხოულობს ის ხალხი ასეთ მიუღებელს? კანონის შესაბამისად ჩაატარეთ უნივერსიტეტში რეფორმაო, უნივერსიტეტს ავტონომიას და არჩევანის უფლებას ნუართმევთო. მეტს არაფერს.

სისხლის სამართლის საქმე აღძრეს ყველაზე აქტიურ პროფესორთა მიმართ, პოლიციაში დაიბარეს და დაჰკითხეს.

იმაზე აქვთ დიდი გართულება, როგორ თუ „მეამბოხეები" რექტორის კაბინეტში „შეიჭრნენო".

**მამაგანათლებულებს ის დაავიწყდათ, ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტი და მისი თანამოსაგრენი ქვეყნის პარლამენტში რომ შეიჭრნენ, სხდომა ჩაშალეს, მაშინდელ პრეზიდენტს ჩაი დაულიეს, დეპუტატები გარეთ გაყარეს და, საერთოდ, მთელი ხელისუფლება გადააგდეს...**

როცა პროფესორ-მასწავლებლები სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ სამსჯელოდ, როგორ თუ ეს გაბედეთო, ჯერ კარები ჩაუკეტეს და ეს ასაკოვანი, პატივსაცემი ხალხი უჰაეროდ, უწყლოდ და უტუალეტოდ დატოვეს და ლამის ისედაც შესუსტებული შარდის ბუშტები დაუხეთქეს, მერე კი კინწისკვრით გამოყარეს გარეთ საგანგებოდ მიწვეულმა პოლიციელებმა.

**აქაც დაავიწყდათ, რომ როცა შევარდნაძის დროს, რომლის ავკაცობაზეც დღენიადაგ ლაპარაკობენ, მომავალი ხელისუფალნი იუსტიციის მინისტრის მისაღებში მართლაც რომ შეცვივდნენ და არა მარტო შეცვივდნენ, მხართეძოზე წამოწვნენ და შიმშილობის აქცია დაიწყეს, ისინი გარეთ არ გაუყრიათ, პირიქით, ექიმები დაჰკანკალებდნენ, რამე არ მოიწიონო.**

ესეც „პრინციპია": არამც და არამც არავითარ მოლაპარაკებაზე (დათმობას ვინ ჩივისძ, არ მიდიან არც უნივერსიტეტელებთან, არც საპარლამენტო ოპოზიციასთან, რომელიც პროტესტის გამო რა ხანია სხდომებს აღარ ესწრება...

**პირდაპირ საგანგებოდ, მიზანმიმართულად იმხედრებენ ხალხს...**

იმდენადაც კი, რომ რეჟიმის ერთ-ერთი საყრდენის — „რუსთავი-2"-ის („გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის"ძ სახე და სიმბოლო, თოქ-შოუ „თავისუფალი თემის" წამყვანი **ეკა ხოფერია გუშინწინ პირდაპირ ეთერიდან განუდგა ხელისუფლებას, ყელში ამოუვიდა სიყალბის სამსახური...**

პრეზიდენტი კი ამერიკაში ბრძანდებოდა და იქიდან გვაცნობა, წარმატებული ვიზიტი მქონდაო. თუ რუსეთში ჩასვლა დიდად მნიშვნელოვანი იყო, ამერიკაში ჩამოსვლა ისტორიულიაო.

ალბათ მალე გაგვიმხელენ, რა იგულისხმება, რის გამოა ისტორიული, თორემ სანკტ-პეტერბურგში ვიზიტი თავისი შედეგით რა „დიდად მნიშვნელოვანიც" იყო, უკვე ვნახეთ...

**ალეკო ასლანიშვილი**

## ◉ ინფორმაცია

### ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით...

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, საქართველოში კრიზისს ვერავინ შექმნის.**

ნოღაიდელმა გუშინ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუს „თავისუფალი თემის" წამყვანის ეკა ხოფერიას არხიდან წასვლასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.



„დამოუკიდებელი ტელევიზიის ჟურნალისტის და ტელევიზიის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობები მხოლოდ და მხოლოდ მათი გადასაწყვეტია და ჩვენ ამ საქმეში არ ჩავერევით", — აღნიშნა ნოღაიდელმა სენაკის აეროპორტში, სადაც სომეხი კოლეგის დასახვედრად მივიდა.

### სპეციალური მიმართვა — გენერალურ პროკურორს

**2 მაისს, ჩოგბურთის კორტებთან განხორციელებული სპეცოპერაციის დროს დაღუპული ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატები გენერალურ პროკურორს სპეციალურ მიმართვას უგზავნიან.**

ადვოკატები აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით აღძრული ორი საქმის გაერთიანებას მოითხოვენ. როგორც დაზარალებული მხარის ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი აცხადებს, სისხლის სამართლის საქმეს თავდაპირველად კრიმინალური დეპარტამენტი იძიებდა. მოგვიანებით მას გამოეყო საქმე, რომელიც პოლიციელების მიერ უფლებამოსილების გადაჭარბების საკითხს ეხებოდა და რომელსაც თბილისის პროკურატურა იძიებს.

ადვოკატები თბილისის პროკურატურისა და კრიმინალური დეპარტამენტის აცილებას, აღნიშნული საქმეების გაერთიანებას და მისი გენერალური პროკურატურისათვის გადაცემას მოითხოვენ.

ამ მოთხოვნებით ადვოკატები, ოჯახის წევრები და რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი გუშინ გენერალურ პროკურატურასთან შეიკრიბნენ და პრესკონფერენცია გამართეს.

ისინი პროკურატურის იმ დადგენილებასაც მოითხოვენ, რომლის მიხედვითაც ზურაბ ვაზაგაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. როგორც ჯანგირაშვილი აცხადებს, დადგენილების მიღების შემდეგ ადვოკატებს დადგენილების გასაჩივრება და შესაბამისად ვაზაგაშვილის უდანაშაულობის დამტკიცება შეეძლებათ.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ რევოლუცია იწყებოდა ასე

# ნიშანსვეტები

**ხელისუფლებამ კიდევ ერთი საქმე „გაიმასქნა"**

**სულ ჭენებ-ჭენებით.**

**წარბშეუხრელად.**

**სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა 5 დღეში მიაფუჩეჩა.**

**მკვლელობის შემკვეთებს ცივი ნიავი არ მიაკარა.**

**შემსრულებლებს რაც ეკუთვნოდათ, იმაზე ნაკლები მიუსაჯა.**

**აწი რაც მოხდება, თავის თავს დააბრალოს.**

**თაგვმა თხარა — თხარაო...**

ხელისუფლებამ უკვე გამოითხარა: ძირიც და თავისი დასაკლავი დანაც.

თაკო სალაყაიას, გურამ დონაძეს, ვასილ სანოძეს, ოლეგ მელნიკოვს და დათა ახალაიას გადააყოლა ამდენი ხნის ნაშრომ-ნაჯაფი.

ძალაუფლებაში მოსასვლელად გაწეულ შრომას ვგულისხმობ, თორემ ქვეყნისთვის ბევრი არაფერი შეუმატებია.

სანდრო გირგვლიანი.

მაინც რამდენი რამ სასიკეთო დაუკავშირდა ამ უდროოდა და ულმერთოდ წასულ ახალგაზრდა კაცის სახელს:

**ხელისუფლებისგან თავზრუდახვეული ქართველი საზოგადოების ლეთარგიული ძილიდან გამოღვიძება.**

**ოპოზიციის გაერთიანება.**

**დრაკონული მართლმსაჯულების საქვეყნოდ გამომზეურება.**

უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერ ამისთვის სანდროს სიკვდილი გახდა საჭირო.

ღირდა კი?

მე არ ვიცი.

სხვების აზრს დავიმოწმებ.

6 ივლისი. საღამო. დედაუნივერსიტეტის ეზო. ათასზე მეტი ადამიანი. ანთებული სანთლებით ხელში.

სანდროს სულისთვის და უნივერსიტეტისთვის ტალახიან მიწაზე დაჩოქება.

მოძრაობა „სახალხო ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე:

**„რაც აქამდე ვერ მოახერხა ქართველმა საზოგადოებამ, რაც აქამდე ვერ მოვახერხეთ ჩვენ, ოპოზიციამ, ის გააკეთა სანდროს სულმა".**

პროფესორი გურამ შარაძე:

**„სანდროს დედა ბედნიერია იმით, რომ თავისი შვილის სიკვდილით იწყებს ყველა ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლისა და მომავლის გადარჩენას".**

მართალია.

საოცარიცაა.

სანდრო გირგვლიანის სახელს დაუკავშირდა ქართული ცნობიერების,



სულიერების, თვითმყოფადობის გადარჩენისათვის, უნივერსიტეტის გადარჩენისათვის ბრძოლა.

აკადემიკოსი ივანე კიღურაძე:

**„სანდრო მოკლეს. მოკვლას უპირებენ უნივერსიტეტს, მაგრამ ვერ მოკლავენ, მას სანდროს სული გადაარჩენს".**

უნივერსიტეტის ეზოში ხალხის, ინტელიგენციის, ოპოზიციის ერთ მუშტად შეკრულობა იგრძნობოდა ისე, როგორც არასდროს 2003 წლის 23 ნოემბრის შემდეგ.

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის პირველი გვერდი ასე დავიწყეთ: „რევოლუცია იწყებოდა ასე..."

მართლაც ასე იწყებოდა.

**საზოგადოების გაჩერება უკვე ძალიან ძნელი იქნება.**

**მემგონი, შეუძლებელიც.**

ცხონებულ ნოდარ დუმბაძეს უხუმრია: **„ახლა ისეთ სიმაღლეზე ვარ ასული, ერთი ადგილი ჩემით თუ არ მოვიჭამე, სხვა ვერავინ მომჭამსო".**

ახლა ქართველი საზოგადოებაა ასეთ სიმაღლეზე.

და არის ორი ნიშანსვეტი:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

და...

სანდრო გირგვლიანი.

**ჯაბა ხუბუა**

ვითხოვ სიტყვას!

# გაუძიამუს – გვიხაროდეს, აწ უკვე აკადემიურად განსწავლულები ვიქნებით!

## უნივერსიტეტი დღესაც პოლიტიკური რყევების უცვლელ ინდიკატორად რჩება

**სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ალბათ, ამიტომაც საზოგადოებრივი აზრის მცდარი გზით იმთავითვე შეგნებულად წარმართვის მცდელობამ – საუნივერსიტეტო პრობლემებს პოლიტიკას ნუ მიაბამთო – ეს პრობლემები და სხვაც სწორედ რომ პოლიტიკურ ჩიხში მიამწყვდია.**

არსებობს სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც უნივერსიტეტი პოლიტიკური თუ სოციალური მაღალი ტემპერატურის ქურად არ ეგულებოდეს? თუმცა, გალმა რად გავიხედეთ, განა ჩვენივე აზროვნების მონაპოვარი არ მიგვითითებს: „შეუძლებელია, რომ ის, რაც ჭეშმარიტად პედაგოგიურია, ჭეშმარიტად პოლიტიკურიც არ იყოს“. ი. გოგებაშვილის ეს ფორმულა ხომ იმ იდეურ სისტემაში გამოიწრთო, რომელშიც თავს იყრიდა „ყველა საარსო საკითხი ქართველი ხალხის არსებობისა“.

უნივერსიტეტი პოლიტიკურად საშიში რომ არ ყოფილიყო, რუსული იმპერია მთელი ძალით წინ არ აღუდგებოდა საკუთარი უმაღლესი სკოლისთვის ქართველი ინტელიგენციის ბრძოლას XIX საუკუნის მეორე ნახევარში. განათლება სახელმწიფო მიზნების შემადგენელი რომ არ ყოფილიყო, ქართულ ენას არ აკრძალავდა ქვეყანაში და ამით ძირს არ გამოუთხრიდა სახალხო სკოლებს. სწორედ განათლების დამპყრობლური პოლიტიკით ახორციელებდა იმპერია ჩვენი გადაგვარებისა და გადაშენების გეგმას და საამისო საშუალებების მთელ არსენალს ამოქმედებდა. ღირს სამაგალითოდ მცირე ეპიზოდების აქ გახსენება: ერთხელ, 1878 წელს ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის უფროსად დანიშნულმა რუსიფიკატორმა კ. იანოვსკიმ ია კარგარეთელს უხმო და სამინისტროს სკოლებისათვის სიმღერის სახელმძღვანელოში რუსულ მელოდიებზე ქართული სიტყვების მიწერა დაავალა. ჯილდოც შეპირდა. მიუხვდა მზაკვრულ განზრახვას ია კარგარეთელი და ახლოს არ გაკარებია. სემინარიის რექტორმა ჩუდეცკიმ შეპარულს პირდაპირი ამჯობინა და ქართველებს მოუწოდა: რას ჩხრეკთ საუკუნეებში ჩაკარგულ თქვენს არაკეთილხმოვან საგალობლებს, აგერ, აიღეთ გამზადებული კურთხეული რუსული გალობა – არც შეწუხდებით და კულტურასაც შეიძენთო.

რა შეძლო მაშინ ქართველობამ ახლა უფრო გვაკვირვებს და ჩაგვაფიქრებს. მან ხომ არამარტო წარსულის მემკვიდრეობა დაიცვა და შეინახა, ახალს ამოუშენა საძირკვლები. ქართული უნივერსიტეტი ამ დიდი შემართებისა და გაუტეხელობის გვირგვინი შეიქნა და დიდი ამოცანაც დაეკისრა. რატომ აღიქვა ერმა იგი ტაძრად, მარტივად გასაგები არაა. იმიტომ, რომ მისი კედლების მონუმენტური სიმშვიდე სიტყვით ვერსათქმელზე მიგვანიშნებს და იქ ფეხშედგმულს მოკრძალებულ ნაბიჯს გადგმევინებს? არა მხოლოდ. იმიტომ, რომ იმ დიდი მიზნისაკენ მიგმართავს, რომელიც **უნივერსიტეტს, დღიდან აღმოცენებისა, ზეგარდმო ინსპირაციით დაეკისრა – თავის წიაღში მოაქციოს „ყველა საარსო საკითხი“ ერისა და ქვეყნის მომავლისა.**

**ამიტომაც ამ მიზნებისაგან (პოლიტიკურს რომ ვუწოდებთ ბანალურად) ჩამოცილების სურვილი თუ იმპერატივი მკრეხელობა კი არა, დანაშაულია.**

სულ სხვაა პრობლემებით სპეკულირება და ამ მიზნით მათი პოლიტიზება. მავანთა წინა პლანზე რონინისთვის ეს მოკლე გზაა და საკუთარ რესურსებს (იდეურს თუ ინტელექტუალურს) არ საჭიროებს. ასეთნი მრავლად ტრიალებენ დღეს „საუნივერსიტეტო კრიზისის“ ასპარეზზე და ზნეობის სიმწირის გამო კვლავაც იმედოვნებენ „ათჯერ გამონაცვალი საცვალის“ მორალის უგულებელყოფას. ადმინისტრაცია ამ შემთხვევაში ფრიად მომგებიან პოზიციაზეა და საჭადრაკო დაფაზე ამ სვლაში უდავოდ იგებს.

მაგრამ რას ფიქრობს პროფესორ-პროტესტანტთა წარმომადგენლობა (მათთვის ჯგუფის წოდება არაკორექტულია და დემაგოგიურიც). ეს მძიმე კითხვაა, თუმცა მარტივია ასახსნელად: ფართო საზოგადოების ამ პროცესში მონაწილეობის დეფიციტი არჩევანის გზებს კეტავს და ამით წაგების შანსს აათკეცებს. ცხადია, პარტიულ-პიარ საქმეებში „დასპეცებულთა“ გრძელ რიგში იქ ბედად მყოფი მაღალი აზრების თითო-ოროლა პირიც ერთვება, მაგრამ საყოველთაო ეჭვით სამართლიანად შეპყრობილ ჩვენს საზოგადოებაში ეს ხმებიც ზურუსში ინთქმება.



წინამავალი პროფესორ-პროტესტანტების ტაქტიკურ სვლებს ფეხებში გამუდმებით ერთი, ჩვენი აზრით პრინციპული, ხედვის ხარვეზი ებლანდება: ისინი უნივერსიტეტის ნგრევას დღეს დაწყებულ და ხვალისთვის განსაზღვრულ პროცესად განიხილავენ. ეს ანალიტიკური შეცდომაა.

**ნგრევის პროცესი დაიწყო მაშინ, როცა უნივერსიტეტი კუთვნილ ამოცანას (თუ მიზანს) ჩამოშორდა. ეს ჩამოშორება ხანგრძლივად, თოთხმეტი წელიწადი მიმდინარეობდა.** მიზანი და ამოცანა სოციალური ჭურვებით იბომბებოდა მიზანმიმართულად და აუცდენლად. მისი მძლავრი დარტყმებისგან ძლივსღა სუნთქავდა საბჭოეთისაგან ზნეობრივად გადარჩენილი მიზნის მქონეთა მცირე ნაწილი. სინდისთან გარიგების ისეთი დრო იდგა, ყიზილბაშობას რომ შეშურდებოდა. ცოდნის ტაძარში პოლიტიკური ლეკიანობის ხელი ტრიალებდა. „საიმედოებს“ მარჯვნივ აწყობდნენ ცენტრში მდგომი „დამწყობლები“, „არასაიმედოებს“ მარცხენა კედლისკენ ერეკებოდნენ. გონიერ ნეიტრალებს კი რა გამოლევდა. მაშინ სწორედ, არაერთმა ნიჭით დაჩაგრულმა გამოჰკრა ხელი მეცნიერულ ადგილ-წოდებებს, ხოლო სულმოკლემ ხელის ჭუჭყს... ამასობაში მთელი თაობა წამოიზარდა და... დაიკარგა.

**გრძელვადიანმა, თოთხმეტწლიანმა ეტაპმა წარმატებით განახორციელა საზოგადოების სრული დეზინტეგრაცია, გაანადგურა რა საშუალო ფენა, სრულიად მოსპო სოციალური წონასწორობა და მდიდარ-ღატაკთა პოლარიზებულ „მესამე სამყაროს“ ტიპიურ ქვეყნად აქცია საქართველო. უნივერსიტეტი ამ მდგომარეობის ინდიკატორი გახდა.**

ახლა, როცა ხელისუფლება დეკლარირებს საშუალო ფენის (სოციალური წონასწორობის ინდიკატორის) ფეხზე დაყენებას, ან, სულაც, შექმნას (აბა, სხვას რას უნდა ემსახურებოდეს მეცნიერებისა და განათლების პოტენციალის გაძლიერების მიზნით ტოტალური რეფორმები ცოდნის სივრცეში), თავად გაუგებარ „წაჯექ-უკუჯექობის“ მოძრაობას აკეთებს „ვაშენებ-ვანგრევ“ პრინციპით. სწორედ ასე მოჩანს ეს მოძრაობა, რადგან:

1. რეფორმის სახელით სამეცნიერო ინტელიგენციის ფართო ფენა, რომელიც ჯერ კიდევ, ნომინალურად მაინც, სოციალურ სივრცეში თავის ადგილზეა, სრულიად შესაძლებელია სწრაფი გადაჯგუფებით დაბალ სოციალურ საფეხურზე აღმოჩნდეს და საზოგადოების პოლარიზაცია კიდევ უფრო გააღრმავოს. მისი შემცვლელი (ალბათ, ახალი თაობა) კორპუსი საეჭვოა დიდხანს მიემაგროს ადგილს, რადგან ინტელიგენტობის სოციალური გრძნობისათვის ღარიბი ცხოვრება ქმედითი მატერიალური პრაგმით სხვა სოციალური ჯგუფით შეიცვალოს.

2. სოციალური გადაჯგუფების პროცესები დესტრუქციულია თავისი ბუნებით, რადგან ძალისმიერ რეჟიმში ხორციელდება და სოციალურ კონფლიქტთა ჯაჭვურ რეაქციებს შეიცავს.

მაშ, სად ვეძიოთ საშუალო ფენის შექმნა-გაძლიერების ლოგიკა, ნუთუ ამგვარ სქემებში, ანუ რეფორმებში? ამიტომ იბადება საზოგადოებაში ეჭვი რეფორმების მიზნების რაღაც სხვა, მიღმა მიზნების თაობაზე. ამიტომ იკითხება იგი, როგორც circulus vitiotus – „მანკიერი წრე“, სადაც მოტანილი საბუთები თავად დასასაბუთებელია. ამიტომ არ სჯერა მეცნიერ-ანალიტიკოსთა საზოგადოებრიობას, რომ იქ საკონკურსოდ წარდგენილი curriculum – სამეცნიერო ღირსებათა ჩამონათვალი კი არა, curriculum vitae, ანუ კონკურსანტი პირის შესახებ ცნობები სჭირდებათ მათი შეხედულებების სანდოობის შესამოწმებლად. Quo vadis? – საით მიდიხარ? – გვინდა ვკითხოთ რეფორმის ზერელედ აჩქარებულ ავტორებს და ისე, სალაღობოდაც დავუმატოთ: კლასიკურ-ლათინური ცნება-გამოთქმები რომ მოგწონთ, სულაც არაა ცუდი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას სათქმელი სიტყვის ბიჟუტერიად მოიხმართ. ამაშიც აგიბამთ მხარს.

**მაგრამ ზერელედ აჩქარებულად ვერ მივიღებთ იმ წესდება – ცირკულიარებს, რომელიც წარეგზავნა თითქოსდა ყადაღადადებულ საუნივერსიტეტო და აკადემიურ-საინსტიტუტო საზოგადოებრიობას, ქარიშხლისწინა გარინდებით რომ მოცულა.** საინტერესო აღმოჩნდა ამ წესდებათა პროექტის და დამტკიცებული ვარიანტის შედარება. მათ შორის მოზრდილი ნახტომია „უკეთესისკენ“, თუ ჩავთვლით, რომ საკვლევ აკადემიურ დაწესებულებაში სამეცნიერო საბჭოს არსაჭიროება დირექტორის პრინციპატის (ერთპიროვნული მართვის) სასარგებლოდ გადაწყდა. თუ არ ჩავთვლით, რომ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად, ანდა მთავარ მეცნიერ თანამშრომლად აკადემიური დოქტორი, რომელიც უნდა უძღვებოდეს მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფზე დაკისრებულ სამეცნიერო მიმართულებას, სრული გულდაჯერებით შეიძლება მეცნიერების კანდიდატით შეიცვალოს, ვითარცა დოქტორთან გათანაბრებულით, თუნდაც შარშანდელი კანდიდატით. არგუმენტი მარტივია – დასავლეთში ასეა გათანაბრებულიო. უზუსტობაა. გარდა ამისა, ჩვენს რეალობას უკეთ მისადაგებული მოდუსი სჭირდება. მაგალითად, გერმანული. იქ პირველი დოქტორი ჩვეული კანდიდატია, მეორე – დოქტორ ჰაბილი კი ჩვეული დოქტორი. ვერ დავიწუნებთ გერმანულ სინამდვილეს და არც პროფესიული წყობიდან გამოსული დოქტორები გვყავს მხედველობაში. ერთ, ვითომ წამყვან არგუმენტზეც ვიტყვით. იგი იმდენად სუსტია, რომ სათქმელადაც არ ღირს: შერჩევას ისინი წარმართავენ, ვინც კონკურსში არ მონაწილეობსო. მიცემული ინსტრუქციების შესრულებას განა ხელს უშლის „ნეიტრალობა“?!

საკითხთა სიმრავლეს ცალკე წერილი სჭირდება და ახლა მოკლედ ვიტყვით: კონკურსისადმი უნდობლობას საეჭვოდ მოტივირებული და მორგებული განაწესი იწვევს, რომელშიც ღირებულებებს კი არა, კონიუნქტურას ეძლევა უპირატესობა და არა თავად კონკურსი, როგორც დონის შერჩევის პრინციპი. **ყველამ უნდა იცოდეს – მთელი ცხოვრების მანძილზე „ფორმაში მყოფ“ მოქმედ მეცნიერებს კონკურსის არათუ ეშინიათ, არამედ პირიქით – ეს მათი პროფესიული პრესტიჟის და, წარმოიდგინეთ, „კასტური“ თავმოყვარეობის საქმეა. ამიტომ კარგადაა გასაგები იმ პროფესორ-პროტესტანტთა აბობოქრება, რომელთაც ეს „კასტური“ თავმოყვარეობა დღემდე არ შეულახავთ.** და თუ მათ მავანნი ეტმასნებიან, ისეთნი, ვისაც მართლა უნდა ეშინოდეთ ან ისეთნი, რომელნიც სერვილური მოთმინებით, კუთხეში გაყუჩულები, თავიანთ საათს ელოდებიან, ეს დიდი ბედენა არ არის. გულდასაწყვეტია მხოლოდ ის, რომ შეუპოვრები მაშინ, წლების უკან, ჰაერივით იყვნენ საჭირონი. მაშინ, როცა უნივერსიტეტის მიზნისაგან ჩამოცილება ხდებოდა.

ისე კი, თუ საქმე კადრების „სეკვესტრს“ და საუკეთესოთა დარჩენას ეხებოდა, ამას ხომ ატესტაციაც ჩინებულად შეასრულებდა. რატომ მაინცდამაინც ეს ბუნტის გამომწვევი კონკურსი? უბრალოდ: აქ ერთი შეგიძლია მეორეთი შეცვალო – ერთი არასასურველი, მეორე სასურველით. Punica fides (მუხანათობა ისევ ლათინური!) – ასე ჩახვდნენ პროფესორ-პროტესტანტები და წამოიჭრნენ.

**პოლიტიკური რყევების პროცესს თავისი წესი რომ დაჰყვება, უნივერსიტეტმა, როგორც ინდიკატორმა, ზუსტად დააფიქსირა. სულ უფრო იძაბება და მწვავდება ეს პროცესი, რადგან ის ძალისმიერ რეჟიმში ღრმად იძირება. ადმინისტრაცია იურიდიული კაზუისტიკის აბჯრით რომ იმოსება, უფრო ეფლობა შეცდომებში. ვინ უკარნახა მას უხეში რეპრესიებით მიზნის პრიორიტეტის მოპოვება? ცხადია, მტერმა და ავისმდომელმა. მოკეთე მრჩეველი დაიკარგა? მაშინ, იქვე, თავისთან, კაბინეტებში სავარძლის ზემოთ, ილიას პორტრეტს ერთხელ მაინც მიაპყრონ მზერა.**

**თეთრმა ცოდნის ტაძარმა უნდა დაიბრუნოს ერის ბურჯის ამოცანა. მისი კედლების მონუმენტური სიმშვიდე და მის ეზოში გრანიტში გარინდული სულები უბრძანებენ ამას, გვიბრძანებენ ჩვენ, უკლებლივ მთელს სამეცნიერო საზოგადოებრიობას.**

**ინგა ბახტაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**პოლიტოლოგიის ინსტიტუტის**
**განყოფილების ხელმძღვანელი**

ინფორმაცია

## შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირება არ აგვცდეს

**პოლიტოლოგ მამუკა არეშიძის აზრით, თუ საქართველოს ხელისუფლება ბოლო დღეებში შექმნილი დაძაბულობის განმუხტვისთვის ადეკვატურ ზომებს არ მიიღებს, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება შეუქცევად ხასიათს მიიღებს.**

**არეშიძის თქმით, ადეკვატურ ზომებში ის ვანო მერაბიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას და სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დამკვეთთა დასჯას გულისხმობს.**

**„უნდა ვთქვათ, რომ მართლაც საშინელება ხდება, ობიექტურად კი ზემოხსენებულ თემას ოპოზიცია ძალიან კარგად იყენებს“, – ამბობს არეშიძე.**

**პოლიტოლოგის შეფასებით, მერაბიშვილი ხელისუფლებისთვის მაინცდამაინც მნიშვნელოვანი ფიგურა არ არის, „უბრალოდ, ხელისუფლებას ინიციატივის დათმობა არ სურს“.**

**„ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, სადამდე მიიყვანა უკრაინაში კუჩმას რეჟიმი ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა“, – ამბობს არეშიძე.**

## შამბამ, კონფლიქტს, ვერც ძალით მოაგვარებთო

**აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას აზრით, საქართველოს არა აქვს კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარების საშუალება.**

**შამბას თქმით, საქართველოს კონფლიქტების ძალით გადაწყვეტისთვის არც შესაბამისი რაოდენობის იარაღი აქვს და არც ცოცხალი ძალა. თუმცა ამას ზოგიერთი ქართველი მაღალჩინოსანი ვერ ხვდება.**

**შამბას აზრით, პროვოკაციები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სანქტ-პეტერბურგში დაგეგმილი დიდი რვიანის ქვეყნების სამიტის მიმდინარეობის დროს არის მოსალოდნელი.**

**მედიანიუსი**

## საქართველო ომს იწყებს?..

**რუსეთის სათათბიროს დსთ-სა და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ანდრეი კოკოშინის აზრით, „სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმის ჩატარების იდეა სავსებით დროული და სამართლიანი იქნებოდა“.**

**„რეფერენდუმის ჩატარება სრულად შეესაბამება საერთაშორისო ნორმებსა და პრაქტიკას, იმ წინადადებებს, რომლებზეც სათათბიროს დეპუტატები კარგა ხანია საუბრობენ“, – აღნიშნავს კოკოშინი, რომლის მტკიცებითაც, იმის გათვალისწინებით, რომ დამკვირვებლები აფხაზეთში, დნესტრისპირეთში და სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებას ჩიხურად აფასებენ, სათათბიროს კომიტეტებში თვითაღიარებულ რესპუბლიკებში რეფერენდუმის ჩატარების იდეასა და პერსპექტივას აქტიურად განიხილავდნენ.**

**მისივე შეფასებით, სამხრეთ ოსეთში ვითარებას ქართული მხარე ძაბავს და არ არის გამორიცხული, რომ სანქტ-პეტერბურგში დაგეგმილი დიდი რვიანის სამიტის დღეებში, ქართული მხარე საომარ მოქმედებებს დაიწყებს.**

**ინტერპრესნიუსი**

ინტრიგა

# დონაძემ ჟურნალისტიც შეიწირა

**გურამ დონაძეს და შს სამინისტროს ყოფილ თუ ამჟამინდელ მაღალჩინოსნებს ხმამაღალი საუბარი რომ აღიზიანებთ, ამაში ახალი არაფერია. ამის გულისთვის შეუძლიათ, ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმონ ისე, როგორც ერთ რეპლიკას შესწირეს სანდრო გირგვლიანი. ვისაც შედარებით გაუმართლა, მათ სამსახურიდან ათავისუფლებენ. „გაცნობებთ, რომ ეკატერინე ალფაიძე გამოირჩევა სუბორდინაციის უხეში დარღვევით. ჩემს შენიშვნაზე რეაგირებს არაადეკვატურად, ხოლო დღეს თანამშრომლების თანდასწრებით ხმამაღალი და უხეში საუბარი გამიმართა ჩემს სამუშაო ოთახში...“ როცა გურამ დონაძე, ამ სიტყვებს წერდა, ჯერ კიდევ „დიდი კაცი“ იყო ამ შინაარსის განცხადებით დონაძემ შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს ვასილ სანოძეს მიმართა და მომხდარზე რეაგირება მოსთხოვა.**

– საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სანოძემ უსიტყვოდ და ყოველგვარი საქმის შესწავლის, გარემოებების გარკვევის გარეშე მოაწერა ხელი დონაძის განცხადებას. შს მინისტრმა კი უაპელაციოდ გაიზიარა დონაძის მიერ შეთხზული ბრალდებები და სპეციალური ბრძანებით ეკა ალფაიძე 2006 წლის 1 იანვრიდან დაითხოვეს სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევისა და უღირსი საქციელისთვის, ისე, რომ მისთვის ერთხელაც კი არ ჩამოურთმევიათ ახსნა-განმარტება. – ასე აფასებს მომხდარს ალფაიძის ადვოკატი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ თავმჯდომარე მანანა კობახიძე.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მერაბიშვილმა ეს ბრძანება სანოძის მიერ მომზადებულ დასკვნას დააფუძნა, რომელიც დათარიღებულია 2006 წლის 30 იანვრით, ეკა ალფაიძე კი სამსახურიდან გათავისუფლებულია 2006 წლის 1 იანვრიდან, ანუ, ის სამსახურიდან წინასწარ, ბუნებაში არარსებული დოკუმენტის საფუძველზე დაითხოვეს. თავად ეკა ალფაიძე ამბობს, რომ გურამ დონაძე მას საუბრების დასმენაში და ინფორმაციის პოლიციის ჩინოვნიკებისთვის, – მერაბ ზალათურიასა და ზვიად ცაგარეიშვილისთვის მიწოდებაში ადანაშაულებდა.

მანანა კობახიძის თქმით, სასამართლო პროცესზე შს სამინისტროს წარმომადგენელმა ვერც ერთი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მხრიდან რაიმე ფორმის დარღვევას. სასამართლო იძულებული გახდა გამოეტანა გადაწყვეტილება მერაბიშვილის, დონაძის, სანოძის წინააღმდეგ და ბათილად ცნო შს მინისტრის ბრძანება ალფაიძის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. მაგრამ, დღევანდელი სასამართლო ის სასამართლო როდია, სახელმწიფო სტრუქტურა ბოლომდე გაამტყუნოს. მან ეკა ალფაიძეს უარი უთხრა სამსახურში აღდგენაზე და ამ საკითხის გადაწყვეტა ისევ ვანო მერაბიშვილს მიანდო.

– ამ გადაწყვეტილებით მოსამართლემ სრული იგნორირება მოახდინა კანონისა „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომლის თანახმადაც უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა აღადგინოს თანამდებობაზე. ისე, იმ ფონზე, რაც დღეს ხდება შს სამინისტროში, არ ვიცი რამდენად ღირს იქ მუშაობა, და რამდენად შეძლებს ჟურნალისტი თავისი ღირსების დაცვას, საქმიანობის კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებას. – განაცხადა მანანა კობახიძემ.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ მიიჩნევს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ არის კანონიერი, იგი გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოში ჟურნალისტის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენის მოთხოვნით. ამ საკითხისადმი თავად ეკა ალფაიძეს ასეთი პოზიცია აქვს: – სასამართლოში სიმართლის დადგენა მჭირდება ჩემი მორალური პრინციპების აღსადგენად. სამსახურში აღდგენის შემთხვევაში გამორიცხული არ არის იმ დღესვე დავწერო პატაკი და ჩემი სურვილით წამოვიდე, რადგან იქ მუშაობა სადღეისოდ ნამდვილად არ ღირს.

საუბრისას ეკა ალფაიძემ ისიც გაიხსენა, რომ დონაძეს საკუთარი კაპრიზების გამო სამსახურიდან არაერთი ჟურნალისტი გაუთავისუფლებია.

**ლელა ცქიტიშვილი**

◉ საწარმო

# ფოლადივით გამოწრთობა ნამდვილად წაადგებათ

**ამ დღეებში რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ჭიშკარი კიდევ ოცდათხუთმეტმა ახალგაზრდამ შეაღო. აქ მთავარი და მნიშვნელოვანი, რამაც ერთნაირად გაახარა რუსთაველები, მხარისა და ქალაქის ხელისუფალნი, ის არის, რომ ფაქტობრივად გაქარწყლდა ეჭვები, რომლებიც ჯერ კიდევ ტრიალებდა ქვეყნის ამ უდიდესი საწარმოს ირგვლივ. არადა, ქარხნის რეაბილიტაციისთვის უკვე დაიხარჯა სოლიდური თანხა, ასამოქმედებლად მზად არის ამიერკავკასიის ერთადერთი გიგანტი მილსაგლინავი საამქრო, უნიკალური მილსაადიდო და მიმდინარეობს პირწმინდად გაპარტახებული წვრილსორტული საამქროს აღდგენა, რომლის ნაწარმიც ქვეყნის სამშენებლო ინდუსტრიიდან განდევნის დაბალი ხარისხის, ხშირ შემთხვევაში კი სრულიად უხარისხო სამშენებლო არმატურას და ლითონპროდუქციას.**



ქარხნის ჭიშკართან სპეციალურ უნიფორმაში გამოწყობილ სტუდენტებს, რომლებიც შრომით სემესტრს ქარხნის მოწესრიგება-დასუფთავებასა და კეთილმოწყობაში გაატარებენ, საწარმოს ხელმძღვანელმა რობინზონ ლომიძემ დროებითი საშვები გადასცა. ზეიმის ელფერი დაჰკრავდა ამ ღონისძიებას, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილი, ისე ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ნადაშვილი, სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად და, რა თქმა უნდა, თვალებგაცისკროვნებული მასპინძლები.

— დღეისათვის ქარხანაში 1300-ზე მეტი ადამიანი მუშაობს, — კმაყოფილებით გვამცნობს რობინზონ ლომიძე, — თანმიმდევრულად მიმდინარეობს ახალგაზრდა მუშათა მიღება, მათი ტექნიკური სწავლება, რომლებიც შემდეგში პრაქტიკით იმაღლებენ კვალიფიკაციას გამოცდილ მეტალურგებთან. საბედნიეროდ, ისინი ჯერ კიდევ მრავლად არიან. ამავდროულად ჩვენ ვმუშაობთ დანარჩენ კადრის მუშებთან, ინჟინერ-ტექნიკოსებთან, რომლებიც ჩვენს ოქროს ფონდს წარმოადგენენ, მაგრამ უკანასკნელ წლებში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო, ისინი ქარხნის გარეთ დარჩნენ. არადა, ქარხანას მათ გარეშე გაუჭირდება. მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. ამის იმედს მაძლევს ჩვენი ინვესტორის ძალისხმევა, რომელიც, წინამორბედებისაგან განსხვავებით, არათუ ჯართად ჭრის და ყიდის ქარხანას, პირიქით, მოწყობილობა-დანადგარების წესრიგში მოსაყვანად უშურველად ხარჯავს მილიონებს, გრძელდება საამქროთა გადახურვის სამუშაოები, შეღებვა-გასუფთავება. ქარხნის ტერიტორიას, რომელიც 400 ჰექტარს აღემატება, პატრონის ხელი დაეტყო. სტუდენტები რომლებმაც ეს-ესაა ქარხნის ერთთვიანი საშვი მიიღეს, როგორც ვნახეთ, შემოსილნი არიან ინვესტორის მიერ შეძენილი უნიფორმით. ასევე შეიმოსება ყველა ჩვენი თანამშრომელი. სპეცსამოსი იკერება ადგილობრივ სამკერვალო ფირმა „მარტენში“.

პრეზიდენტის რწმუნებულმა ზურაბ მელიქიშვილმა გულთბილად მიულოცა სტუდენტებს შრომითი სემესტრის დაწყება. ვისარგებლე შემთხვევით და გავესაუბრე.

— შრომითი სემესტრი თავისთავად კარგია, — თქვა ბატონმა ზურაბმა, — მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ხდება მეტალურგიულ ქარხანაში, იმ საწარმოში, რომელზეც ლამის ყველას ხელი ჰქონდა ჩაქნეული. ალბათ თქვენთვის საც ცნობილია ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯაროდ გაცხადებული სიტყვები, მეტალურგიას ავამუშავებთო... ეს რომ ასე იქნება, უახლოეს მომავალში, არაუგვიანეს სექტემბერ-ოქტომბრისა, დავინახავთ.

რაც შეეხება სტუდენტებს, თითოეული მიიღებს 200 ლარს გაწეული შრომისათვის. ეს დასაწყისია. სტუდენტთა ინტერესი თანდათან გაფართოვდება. უფრო მეტი ახალგაზრდა მიიღებს შრომით სემესტრში მონაწილეობას.

— სტუდენტური შრომითი ნათლობა მეტალურგიაში ყველა რუსთაველის იმედის გაბრწყინებაა, — გვიდასტურებს დავით ნადაშვილი, — დღეს უკვე საეჭვო აღარაა, რომ მეტალურგია ამუშავდება. საწარმოში უკვე ასობით ადამიანი დაუბრუნდა თავის ყოფილ სამუშაოს. მეტალურგიულ პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე ფასი დაედო, ტონა მილში 800-900 ამერიკული დოლარს იძლევიან.

შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის უნივერსიტეტის დეკანმა ვოვა ჭყონიამ ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ მათ ურთიერთვალდებულების ხელშეკრულება აქვთ დადებული მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობასთან. შეძლებისდაგვარად, — თქვა მან, — მათთვის ვამზადებთ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებს. არ გამოვრიცხავ, რომ ამ ახალგაზრდებიდან საშვს ბევრი ხანგრძლივ მფლობელობაში დაიტოვებს. ამ დღეებში კიდევ ათობით სტუდენტი ჩაერთვება შრომით სემესტრში.

**გივი ჯახუა**

**P. S. ამჟამად მეტალურგიული ქარხნის დირექტორი რობინზონ ლომიძე და მისი მოადგილე ირაკლი კორტავა ლონდონში იმყოფებიან. იქ, სათაო ოფისში მიიღებენ საჭირო ინსტრუქტაჟს და მომავალ კვირას ახალი გეგმებითა და იმედებით დაბრუნდებიან. ამის თაობაზე გაზეთის მკითხველებს ახლო მომავალში მოვუთხრობთ.**

**გ. ჯ.**

◉ ინფორმაცია

## ქართველები რუსებს შეეხვეწებიან...

**სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებულ მოვლენებს რუსული მასმედიაც გამოეხმაურა.**

**რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა დაწვრილებით გააშუქეს როგორც გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებული საპროტესტო აქციის მიმდინარეობა, ისე ჟურნალისტ ეკა ხოფერიას გადაწყვეტილება, რომელმაც პროტესტის ნიშნად ტელეკომპანია „რუსთავი-2“ დატოვა.**

**რუსული მედიის შეფასებით, შექმნილმა მდგომარეობამ თბილისელებს 1991 წელი გაახსენა, „რადგან ასე იწყებოდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობა“.**

**აღსანიშნავია, რომ თბილისში მიმდინარე მოვლენებს ერთ-ერთი პირველი რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმირ ჟირინოვსკი გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაც იმავე გზით შეიცვლება, რა გზითაც ხელისუფლება ზვიად გამსახურდიამ და ედუარდ შევარდნაძემ დატოვეს.**

**ჟირინოვსკის აზრით, საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირებაა მოსალოდნელი, რაც ქვეყანაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს და ამ ფონზე „ქართველები რუსებს შეეხვეწებიან, რომ ჩვენ მათ ქვეყანაში წესრიგი დავამყაროთ“.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ შაბათის სტუმარი

# დიმიტრი იანკოვსკი:

# მე საქართველოს შვილი ვარ...

**ეს კაცი გადამრევს — ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის, ქართული სულიერების ალმავლობისთვის თავგანწირულ პიროვნებას, 1917-18 წლებში საქართველოს კათალიკოს პატრიარქ კირიონ მეორეს, და, აგერ, უკვე ჩვენს დროში მოღვაწე გამოჩენილ პოლიტიკოსს, ოღონდ, ბევრისთვის ავადსახსენებელ ედუარდ შევარდნაძეს, ერთ დონეზე აქებს.**

**ეს კაცი დიმიტრი იანკოვსკია — საქართველოში დაბადებული და გაზრდილი პოლონელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, პოლიტოლოგი, საქართველოს მეოთხე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი და „გაერთიანებული დემოკრატების“ სული და გული, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ გამოსცა წიგნი „ეპისკოპოსი კირიონი“ და გამოსაცემად მზადა აქვს მონოგრაფია — „გამოჩენილი პიროვნების პორტრეტის რამდენიმე შტრიხი“ — ედუარდ შევარდნაძისადმი მიძღვნილი.**

**ორი პოლუსი — იქით ქართული სულიერებისთვის სისხლდანთხეული უწმინდესი, და აქეთ — პოლიტიკურ ლაბირინთებში, ანუ, როგორც ბევრი უწოდებს ხოლმე, „ბინძურ საქმეში“ მრავალჯერ „მშრალად“ გამოსული „თეთრი მელა“. თუმცა, მე ვინ მკითხავს...**

**ჰოდა, მოდით, თვითონ ამ კაცს ვკითხოთ — საიდან, სადაო, კირიონი... შევარდნაძე...**

— 1999 წელს, — **მიამბობს ბატონი დიმიტრი,** — საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, გაიმართა პუშკინის დაბადების 200 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო დღეები. მეც ვიყავი ჩართული ამ დღეების საორგანიზაციო საქმიანობაში და, კერძოდ, შევადგინე პროგრამა იმისა, თუ რა სულიერკულტურული ურთიერთობები აკავშირებდათ რუს და ქართველ ხალხებს. პროგრამაში გაშუქებული იყო წვლილი 100 გამოჩენილი ქართველისა, რომლებიც ორი ერის ურთიერთობების სათავეებთან იდგნენ. ამ დროს გვერდს ვერ ავუვლიდით ისეთ ბუმბერაზ ისტორიულ პიროვნებას, როგორიც წმინდა მღვდელმოწამე კირიონ მეორე იყო... ის კი არა, მისი ბიოგრაფია — თუ როგორ მოკვეთეს იგი სამშობლოდან და იმყოფებოდა რუსეთში, რა ამაგი დასდო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, რა დევნა-შევიწროებაში ცხოვრობდა, როგორ ებრძოდა ქართული ეკლესიის მტრებს, რა სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა, როგორ მოიწვია ქართულმა საზოგადოებამ და, 1917 წლის ზაფხულში, როგორ ეკურთხა იგი სვეტიცხოველში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად და... 68 წლისა, როგორ აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით, მოსვენებას არ მაძლევდა და მრავალ საარქივო მასალაზე დაყრდნობით დავწერე და გამოვეცი მონოგრაფია, რომელიც მცირე წვლილია ამ დიდი მამულიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერის საქმეში... ეს მოღვაწეობა, კვლავაც და კვლავაც, ღრმა კვლევის საგანია...

**— ბატონო დიმიტრი, ცნობილია, რომ თქვენ საქართველოს პატრიოტი ბრძანდებით, პოპულარიზაციას უწევთ მის ისტორიასა და კულტურას, ჩაფიქრებული გაქვთ ნაშრომთა მთელი სერია ქართველ საეკლესიო მოღვაწეებზე... თუმცა, სამართალმცოდნის პროფესიამ, პოლიტოლოგიამ, საბჭოთა თუ დღევანდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაშიც „ჩაგრთოთ“, უამრავ ცნობილ ადამიანს შეგახვედრათ, რომელთაგან, ცხადია, გამორჩეულია საქართველოს ექს-პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე. ფაქტია, რომ თქვენც გამოარჩიეთ იგი სხვათაგან, აი, მონოგრაფიაც მიუძღვენით, რომელიც, მალე გამოვაო, ამბობთ...**

**როდის გაიცანით ედუარდ შევარდნაძე?..**

— ჯერ დავიწყოთ იმით, რომ მე ვარ საქართველოს შვილი, მისი მადლიანი მიწის გაზრდილი. ჩემი წინაპრები კარგა ხნის წინათ გადმოსულან საქართველოში, პაპა ამიერკავკასიის რკინიგზის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი იყო, ბებიები გრაფინიები მყავდნენ — ტრაპოლსკაია და ტიშკევიჩი... მე კი მიდგას მათი სისხლი, მაგრამ უკვე ქართველი ვარ და ქართულ საქმეს ვემსახურები მთელი ცხოვრება...

რაც შეეხება ქართული საეკლესიო კულტურით ჩემს დაინტერესებას, ეს, ბუნებრივია, რადგან მთელი ცივილიზებული სამყარო აღიარებს მის თავისთავადობას...

ბატონ ედუად შევარდნაძესთან ურთიერთობას რაც შეეხება, გეტყვით, რომ ამ ურთიერთობას ორმოცდაათიან წლებში ჩაეყარა საფუძველი. სამოციან წლებში როდესაც მცხეთის რაიონი გააუქმეს, ხოლო მისი ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე თბილისის სტალინის (შემდგომში პირველი მაისისძ რაიკომის პირველ მდივნად გადმოიყვანეს, ეტყობა, ვიღაცამ (შეიძლება ცხონებულმა სოლიკო ხაბეიშვილმაძ შეახსენა ჩემი თავი (კარგი მორუსულე სჭირდებოდათძ და თავის თანაშემწედ დამნიშნა.

ბატონი ედუარდის გვერდით გატარებული რამდენიმე წელი, შემდგომი ურთიერთობები, მისი მოღვაწეობა საქართველოს კპ ცეკას პირველ მდივნად, მოგვიანებით, საერთაშორისო ასპარეზზე... გახდა ბიძგი იმისა, რომ ჩემი შეხედულებები ამ პიროვნების შესახებ, წიგნად ამეკინძა... აი, ნახეთ, დაათვალიერეთ, საკორექტურო ცალია...

...ვათვალიერებ წიგნს, დიმიტრი იანკოვსკი შევარდნაძესთან მუშაობის პირველ წლებს იხსენებს:

— *შეუძლებელია დავივიწყო ამ ადამიანთან მუშაობის პირველი წლები, იმდროინდელი ახალგაზრდა თაობის ცხოველი დაინტერესება მისი პიროვნებით. მაშინ მე მიხდებოდა საქართველოს, და, ამასთანავე, იმდროინდელი ზესახელმწიფოს სპორტულ მოძრაობაში საქმიანობა. ვხვდებოდი ახალგაზრდობის ამ პლეადის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით, მოზარდთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომელთაც სხვადასხვა დონეზე ურთიერთობისას მოუწიათ კარგად გაეცნოთ ბატონი ედუარდი. ყველა მათგანი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, საოცრად დადებითად აფასებდა ქართველ ახალგაზრდობის ლიდერს და მასში ხედავდნენ ახალი ისტორიული ეტაპის მესაჭეს. ძველი სტერეოტიპების ტყეობაში მყოფნი, ცალსახად აცხადებდნენ: „ედუარდ შევარდნაძის სახით საქართველომ შობა „ახალი სტალინი“.*



*ადამიანთან მუშაობის პირველი წლები, იმდროინდელი ახალგაზრდა თაობის ცხოველი დაინტერესება მისი პიროვნებით. მაშინ მე მიხდებოდა საქართველოს, და, ამასთანავე, იმდროინდელი ზესახელმწიფოს სპორტულ მოძრაობაში საქმიანობა. ვხვდებოდი ახალგაზრდობის ამ პლეადის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით, მოზარდთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომელთაც სხვადასხვა დონეზე ურთიერთობისას მოუწიათ კარგად გაეცნოთ ბატონი ედუარდი. ყველა მათგანი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, საოცრად დადებითად აფასებდა ქართველ ახალგაზრდობის ლიდერს და მასში ხედავდნენ ახალი ისტორიული ეტაპის მესაჭეს. ძველი სტერეოტიპების*

წიგნის დასასრულს დიმიტრი იანკოვსკი წერს:

*ეჭვგარეშეა, ისტორიაში წარუშლელად დარჩება ბატონი ედუარდის გამბედაობა — ტრაგიზმითა და გამარჯვებებით აღსავსე, თავგანწირვა, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ურთულესი გზა, მტრების მიერ დაჭრილი, მაგრამ ქედმოუხრელი საქართველოს სათავეში ყოფნა მეორე და მესამე ათასწლეულის მიჯნაზე.*

*ჩვენმა მომდევნო თაობებმა, კაცობრიობამ უნდა იცოდეს ამ ადამიანის ფენომენის წარმოშობისა და წარმოჩენის ღვთიური და მიწიური არსი, მისი შთაგონებული, ურთულესი მოვლენებით აღსავსე ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი უზენაესი დანიშნულება — მზად იყოს, რათა მამულის საკეთილდღეოდ მიიტანოს ყოველივე, რაც გააჩნია, თვით საკუთარი სიცოცხლეც კი.*

**— ბატონო დიმიტრი, აი, ვათვალიერებ ამ პორტრეტის შტრიხებს და აშკარად აკლია მას „მუქი“ ფერები, ანუ მკითხველისთვის გამხელა ნაკლოვანებებისა, რაც აუცილებლად თან დაჰყვება ძეხორციელს... უნაკლო ხომ ერთი ღმერთია... ამით მხოლოდ მოიგებდა პორტრეტი... ცარიელი ქება-დიდება, რაღაც, „ნი ტო“...**

— შეიძლება, მაგრამ ეს ხომ ჩემი თვალით დანახული შევარდნაძეა.

**— აბა, ერთი, აფხაზეთიდან დევნილებსაც ჰკითხეთ...**

— ვწერ, რომ იგი ტრაგიკული პიროვნებაცაა...

**— კი, ისე, ზოგადად... მე, უბრალოდ, გამიკვირდა, მონოგრაფია გამოაქვეყნეთ წმინდა კირიონ მეორეზე, საერთოდ, აპირებთ ქართველი სასულიერო მოღვაწეების ცხოვრების აღწერას... და, უცებ, პოლიტიკოსის მოღვაწეობა — გინდ შევარდნაძე იყოს იგი, გინდ — სტალინი, გინდ — ჩერჩილი.**

— ეს ერთმანეთს არ უშლის... კირონ მეორეს არ ვადარებ, მაგრამ ედუარდ შევარდნაძე ისტორიული პიროვნებაა.

**— თქვენი ნებაა, ეგრე იფიქროთ!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ საით მივდივართ?

# სიღარიბის ლაბირინთი

**ამ ერთი კვირის წინათ ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში, მდინარე ენგურში, თავი დაიხრჩო 20 წლის გოგონამ, — თამუნა პორშიამ. მეზობლების განმარტებით, თამუნა უმძიმეს სოციალურ პირობებში ცხოვრობდა. დედა კარგა ხანია გარდაეცვალა, მძიმედ ავადმყოფი მამა ლოგინად ჩაუვარდა. ახალგაზრდამ გაჭირვებას ვეღარ გაუმკლავდა და თავი წყალს მისცა...**



არა, გაჭირვება ყველა ქვეყანაშია, თვითმკვლელობებიც ხდება და მკვლელობებიც ლუკმაპურის გამო, მაგრამ... მაპატიეთ და, რა ეცა ამ ერთი ციცქნა საქართველოს, რომ ხალხი წელში ვეღარ გასწორდა, სული ვეღარ მოითქვა? სად გაქრა ის ბუნებრივი სიმდიდრე, სად აორთქლდა ის ეკონომიკური სიძლიერე, რაც გვქონდა, რაც გვამუშავებდა, გვაჭმევდა, გვასმევდა, გვაბედნიერებდა?

სულ ახლახან ტელევიზიით თავი მოვიწონეთ, — თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში უპრეცედენტო სამედიცინო პროგრამა განხორციელდებაო, **2.000 უკიდურესად (დიახ, უკიდურესად!) გაჭირვებული ბავშვის ჯანმრთელობა შემოწმდებაო**, დღემდე გაუგონარი დახმარება გაეწევაო. ღმერთმა დალოცოს ყველა, ვინც ეს პროგრამა მოიფიქრა, ვინც ჩვენს პატარებს ჯანსაღი ცხოვრების შანსი გაუჩინა, მაგრამ... **თუ თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, ამ ელიტურ, თავისებურად შეძლებულ მონაკვეთში 2.000 უკიდურესად გაჭირვებული ბავშვია, მითხარით, — რამდენი იქნება გლდანი-ნაძალადევში, ისანი-სამგორში, დიდუბე-ჩუღურეთში? და ეს საქართველო მარტოოდენ თბილისი ხომ არაა. გვახსოვს იგივე ზუგდიდი, ყაზბეგი, ლენტეხი, ხარაგაული, ლაგოდეხი და სხვა და სხვა?**

რატომღაც გვეამაყება უფასო სასადილოების გახსნა, საერთოდ, სოციალური პროგრამების განხორციელება. სულ არარაობას, ესეც შეღავათია, ესეც ხელის წაშველებაა. მადლობის მეტი რა ეთქმის მოსახლეობას. საგანგაშო სხვა რამეა. ყოველდღიურად, ყოველთვიურად თუ ყოველწლიურად მატულობს ღარიბ-ღატაკთა რაოდენობა. **ექსპერტთა დასკვნით, 2005 წელს, 2003 წელთან შედარებით, საქართველოში ცხოვრებისეული პირობები გაუუმჯობესდა მოსახლეობის 20 პროცენტს, 20 პროცენტისთვის ვითარება იგივე დარჩა, 60 პროცენტისთვის კი — გაუარესდა. ჯერ ვაღიარებდით 120 ათას ღარიბ ოჯახს, მერე ავედით 220 ათასზე, ახლა ვლაპარაკობთ 400 ათასზე, ზოგჯერ კი — 700 ათასზე. ეს ლამის მთელი საქართველოა.**

სიტუაციის გამოსასწორებლად საჭიროა არა სოციალური პროგრამების დახვავება, არამედ, უპირველესად, უმუშევრობის შემცირება, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობის გადიდება, რათა მოსახლეობას ჰქონდეს სტაბილური შემოსავალი. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში საშუალოთვიური ხელფასი უდრის 114 დოლარს (უკრაინაში — 220, რუსეთში — 400, ესტონეთში — 593 დოლარს), რეალურად კი — არც 54 დოლარს. **გაეროს განვითარების ახალ მოხსენებაში პირდაპირ წერია, რომ მოლდოვასა და საქართველოში მოსახლეობის 50 პროცენტი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს**. საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში (მათ შორის, ჩვენს ქვეყანაშიც) 60 მილიონზე მეტ კაცს აქვს უფრო დაბალი შემოსავალი (დღეში 2 დოლარი), ვიდრე ერთ ულატაკეს ამერიკელს. მე მგონი, ეს ციფრიც გაზერილია. საქართველოში 850. 000 პენსიონერია. მათი თვიური შემოსავალი კი მხოლოდ 33 ლარია.

სამაგიეროდ, საქართველოს პარლამენტში დასაქმებულთა (არა მარტო დეპუტატთა) საშუალო თვიური ხელფასია 1.060 ლარი, მთავრობის სახელმწიფო კანცელარიაში — 978, ფინანსთა სამინისტროში — 660, თბილისის მერიის ადმინისტრაციაში — 979, ხოლო საკრებულოში — 1543... მათ გვერდით 33 ლარის გამოჩენა, ალბათ, დიდზე დიდი სირცხვილია.

**ახლახან საქართველოში ხითხითით აღიარეს — ინფლაციის დონემ 10 პროცენტს გადააჭარბაო. ცხოვრება ძვირდება, ყველაფერს ცეცხლი ეკიდება. ენაღვლება ვინმეს?**

**ბონდო გულიაშვილი**

◉ ქალის ტვირთი





◉ სასამართლო

# ფულის გასესხება სიკვდილად ექცა

**ქუთაისელი გალაქტიონ შანიძე ერთხანს საცხოვრებლად ყაზახეთში, ქალაქ ტარაზში გადავიდა. იქ ადგილობრივი მცხოვრები ერსლან პოლატოვი გაიცნო, რომელსაც 2 ათასი დოლარი ესესხა. მეგობრული ჟესტის და დახმარების მიუხედავად, შანიძემ ფულის გასტუმრებას მისი მოკვლა ამჯობინა და საამისოდ საჭირო ხალხის ძებნაც გადაწყვიტა.**

იგი დაუკავშირდა ადგილობრივ კრიმინალებს სერგეი ტურგანოვსა და კონსტანტინე კონსტანტინოვს. მათ თავისი გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი, ავტომანქანა და მოტოციკლიათხოვა და პოლატოვზე თვალთვალი დაავალა, რათა მისი მარშრუტის მიხედვით მკვლელობის გეგმა შეედგინათ. ორი კვირის შემდეგ სცენარიც შემუშავდა...

1999 წლის 23 აგვისტოს შუადღისას შანიძე პოლატოვს შეხვდა და საღამოს მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან დროსტარება შესთავაზა. თანხმობის შემდეგ მისამართიც მისცა და ღამის პირველი საათისთვის შეხვედრაც დაუთქვა. ეჭვი რომ არავის აელო, შანიძემ მართლაც ჩაისვა მანქანაში თავისი საყვარელი ფატიმა ხაბუტხანოვა და თან მეგობრებისთვის სხვა ქალების წამოყვანაც სთხოვა.

ყველაფერი გეგმის მიხედვით აეწყო, კონსტანტინოვი და ტურგანოვი ცეცხლსასროლი იარაღით და ხელყუმბარით აღჭურვილნი შემთხვევის ადგილის შორიახლოს ტრიალებდნენ. თუმცა მოულოდნელად პოლატოვი იქ ორ მეგობართან ერთად მივიდა. მათი მანქანიდან გადმოსვლისთანავე კონსტანტინოვი და ტურგანოვი მთვრალი კაცის ნაბიჯებით მათკენ წამოვიდნენ. კონსტანტინოვმა დამალული თოფი ამოიღო და ერთი მეტრის მანძილიდან პოლატოვს გულში ესროლა. იგი ადგილზე გარდაიცვალა. მისი მეგობრები მკვლელს მიეჭრნენ და იარაღის წართმევა სცადეს, თუმცა ბოროტმოქმედებმა მათი მოკვლაც სცადეს, მაგრამ, საბედნიეროდ, თოფმა აღარ გაისროლა. მაშინ, უკვე ხელყუმბარა დააძრეს. აფეთქებამ პოლატოვის მეგობრები მსუბუქად დაჭრა, მისი მანქანა კი მთლიანად გადაბუგა.

ამ შეხლა-შემოხლის დროს შანიძე ხაბუტხანოვასთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, მოგვიანებით კი კონსტანტინოვსა და ტურგანოვს შეხვდა და ქალაქი დატოვა. თუმცა, საქმე მაინც „გასკდა“...

2006 წლის 9 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლომ შანიძეს თავისუფლება 14 წლით აღუკვეთა. თუმცა მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივრით განაჩენის გაუქმება და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მოითხოვა, რასაც მისი ადვოკატიც დაეთანხმა, იმ მოტივით, თითქოს საქმის მასალებით მისი დანაშაული არ მტკიცდებოდა.

ახლახანს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მისი საჩივარი განიხილა და ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.

**ლელა მანაველიშვილი**

◉ რეპლიკა

# ვინ აკრძალა განმეორება?

**რატომ არ ხდება ფეხბურთში ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების საინტერესო ეპიზოდების განმეორებითი ჩვენება? ადრე, მაგალითად, ერთხელ კი არა, 2-ჯერ, 3-ჯერ გვაჩვენებდნენ გატანილ გოლებს, თამაშგარე მდგომარეობებს, უხეშ მოცელვებს... ახლა მსგავსი არაფერია. ჩვენი სატელევიზიო კომენტატორები ხშირად ამბობენ, — აი, ამ ეპიზოდს ახლა განმეორებით ვნახავთო. უმართლებთ ათასში ერთხელ. ჩაიქროლა იმ ეპიზოდმა და მორჩა!**



არადა, სწორედ ამ ჩემპიონატზე იმდენი საეჭვო, საკამათო მომენტია, რომ განმეორება აუცილებელია. ეს ეხება ოფსაიდიდან გატანილ გოლებსაც, დაუნიშნავ პენალტებსაც, უმიზეზოდ გაძევებულ ფეხბურთელებსაც... ჩემი აზრით, ამას განგებ აკეთებენ, რათა ჭეშმარიტება დამალონ, მსაჯების მიერ მიღებული უნიათო გადაწყვეტილებები გაამართლონ. მაგრამ ეს ხომ არასწორია? სტადიონზე 50 ათასი მაყურებელია, ტელევიზორთან კი 500 მილიონი ზის. რატომ ილახება მათი ინტერესები?

და კიდევ: რატომ არ ხდება არა მარტო საინტერესო ეპიზოდების, არამედ მთელი შეხვედრების განმეორებითი ჩვენება? ულამაზესი მატჩი გამოდგა გერმანია-იტალია. სამი დღე თავისუფალი იყო საფრანგეთ-პორტუგალიის შეხვედრის შემდეგ. არც ერთი აჩვენეს და არც — მეორე. თუმცა ამ თამაშებს მაყურებელი დიდი სიამოვნებით ნახავდა, — ზოგი მეორედ, ზოგიც პირველად. ყველას ხომ არ ეცალა პირველივე მატჩების საყურებლად?

ორი მატჩი კიდევ დარჩა, ორივე უაღრესად საინტერესო. ეს წინასწარ ვიცით. იქნებ ეს თამაშები მაინც ვნახოთ განმეორებით? ბოლოსდაბოლოს, მსოფლიო ჩემპიონატები 4 წელიწადში ერთხელ იმართება და ამხელა „პრაიმ-ოტში“ თითო მატჩის განმეორება რა პრობლემაა? თუ ამას თანხები სჭირდება, იმ მილიონებს ცოტაც მიამატონ. ეს არც „მაგთის“ გაუჭირდება და არც „ნატახტარს“, რომელთაც ტრანსლაციების დროს, ბარემ, ასჯერ „შეგვახსენებენ“ ხოლმე!

**ბადრი ღვინიაშვილი**

◉ ჭრუანტელი

### ათასიდან ერთი...

**მსოფლიოს (მათ შორის, საქართველოს) მასშტაბით თანდაყოლილი გულის მანკით იბადება 1000-დან 1 ბავშვი, აქედან დაახლოებით 70 პროცენტს სჭირდება ქირურგიული ჩარევა. ამ დაავადებას ძირითადად იწვევს მშობლების რისკ-ფაქტორები, მაგალითად, ორსულობის პერიოდში გადატანილი ინფექციური დაავადებები, მიღებული ძლიერი მედიკამენტები, ჭარბი ალკოჰოლური სასმელები და სხვა.**

### სადაა ექიმის ფული?

**ყოველწლიურად რუსეთის ერთი მოქალაქე აფთიაქებში ხარჯავს 45 ევროს, გერმანიისა — 280, ამერიკისა — 350, იაპონიისა კი — 420 ევროს. მოსახლეობის დიდი ნაწილი აფთიაქებში წამალს ყიდულობს არა ექიმის რეცეპტით, არამედ საკუთარი გუმანით. ეს საქართველოსაც ეხება!**

### ვის ხარჯზე მატულობს?

**ჩვენს პლანეტაზე, მთელი ისტორიის მანძილზე, დაბადებულია 106 მილიარდი კაცი. 1950 წელს ცხოვრობდა 2,6 მილიარდი, 1970 წელს — 3,7, 1990 წელს — 5,3; 2006 წელს მსოფლიოს მოსახლეობამ მიაღწია 6,5 მილიარდს; ვარაუდობენ, რომ 2010 წელს ავალთ 6,8; 2030 წელს — 8,2; 2050 წელს კი — 9,3 მილიარდზე. მატების ყველაზე მეტი შანსი აქვს ჩინეთსა და ინდოეთს. სამწუხაროდ, სადღეისოდ საქართველო შეყვანილია მსოფლიოს 50 მომაკვდავ სახელმწიფოთა სიაში.**

### გაბითურება... ერთი საუკუნით

**აშშ-ს ფინანსთა სამინისტრომ ახლა გააუქმა 108 წლის წინათ მიღებული კანონი სატელეფონო საუბრებზე დამატებით 3-პროცენტიანი გადასახადის დაწესების შესახებ. მაშინ აშშ-ს ომი ჰქონდა ესპანეთთან და ფული სჭირდებოდა. ომი საუკუნის წინათ დამთავრდა, გადასახადი კი დღემდე დარჩა. 2006 წლის 31 ივლისიდან „გაბითურებული აბონენტები“ ამ დანამატს აღარ გადაიხდიან საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრებზე.**

### ბედისწერა მაინც პირველია

**რუსეთში გამოჰკითხეს 1600 კაცი, რომელთაც სწამთ ღმერთი. აქედან 35 პროცენტს სჯერა ბედისწერის, 21 პროცენტს — ავისმომასწავებელი ნიშნების, 9 პროცენტს — ჰოროსკოპის, 8 პროცენტს — მაგიის, 6 პროცენტს — მფრინავი თეფშების, 5 პროცენტს — სულის გადასახლების, ასევე 5 პროცენტს — სხვადასხვა რაღაცის. ცალკე აღნიშვნის ღირსია იმქვეყნიური ცხოვრება, რომლისთვის ემზადება გამოკითხულთა 11 პროცენტი.**

### 12 წელი... 13 წლისას!

**ორეგონის შტატში (აშშ) 13 წლის გოგონას — პოლი სუინის თავისუფლება აღუკვეთეს 12 წლით. იგი გაასამართლეს ორი თანაკლასელის მკვლელობის მცდელობისთვის, რომელთაც პოლიმ სკოლის სასადილოში რძეში ვირთხების წამალი ჩაუყარა. ბავშვებმა რძის ფერი დაიწუნეს, არ დალიეს და გადარჩნენ.**

### ჩემი მტერი ჩემი მოყვარეა

**დამაფიქრებელი მონაცემები გამოაქვეყნეს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა. მათი მტკიცებით, ადამიანები ძირითადად ნაცნობების, მეგობრების მსხვერპლნი ხდებიან. ყოველ შემთხვევაში, დამნაშავეებთან ძალიან ახლოს იყო მოკლულთა 80 პროცენტი, დაჭრილთა — 65, ნაცემთა — 50, გაუპატიურებულთა — 27 და მოტყუებულთა 25 პროცენტი. ასე რომ, შინაურებისგან მოდის არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი ემოციებიც. გახსოვდეთ ეს!**

**თანამედროვე ნოველა**

## ვახტანგ ახვლედიანი

# ბათუმური ჩანახატები აკვარელით

**ერთ-ერთი ბიზნეს-კომპანიის ოფისის ვრცელ კაბინეტში მაგიდას ახალგაზრდა კაცი უზის და ტელეფონით საუბრობს:**

— დიახ, მენეჯერი გახლავართ, კახა კახიშვილი. ორი წარმომადგენელი გაწყობთ? ჩვენის მხრივ, ყველა დოკუმენტი მზადა გვაქვს. დისტრიბუციას ნუღარ დაგვიგვიანებთ... ჩვენი ბიზნეს-გეგმის თქვენთვის საჭირო კოორდინატები უკვე გამოგიგზავნეთ. ქართული ცივი ჩაი „ჩაქვური“ მზადაა. ხარისხი — უმაღლესია. იცით, ხომ?.. — მობილური რეკავს. კახა იღებს. ტელეფონით: — უკვე შევთანხმდით, არა? — მობილურით: — Да, это я, Кахишвили...



ქუჩაში მანანწალა ბიჭუნა და გოგონა მიდიან. ბიჭუნა ათი წლის იქნება, გოგონა — ოთხი-ხუთისა.

— ბაჩო, ჩემი დაბადების შესახებ მომიყევი, რა?

— რამდენჯერ, ნატა.

— კიდევ ერთხელ და მეტი — აღარ...

— დედიკომ რომ სამშობიაროდან მოგიყვანა, მამამ წვეულება გამართა.

— როგორი ვიყავი?

— სულ თეთრებში გახვეული. მაქმანებიან თეთრებში. ტუჩებს აცმაცუნებდი ასე, ძალიან კარგი იყავი, ძალიან.

— რა საჭმელები გვქონდა წვეულებაზე?

— ხაჭაპურები... შემწვარი გოჭები... ჩურჩხელები, კამფეტები... რა ვიცი.

— ტორტი? ტორტი დაგავიწყდა, ბაჩო.

— ჰო, ძალიან დიდი და სართულებიანი ტორტი.

— შენ რომ მომეფერე, რა ვქენი?

— გაიღიმე. თვალები დახუჭული გქონდა და იღიმებოდა. პირს თევზივით აფჩენდი და იცინოდი.

— უხმოდ?

— ჰო, უხმოდ. მე გეფერებოდი, შენ კი იცინოდი. ისეთი კარგი იყავი, საყვარელი-საყვარელი!

კახა კვლავ მობილურით საუბრობს:

— Я же говорил, что с нашей стороны все будет о’кей, Постараюсь приехать днем раньше до начала симпозиума. Мы уже подготовили для конкурса наш „Чаквури“ _ отличный холодный чай...

თეა — თვრამეტიოდე წლის გოგონა სარკესთან კოპწიაობს.

„რა მოგდის გოგო, შეყვარებული გახდი? გამოგიჩნდა ოცნების პრინცი?.. უცებ მოიწყენს, — აღარ რეკავს. ვაწყენინე. აბა, რა მექნა, მაშინვე დავთანხმებოდი პაემანზე? ალბათ, ოფისშია ახლა. რას აკეთებს ნეტავ. იმდენი საქმე ექნება, იმდენი ... ჩემზე ფიქრისათვის სადა სცალია. თანაც, ვაწყენინე. აღარ დამირეკავს ნეტავ? — დივანზე დაჯდება და თოჯინას აიღებს. — შენ რას იტყვი, დამირეკავს? დედა მაფრთხილებს, ბიჭებისაგან თავი შორს დაიჭირეო. ბიჭები თავდაჭერილ და ამაყ გოგონებს უფრო აფასებენო. მამიდა კი... ახლა სხვა დროაო. შენს ფანჯრებთან სერენადებს არავინ გიმღერებსო. თუ ბიჭი მოგეწონა და ერთი ნაბიჯი გადმოდგა შენკენ, შენ ორი გადადგიო. კაცი უნდა მოიპოვო, მოინადირო, თორემ ჩემსავით გაუთხოვარი დარჩებიო... მე კი... რაინდობა, ვაჟკაცობა და თავგანწირვა რომ შეუძლია, ისეთზე ვოცნებობ. არა ვარ სწორი?.. გავანაწყენე კახა... იცი, როგორ მინდა მისი ხმის გაგონება? იცი?..“

კახა სავარძელშია გადაწოლილი.

— Люда, привет. Скучаешь? Я тоже. На следующей неделе прилечу, моя радость...

კაბინეტში დროდადრო შემოდიან ქალალდებით. ზოგს ხელს აწერს, ზოგს უბრუნებს, ზოგს — ამას გავეცნობიო, იტოვებს...

— ბანანები გამოგრჩა, ბაჩო.

— ყველაფერი გვქონდა, ნატა ყველაფერი. იმიტომ, რომ მამიკო გვყავდა და დედა არ ავამდყოფობდა.

— ჰო, — ეთანხმება გოგონა. ერთხანს უხრად მოდიან. — ატა როდის ვთქვი?

— ჯერ დედა თქვი, მერე — მამა. მერე კიდევ — ბაჩო. შენ რა გქვია-მეთქი, გკითხე. იფიქრე და უცებ — ატა!

— ნატა ვერ ვთქვი და იმიტომ?

— ჰო.

— ნაყინიც ხომ გვქონდა მაგიდაზე?

— ნაყინიც.

— მშია, ბაჩო.

თეა ზღვისპირა ქუჩას მიუყვება. ზღვა წყნარია, ზურმუხტისფერი. ნავსადგურში დიდი თეთრი გემი შემოდის, ნაპირთან მეთევზეები ჩამწკრივებულან, ხელში ანკესის ჯოხები უჭირავთ და მოთმინებით ელოდებიან სატყუარას შეძიძგილებას. ზღვისპირა კაფეები ხალხითაა სავსე...

ლამაზია თეა. ტანასხლეტილი, მაღალკანჭება, მწვანეთვალება. გეგონება, მთელს ტანში მზე, მთვარე და ვარსკვლავები აქვს ჩასახლებულიო.

მიდის და მზერას აყოლებენ — ვინ ცნობისმოყვარეობით, ვინ — აღტაცებით, ვინ კიდევ — შურით.

„რა ვქნა, დავრეკო? კაცს, ვაჟკაცს მე დავურეკო? რას იფიქრებს... ეჰ ვინ იცის, რამდენი ურეკავს. მოზეზრებულიც ექნება. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე“...

კახა ბოლთას სცემს კაბინეტში. ფანჯარასთან ჩერდება. ფარდას გადასწევს და ქუჩაში იყურება. მიმდებარე ეზოში მოხუცები დომინოს თამაშობენ. ახალგაზრდა ქალი აივნის თოკზე თეთრეულს აფენს. ქუჩაში მანქანები დაჰქრიან. ერთ-ერთი მაღალი სახლის აივანზე მხატვარს მოლბერტი გაუშლია და აკვარელის საღებავებით ხატავს. ლაჟვარდოვან ცაში თეთრი ლაინერი მიფრინავს...

„ერთ კვირაში პეტრებურგს გავემგზავრები. საქმეები... საქმეები... თან, გავერთობი ცოტას. „Как много девушек хороших, как много ласковых имен... წაიმღერებს. მერე: Колетта, Полетта, Жанетта, Жоржетта, Морьетта, пока я с вами, песенька моя не спета“... — სარკესთან გაჩერდება: — შენი ენერგია უქმად როდემდე უნდა ხარჯო, შე მართლა მოზვერო!...“

მობილური რეკავს. — ალო, პასუხობს კახა. თეა სწრაფად დახურავს მობილურს და ჩანთაში ჩააგდებს. „ერთი, ორი, სამი... — ითვლის, — მე უკვე მშვიდად ვარ. აი, უკვე სრულიად დავმშვიდდი, დავწყნარდი“.

ვიტრინასთან ჩერდება. თმებს თავის შერხევით გადაიყრის უკან. მკერდზე ჩამოიტანს მზერას, მერე მხრებს ზემოდან უკან გადაისვრის. ჩაუკეკლუც-ჩაუღიმებს ვიტრინას.

ბაჩო და ნატა ძელსკამზე სხედან. გოგონა თვალებს ისრესს.

— მეძინება, — ამბობს.

— ალბათ, დაიღალე. მუხლზე დამადევი თავი და დაიძინე.

— ფეხი გეტკინება.

— არ მეტკინება.

ნატა ძელსკამზე დაწვება. ფეხს მოიკეცავს, ძმას კალთაში ჩაუდებს თავს და თვალებს მილულავს.

— იავნანა მიმღერე, ბაჩო. შენ ისე კარგად მღერი!... მიმღერე და დამეძინება. ისე — არა.

— ბიჭუნა თავზე გადაუსვამს ხელს, კულულებს გაუსწორებს და ჩუმად მღერის:

**ახლა უნდა დაიძინო,**
**პაწაწინა მტრედო,**
**რათა ჩქარა გაიზარდო**
**შვილი სანაქებო.**
**ხის ტოტებში იავნანას**
**მღერის დედა ჩიტი,**
**ალბათ მალე დაიძინებს**
**მისი მარგალიტიც.**
**პაწაწინა საოცრებავ,**
**მზეო პაწაწინა,**
**რა ლამაზად იღიმები,**
**რა საყვარლად გძინავს.**
**გელოდება წუთისოფლის**
**კარგიცა და ავიც.**
**დაგიფარავს დედის ლოცვა**
**და მაცხოვრის ჯვარი.**

ბაჩოსაც ძილი ერევა. თვალები უმძიმდება.

**იავნანა, ნანოვ-ნანა,**
**იავნანინაო,**
**დაგიფარავს დედის ლოცვა**
**და მაცხოვრის ჯვა... რიიი...**

იძინებს. თეა გამოჩნდება. ძელსკამზე ბავშვებს შენიშნავს. შეჩერდება.

— საბრალონი. სად ცხოვრობენ ნეტავ. ჰყავთ ვინმე პატრონი? როგორ ჰგვანან ერთმანეთს. და-ძმა არიან ნამდვილად. — ფრთხილად ჩამოჯდება მათ გვერდით და თანაგრძნობით სავსე თვალებით უცქერის. უცებ რაღაც აზრი გაუელვებს. წამოდგება და ჩქარი ნაბიჯით მიდის. ბაჩო და ნატა კი სიზმარს ხედავენ. ჯერ სიბნელეში არიან გახვეულები, მერე ფერად-ფერადი ათინათები გამოჩნდება და თამაშს მოჰყვებიან. მრავლდებიან, მრავლდებიან ათინათები...

— რა ლამაზი ფერებიააა... — ამბობს ნატა.

— ძალიან! — პასუხობს ბაჩო.

— ჩვენ სიზმარში ვართ?

— ჰო.

— როგორ მინდა, დიდხანს გაგრძელდეს. შეხე, ბაჩო, ფერია გამოჩნდა... რა ლამაზი კაბა აცვია, თეთრი-თეთრი და ფუშფუშა. თვითონაც ძალიან ლამაზია. კოლოფი უჭირავს. ნეტავი, რა აქვს შიგ?

— არ ვიცი, ჩუმად, ნატა, არ დავაფრთხოთ.

— ეს ხომ სიზმარია, მაგრამ... სიზმარში შეიძლება დაფრთხეს და გაფრინდეს.

როგორ მინდა, მეც ისე ლამაზი ვიყო და ფუშფუშა კაბები მქონდეს.

თეა ბავშვებს მიუახლოვდება, ძელსკამზე ჩამოჯდება და შესცქერის. მერე მათ გვერდით ოქროსფერი თასმით გაკრულ კოლოფს დადებს და ფრთხილად მიდის. სიბნელეში ფერადი ათინათები ერთხანს თამაშობენ და ეფერებიან ბავშვებს, მერე ისინიც ქრებიან. ნატა და ბაჩო იღვიძებენ.



— რა კარგი სიზმარი ვნახე, ბაჩო, — ამბობს ნატა თვალების ფშვნეტით, — იცი, რა კარგი?...

— მეც.

— ფერია მესიზმრა.

— მეც.

— ხელში კოლოფი ეჭირა. ოქროსფერი ბაფთით გაკრული. ერთხელ მაინც რატომ არ ახდება სიზმარი?

— აბა, ეს რა არი?! — კოლოფზე ანიშნებს ბიჭუნა.

— ვაიმე, ფერიას მართლა მოუტანია!

— ჰო, ნატა. თანაც ჩვენ რომ სიზმარში ვნახეთ, სწორედ ისეთი.

— გახსენი, რა!

— ახლავე, — ბიჭუნა თასმას გახსნის, — რა ლამაზი ტუფლებია, ნატა. ეს წითლები შენია, ესენი კი — ჩემი.



— ბაჩო, ბაჩო, ნახე, რა კარგად მომერგო. — გოგონა წამოდგება და ძმის წინ დადის, — — ხომ მიხდება? ვაიმე, აქ წერილიცაა, რა წერია ნეტავ?

— მართლა? მომეცი, წავიკითხო. — ბიჭუნა წერილს გამოართმევს და კითხულობს: „ეს ტუფლები თქვენ გიყიდეთ, პატარებო. ჩემი სტიპენდიით. მაპატიეთ, მეტი ვერ შევძელი“.

— სტიპენდია რა არის? — ეკითხება გოგონა ძმას.

— ინსტიტუტში ვინც კარგად სწავლობს, ფულს აძლევენ. მას სტიპენდია ჰქვია.

— სიზმრის ფერიებიც ინსტიტუტებში სწავლობენ, ბაჩო?..

უცებ თეას მობილური აჟღერდება. იტალიურ რომანსს „დაბრუნდი სორენტოში“ ისე ლამაზად უკრავს, რომ ამღერება მოგინდება. თეას ერთხანს უჭირავს მობილური, მერე ნელა მიაქვს ყურთან.



— რეკავდით თეა?

— კახას ხმაა.

— რა, მე-ე? ალბათ, შეცდომა მომივიდა.

— ხდება.

— თქვენი ხმა მეცნო.

— კახა ვარ, თეა.

— ეს... რომელი კახა? ჰო გამახსენდა... შეცდომით მომივიდა. მაპატიეთ, სხვა დროს დამირეკეთ, კარგი?

— ტელეფონის მეხსიერებაში ნაცნობი ბევრი გყავთ, თეა?

— საკმაოდ.

— ჩემთან კი მოხვდით.

— აკი გითხარით, შემთხვევითმეთქი.

— თქვენზე ვფიქრობდი და ზარიც გაისმა. შევხედე და თვალებს არ დავუჯერე, თქვენი სახელი და ნომერი იყო ეკრანზე.

— კარგი, დაგიჯერეთ, იმიტომ, რომ ასე მირჩევნია.

— მართლა? ახლა სადა ხართ?

— კაფე „გულქანში“ ვზივარ. ზღვისპირა პარკში რომაა. ძალიან ცხელა. ალბათ, ნაყინს შევუკვეთავ.

— მეც მოვალ.

— ნუ შეწუხდები, კახა. მე მალე უნდა წავიდე... ჰმ გათიშა. — მობილურს ჩანთაში ინახავს.

მეზობელ მაგიდასთან შუახნის ქალი და კაცი ყავას შეექცევიან. კაცი გაზეთს ათვალიერებს.

— შეხე, რა ლამაზი გოგონაა, — მიმართავს ქალი ჩურჩულით და თეაზე ანიშნებს.

— კი, ძალიან ლამაზია, — კაცი კვლავ გაზეთს მიუბრუნდება. — კარგი ლექსი დაუბეჭდავთ.

ქალი დაინტერესდება.

— აბა, წამიკითხე.

— ლექსის სათაურია „როცა გაქრება ვარსკვლავი“. მერე წერია, „ვუძღვნი თეას“.

თეა ყურს მოჰკრავს.

— მაპატიეთ, პატივცემულო... იცით. ძალიან-ძალიან მიყვარს ლექსები...

— ხმამაღლა წავიკითხავ, — პასუხობს კაცი. — ჰო, როგორც ვთქვი, „როცა გაქრება ვარსკვლავი“.

— ბოდიში... ვის ვუძღვნიო, ბიძია?

— თეასო. წავიკითხო?

გოგონა თავს უქნევს.

**ასე მგონია, სამყარო**
**არის უგულოდ მშვიდი,**
**როცა ზღვისფერი ასული**
**ზურგს შეგაქცევს და... მიდის.**
**ცარიელდება სული და**
**დგება ტკივილი დიდი,**
**როცა მზისფერი იმედი**
**მიგატოვებს და... მიდის.**
**როცა გაქრება ვარსკვლავი,**
**შენს იმედად რომ სთვლიდი,**
**გგონია, თავად სიცოცხლეც**
**გაგეცალა და... მიდის.**

— მართლაც მშვენიერი ლექსია, — ამბობს ქალი. — ავტორი ვინაა?

— კახა კახიშვილი. ასეთი არ მსმენია. ალბათ, დამწყებია. მოდის ნიჭიერი თაობა!

— ვაიმე! მაჩუქებთ, ძია, მაგ გაზეთს? — ეხვეწება თეა.

— შენი ახლობელია, შვილო?

ოფიციანტი ნაყინით სავსე ლამბაქს დებს თეას წინ.

— გმადლობთ. ჰო, ნაცნობი... ჩემ დაქალზე წერს.

— ბედნიერი ყოფილა შენი დაქალი, ასეთ ლექსებს უძღვნიან, — ეუბნება ქალი.

— ძალიან, ძალიან ბედნიერია, ქალბატონო.

— ინებე, შვილო, — კაცი გაზეთს უწვდის. თეა გამოართმევს.

— გმადლობთ, მე წავედი. — წამოხტება და გარბის. უცებ მობრუნდება, — ძალიან დიდი მადლობა.

— შენ რა გქვია, შვილო? — დაადევნებს ქალი.

— მე... მე თეა მქვია, — უნებურად წამოსცდება...

ყმაწვილი კაცი მანქანას აჩერებს, კეტავს და აჩქარებულად მიაბიჯებს პარკში მიმოხვეულ ფილაქნიან ბილიკზე.

მაგიდებს ათვალიერებს.

თეა არსად ჩანს.

— როგორ ფიქრობ, ვინაა ის ახალგაზრდა? — ეკითხება ქალი ქმარს.

— ლექსის ავტორი... — მცირე ყოყმანის შემდეგ პასუხობს კაცი, — ჰო... კახა კახიშვილი.

— შეხე, რა სახე აქვს... ასე ჰგონია, მასხრად აგიგდიოო.

— მეც მასე ვიფიქრებდი... კარგი ბიჭი ჩანს. დალოდებოდა, ნაყინსაც შეჭამდა.

— ის გოგო მართლა ბედნიერია ძალიან.

— ბიჭი? — ეკითხება კაცი.

კახა ერთხანს დგას, მერე ხელს ჩაიქნევს და შემცბარი სახით უკანვე მიუყვება ბილიკს.

„ოჰ, რა სულელები ხართ მამაკაცები“. — ფიქრობს ქალი.

კაფესთან შორიახლოს ბაჩო გამოჩნდება. გოგონა ისევ ძელსკამზე ზის. ძმის ფეხსაცმელები გულში ჩაუხუტებია.

ბიჭუნა ნაყინიან ლამბაქს შენიშნავს მაგიდაზე: მიიხედ-მოიხედავს, მკვირცხლად მიირბენს, ხელს დასტაცებს და მოჰკურცხლავს.

— ნახე, რა მოგიტანე, ნატა!

— რა კარგი ხარ, ბაჩო, — გამოართმევს და ჭამას შეუდგება — უუჰ, რა გემრიელია!

შენ კი არ გინდა?

ბიჭუნა ნერწყვს გადაყლაპავს.

— არა, მე არ მიყვარს ნაყინი.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №63

## ვინ არის … ქალი…

**ნათქვამებს, რასაც ტექსტოლოგები სხვადასხვა ინტერპრეტაციებით განმარტავენ...**

* * *

ჩვენს გაკვირვებას იწვევს ერთი, ვფიქრობთ, სკანდალური სტატისტიკური სურათი: ქვეყანაში, სადაც თავისუფლების სიმბოლოა აღმართული, **საიდანაც ყოველწლიურად ისმის ახალი დემოკრატიის ხმები, ქვეყანა, რომელიც ჭკუას არიგებს მთელ მსოფლიოს, საგანგებო რეალობის წინაშეა:** ამერიკაში ბოლო ერთი წლის მანძილზე 25 მილიონი გაუპატიურებული ქალია!

თვით ისეთ სტაბილურ და გაწონასწორებულ სახელმწიფოში, როგორიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაა, დღეს აქტუალურია ქალებისადმი ძალადობის თემა.

ფედერაციის სტატისტიკური ცენტრი, ხელისუფლებასთან ერთად, ამ

რუსეთის სპეციალურმა სამსახურებმა გამოარკვიეს, რომ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული სადიზმით გამოირჩევიან **არა მოსახლეობის შედარებით დაბალი ფენის წარმომადგენლები (მუშები, გლეხები, ხელოსნებიძ, არამედ ელიტარული დარგების მუშაკნი — ექიმები და იურისტები.**

ისინი თურმე ცდილობენ და ამაში გარკვეულად დაოსტატდნენ კიდეც, რომ ცოლ-შვილი ისე გალახონ, ძალადობის კვალი არ დაამჩნიონ. რუსული ოჯახების ურთიერთობებში ხომ ოდითგანვე აქტიურად ერეოდა მილიცია თუ სასამართლო ორგანოები. ხდება ასეც: ოჯახის პრესტიჟის გადასარჩენად ან რაიმე სხვა მოსაზრების გამო, ნაცემი ცოლი ჩუმადაა და ასე ნელ-ნელა უახლოვდება თავისი ბედკრული ცხოვრების აღსასრულს...

# ქალბატონები მიდიან...

## რატომ გაიწირა „მშვენიერი სქესი?“



**„უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დაახლოებით 200 მილიონი ქალი და გოგონა მსოფლიოში „დემოგრაფიულად გაქრა“, — იტყობინება იტალიური გაზეთი: „Corriere della sera“. იქვე ჟურნალისტი შეშფოთებით განმარტავს, რომ ამ რეალობის მიღმა კატობრიობის წინაშე ერთ-ერთი ყველაზე შოკისმომგვრელი დანაშაულია: სისტემატური განადგურება ქალების, რომლებიც დისკრიმინაციის, შიმშილის თუ მკვლელობების უნებლიე მსხვერლნი ხდებიან.**

**რა დემონური ვნებები დაეუფლა დედამიწას? რატომ გაიწირა მშვენიერი სქესი? რატომ შეიცვალა განუმეორებელი ურთიერთობები ქალბატონებსა და მამაკაცებს შორის?**

ქალთა დისკრიმინაციის სტატისტიკას პირველნი ჟენევაში გამოეხმაურნენ. საინტერესოა, რომ ქალთა დაცვის ყველაზე სერიოზული ორგანიზაცია **შვეიცარიის შეიარაღებული ქალების ბაზაზე შეიქმნა (როგორც ჩანს, მამაკაცები ღელავენ!..ძ.**

მათ განაცხადში ვკითხულობთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები დუმილის პასიურ პოლიტიკას არჩევენ, როცა ჩვენს წინაშეა „ევას მკვლელობა“.

ისევ სტატისტიკა: დაახლოებით 60 მილიონი გოგონა ლიკვიდირებული იყო ჯერ კიდევ დედის საშოში. გოგონების გაჩენა არ სურთ ჩინეთში, სამხრეთ კორეაში, ინდოეთში, ჩრდილო აფრიკაში... იგებენ რა მომავალი ბავშვის სქესს, დაბადებამდე კლავენ...

გარდა ამ ბარბაროსული ფაქტებისა, მსოფლიოში დაახლოებით 3 მილიონი ქალი სპიდითაა დაავადებული, 12 მილიონი — მალარიით. საკმაოდ დიდი პროცენტი, საკუთარი ქმრებისგან ფიზიკურ და მორალურ რეპრესიებს განიცდის.





მილიონობით ქალს კლავენ გაუპატიურების შემდეგ.

* * *

2005 წლის მონაცემებით მსოფლიოში ყოველ მეათე ქალზე სექსუალური ძალადობა ხორციელდება.

სოციალური კვლევის თანახმად, 700 ათასიდან 2 მილიონამდე ქალი სექსუალური მონაა და მათ ყოველწლიურად უცხოეთის ქვეყნებში ჰყიდიან. ეს რაოდენობა 50 პროცენტით მეტია, ვიდრე ხუთი წლის წინათ იყო...

**მეცნიერები ვერ აღგენენ, თუ რატომ უარესდება მდგომარეობა... სიტუაციის ახსნას ცდილობენ თეოლოგები, ეკლესიის მსახურნი... იმოწმებენ წინასწარმეტყველთა კოდირებულ, დაშიფრულ გამო-** პრობლემაზე განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობს...

* * *

უაღრესად მძიმე მდგომარეობაა რუსეთში, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საოჯახო ძალადობების 50 პროცენტი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ხდება... თუმცა ფხიზელ მდგომარეობაშიც კი ცოლ-ქმრის უამრავი ცემა-ტყეპაა აღნუსხული.





მოკლედ, მშვენიერი სქესის რაოდენობა კლებულობს... ქალბატონები მიდიან... იმ ქვეყნად...

* * *

**რა ხდება ჩვენთან, საქართველოში?** ამ თვალსაზრისით, ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ სექსუალური მონობის, სხეულით ვაჭრობის თუ ნარკობიზნესთან ურთიერთობის შედეგად უამრავი დამნაშავე თუ უდანაშაულო ქალის სიცოცხლეა საფრთხეში.

რაც შეეხება ე. წ. ცემა-ტყეპას:

ვფიქრობთ, ქართველ მამაკაცებს ქალბატონებთან მასიური მუშტიკრივი არასოდეს ექნებათ გამართული... თუმცა, ამ სტრიქონების წერისას, საქართველოს ტელევიზია რაღაც საოჯახო სკანდალის სცენებს გადმოსცემდა. ჯერჯერობით, მსგავსი შემთხვევები ალბათ ერთეულია და განზოგადებისთვის არ გახლავთ ტიპური...

**ქართველ მამაკაცთა ტრადიციული თაყვანისცემა ქალებისადმი ვიმედოვნებთ, რომ არასოდეს დაიკარგება ისე, როგორც არ გახუნდება ეს სტრიქონები: „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“... „ვინ არის ეს ქალი, ასეთი ცისფერი?“... ან თუნდაც, ლეონიძისეული: „დედაო, დაო, სატრფოვ, ძვირფასო“...**

**ნუნუ ვანიძე**

**სურათებზე: საუკუნის კონტრასტები.**

* * *

*ყველა დრო მარტოობის საკუთარ ფორმულას გვთავაზობს.*

*მარკესის „მარტოობის ასი წლის“ კლასიკად ქცეული სათაური — მეტაფორა ყველა შემდგომი თაობისთვის სიმბოლურიცაა და ეტაპობრივიც.*

*კლასიკური მემკვიდრეობის ასეთი დინამიური შეგრძნება ადამიანის კულტურაში არსებობის თავისებური მონაპოვარია, ვინაიდან ის, რაც ეხება ხელოვნებას, ხელოვნების აღმქმნელსაც ეხება. გერტრუდა სტაინის სიტყვებიც, ჰემინგუეის გარემოცვისთვის წარმოთქმული: „თქვენ დაღუპული თაობა ხართ!“, ასევე მრავალმა, სრულიად განსხვავებულმა და სხვადასხვა სოციალურ სივრცეში არსებულმა თაობამ პორტრეტულ მსგავსებასავით, იგივეობის ნიშნით გაითავისა.*

*ვინ იცის, ეს ცნობილი ფრაზა ყველაზე მეტად ჩვენი დროების გამოხატულებაც გახდეს, მაგრამ ალბათ უფრო კარგად ის ვიცით, რაც იყო და არა ის, რაც იქნება, თუმცა ყოფიერების სიღრმეში შესაღწევად ყველაზე ზუსტ მაგალითებს სწორედ წარსული გვთავაზობს. ყველანი, ასე თუ ისე, წარსულიდან მოდიან...*

*ძვირფას თარიღებთან ერთად, რა მოგვიმზადა, მოუშორებლად და სამუდამოდ, რა დაგვიტოვა გარდასულმა დრომ? იქნებ მხოლოდ სურვილი ნამდვილის და ყალბის სწორი არჩევანის. ჩვენს გვერდით დარჩა შენიღბული ჯალათიც, შეშინებული მასხარაც და მათგან ყოველთვის განწირული ადამიანი — პიროვნულობის ნიშნით...*

*სიცოცხლისუნარიან ჯალათთა სხეულები ჩვენ დროებასაც გადმოჰყვნენ უჩინრად, ახალგაზრდებისადმი უპირობო მორჩილებით, თავაზიანი ღიმილით...*

*ისინი ხელისუფლებისთვის სხვაზე მეტად სანდო და სასურველნი არიან, რამეთუ არასდროს იქნებიან ამბოხებულნი...*

*სტუდენტმა ანა კილურაძემ სწორედ ასეთი და არა რომანტიკულ-ჰეროიკული გმირის ცხოვრების აღწერა სცადა, ანუ იმ ადამიანის, ვის ყოფასაც ძნელია რომ არსებობა ეწოდოს, ვისი სულიერი ნგრევაც კომუნისტური და პოსტკომუნისტური „აღმშენებლობის“ ხანაში მოხდა. არარაობად ქცეული წარსული თავისი შემზარავი უჩუმრობით და უსახობით ისევე საშიშია, როგორც აგრესიული აწმყო.*



*„კვირაძალს საკითხავი“ სიამოვნებით გთავაზობთ ანა კილურაძის ჟურნალისტურ დებიუტს, მის, ვფიქრობთ, წარმატებულ მცდელობას, შეეცადოს ახსნას, თუ როგორ მონაწილეობს წარსულში აწმყო და რა არ შეუძლია შეცვალოს დრომ.*

**ნინო ხოფერია**

# მარტოობის ორმოცდაათი წელი



**რისთვის ან რატომ მოდიან ისინი? იმისთვის ხომ არა, რომ დაგვიდასტურონ ცხოვრების უსარგებლობა და ჩვენი მარტოსულობა ამ სამყაროში? მათი არსებობა ისევე გარდუვალია, როგორც ყოველგვარი ტკივილი...**

* * *

„...მზის პირდაპირი სხივები აუტანლად იკბინება, თვალის გუგები წერტილებივით დაწვრილდა... კუჭი მედუზასავით კანკალებს... მწვავე ტკივილი მუხრუჭებს უჭერს შუბლს... ეს ზღვარია. **დიახ, მაგრამ სად ჯანდაბაში გაქრა ჩემი ნიჩაბი?..“** წამალმა შეგრძნებები მოიტანა და აურია კიდეც. **„ნამდვილად ხელში მეჭირა, ვაპირებდი იარაღად გამომეყენებინა და ყველა დამეხვრიტა, შეუბრალებლად, როგორც ჩვენ, ბოლშევიკები ვხვრეტდით საუკუნეების მანძილზე გამოყვანილ ქართული ჯიშის თავად-აზნაურობას (მგონი, ამაზე არც ნეობოლშევიკები იტყვიან უარსძ. ვიხსენებ ყველას, ვისაც მე, ერეკლე ერაძემ, სიკვდილი მივუსაჯე, მათ, ვინც ამ დღეში ჩამაგდო და მათ, ვინც მიმატოვა, ვის გამოც მარტოობის ექსპერტი გავხდი“...**

თვალები ეხუჭება, ცხვირი ეფხანება, არა, ყველაფერი ეფხანება. სველი ცხვირსახოცი უფრო სველდება მის ოფლში და ყროლდება.

ქვემოთ ვიღაც ასიგნალებს. მას რეფლექსურად გამოეღვიძა, მაგრამ სულ ტყუილად. 90-იანი წლებიდან, როგორც ყველას, მასაც, ფული არ აქვს და ის არავის ახსოვს. ან ახსოვთ, მაგრამ სირაქლემას პოზიცია ამჯობინეს ისედაც ცხოვრების ტკივილისგან გამსკდარი თავის ატკივებას.

თვალი გაახილა, უკვე მეორე დილაა... და კიდევ ერთხელ შეადარა მიტოვებულ ორჩხომელს თავისი ცხოვრება. გული დაწყდა, რომ მის გვერდით სულიერი არავინ იყო. ისევ წითელ დივანზე იწვა, „პანასონიკის“ ძველ ტელევიზორში რაღაც ხდებოდა. მოზეზრებულ, მაგრამ საგვარეულო (ის ხომ ტრადიციული ოჯახიდან იყოძ, ერთგულ და საყვარელ სახლში იჯდა. სახლში, რომელიც მშობლებმა ოჯახური იდილიისთვის დაუტოვეს. **„ოჯახური იდილია არა ის!“** კუჭი აეწვა შიმშილისგან (შიოდა, მაგრამ არაფერს ყიდდა სახლიდან, რადგან კიდევ რაღაც... ოჯახომანიით იყო შეპყრობილიძ, მაცივრის გამოღებას აზრი არ ჰქონდა და ბოლო კოვზ ყავას ადუღებული წყალი დაასხა. ხელში პასტა აიღო და გუშინდელი ნახატის ჯღაპნა გააგრძელა, სადღაც წავიდა... და ჩაიკარგა, არაფერი ესმოდა და არც უნდოდა გაეგო. ცოლიც ჰყავდა და შვილიც, თან თითქოს არც ჰყავდა...

ასე ცხოვრობდა, ამას თუ ცხოვრება ჰქვია?

სიცილისმაგვარი აუტყდა. მიხვდა, უაზრობაა ეს ყველაფერი. გუშინ გამოფენაზე იყო. მთელი სალამო ემზადებოდა, გემოვნებით ჩაცმული, ფრანგი მეგობრის ნაჩუქარი ყელსაბამით დამშვენებული, ადამიანებში აირია. „ლონდონელი დენდი“ იმერული კუდაბზიკობით იბლინძებოდა. შეიძლება დაავიწყდა კიდეც, სანამ აქ მოვიდოდა, რას აკეთებდა, რომ შიოდა, მარტოობა რომ ყელში წაწვდომოდა და ახჩრობდა. გამოფენაზე ცოლ-შვილთან ერთად ამაყი იდგა, სანამ 12 საათმა არ ჩამოკრა და „ზღაპარი“ არ დამთავრდა. ახლა კი სახლში დაბრუნებულს, ეცინებოდა თავის თავზე, რადგან „ელიტარული“ საზოგადოების მასკარადზე ჰამლეტის მასხარას როლი ითამაშა, ხოლო თავად მის უკან რაც იყო, დღეს შიშს აღარ ჰგვრიდა, შერჩა და მორჩა... ისიც დაინახა, რომ თითქმის იგივეს იმეორებდნენ დღევანდელი „წარმატებულნიც“...

აღმოჩნდა, რომ საბინადროს ამორჩევაში შეცდა და უცხო ადამიანთა შორის ცხოვრობდა და მეტიც, ისევ მათთან აპირებდა ცხოვრებას... მშობლების დატოვებულ სახლში თითქოს საგნებიც გაუცხოვდნენ. გააცნობიერა და ჩამოდგა ჟამი რაღაც ისეთისა, რაც მეგობრობაზე, სიბრალულზე თუ სიყვარულზე უფრო მნიშვნელოვანია, უფრო ადამიანური, უფრო ნამდვილი და უფრო ღრმა...

სხვა ჩინოვნიკებთან შედარებით განსწავლულიც იყო, მაგრამ ამ განწყობილებას ვერაფრით მოუძებნა შესაფერისი სახელი. მექანიკურად და უღონოდ ახედა მშობლების დატოვებულ წიგნების თაროებს...

წამოდგომა სცადა, უცებ იგრძნო, რომ ველარ ადგებოდა, რადგან თავად მას უახლოვდებოდა რაღაც გარდაუვალი. ტკივილი გულთან, ძალიან ახლოს... და ნუთუ, შეიძლება ასე ჩვეულებრივად და უბრალოდ მოვიდეს აღსასრული? რატომ უცებ? ნახევარი საუკუნე ხომ იცოცხლა... იგრძნო, რომ ბუენდიებისგან შორეული მემკვიდრეობით მარტოობის მხოლოდ ორმოცდაათი წელი ერგო.

**ანა კილურაძე,**
**თსუ ჟურნალისტიკის დეპარტამენტის III კურსის სტუდენტი**

## „თქვენ დაღუპული თაობა ხართ“... გ. სტაინი

# გრაფ მიუნჰაუზენის უცნობი შთამომავალი



ლეგენდალურ გრაფს, შესანიშნავი ლიტერატურული ვერსიის უკვდავ პერსონაჟს — ფონ მიუნჰაუზენს — ყაბარდო-ბალყარეთის სრულიად მიყრუებულ კუთხეში, დაბა პრიხლადნოვოში მცხოვრები შთამომავალი აღმოაჩნდა.

რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ დაბაში მცხოვრები ვინმე **ვლადიმერ ნაგოვიცინი გახლავთ ცნობილი ბარონ მიუნჰაუზენის პირდაპირი შთამომავალი.**

სასამართლოზე წარდგენილ იქნა ისტორიული დოკუმენტები, რის თანახმადაც 1739 წლის ივლისში, სანკტ-პეტერბურგში ჩაბრძანებული ბარონ მიუნჰაუზენი არაერთმნიშვნელოვნად დაახლოებია **„კნიაგინია“ გოლიცინას.** ამ რომანტიკული სასიყვარულო შეხვედრის რეზულტატი ე.წ. უკანონო ბავშვის (გოგონასძ გაჩენა იყო.

ეს ფაქტი სანკტ-პეტერბურგის არისტოკრატიაში ნამდვილ სკანდალს გამოიწვევდა, ამიტომ „კნიაგინია“ გოლიცინამ ახალდაბადებული ბავშვი აღსაზრდელად კაზაკების ატამანის ნაგოვიცინის ოჯახს გადასცა. ამ სახით **ფონ მიუნჰაუზენთა გენიალოგიურ ხეში რუსული შტო გაჩნდა.**

ბარონის შვილიშვილმა ახალი პასპორტი მიიღო, გვარის მცირეოდენი ცვლილებებით: **ვლადიმერ ნაგოვო-მიუნჰაუზენი.**

* * *

არავინ იცის, ეს ახლადაღმოჩენილი შთამომავალი როგორ წარმართავს თავის ცხოვრებას და როგორ გამოიყენებს ფონ მიუნჰაუზენთა გვაროვნულ ტიტულს თუ ლიტერატურულ პოპულარობას. ერთი კი ფაქტია, დრო შეიცვალა და ნაგოვო-მიუნჰაუზენის მომავალი ცხოვრება მისი წინაპრის საგმირო თავგადასავლებს ველარ გაიმეორებს.



ჟულიეტა რუხაძე – 85

# გვირგვინი მხცოვანთა და მაგალითი ყრმათა

## ღრმა, წარუშლელი კვალი



**დიდად პატივცემულო ქალბატონო ჟულიეტა!**

**მოგესალმებით თქვენ, ცნობილ ქართველ მეცნიერს და გილოცავთ დაბადებიდან 85 წელსა და მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლისთავს.**

ჩვენ, პატივისცემის გრძნობით აღვნიშნავთ თქვენს ღვაწლსა და ამაგს ქართული მეცნიერების წინაშე, გისურვებთ მუდამ ასე მხნედ და ენერგიულად ედგეთ მხარში ეროვნულ მეცნიერებას. თქვენი ცხოვრება და მოღვაწეობა კი იქცეს „ვითარცა გვირგვინი მხცოვანთა და მაგალითი ყრმათა“.

**საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის გამგეობა**

## თქვენით ვეზიარე ეროვნულობას, ხალხურ კულტურას

**ძვირფასო ჟულიეტა!**

**პატივი, რომელსაც დღეს საზოგადოებისაგან იღებთ, იმ დაუღალავი შრომით მოიპოვეთ, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ეწევით ეროვნული კულტურის სამსახურში.**

თქვენ, ჩვენი საუკუნის გამორჩენილ მეცნიერებთან ერთად შექმენით ქართული ეთნოგრაფიის განვითარების ის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლითაც დღეს სამართლიანად ამაყობს ქართული მეცნიერება.

მეამაყება, რომ ჩემი ყველაზე საუკეთესო წლები დაკავშირებულია ქართულ ეთნოგრაფიასთან. მე დავდექი იმ ნაკვალევზე, რომელიც ჩემზე ადრე გაიარეს ჩემმა მასწავლებლებმა ე. ლანსერემ, ი. შარლემანმა, უ. ჯაფარიძემ, ს. ქობულაძემ და სხვებმა.

ქართული ეთნოგრაფიის ფუძემდებლის გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძის, ა. ლეკიაშვილის, თქვენი, თ. ოჩიაურის და სხვათა გარემოცვაში მე ვეზიარე ეროვნულობის, ხალხური კულტურის შეცნობისა და დაფასების უნარს. ჩემი კრედოა ბატონი გიორგის შეგონება: „მხატვრობა უნდა გამოვიდეს ვიწრო ნაციონალური ჩარჩოებიდან და გახდეს უნივერსალური, წინააღმდეგ შემთხვევაში, დარჩება მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობისად“. აზროვნება, რომელიც თქვენთან ურთიერთობაში ჩამომიყალიბდა, დღემდე მაძლევს საზრდოს ჩემს შემოქმედებით და რუსეთის სამხატვრო აკადემიის საქმიანობაშიც.

მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა და საუკეთესო სურვილები თქვენი დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

ვიხსენებ თქვენს თბილ, სტუმართმოყვარე ოჯახს, ბრწყინვალე პიროვნებას ბატონ ავთანდილს, ენციკლოპედიური განათლების და ხალასი იუმორის ადამიანს.

ვულოცავ თქვენს შესანიშნავ შვილებს, ნუნუ და კახა ბენდუქიძეებს, და ვუსურვებ, ღირსეულად გააგრძელონ დიდებული ოჯახის ტრადიციები. გისურვებ მათთან ერთად ბედნიერებას, სიკეთეს და დღეგრძელობას.

**ზურაბ წერეთელი**

**მოსკოვი. 7.07.06**

**წინამდებარე წერილში ჩვენ გადავუხვევთ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მიღებული მილოცვების ტრაფარეტს და შევეცდებით, იუბილარის ცხოვრების გზა წარმოვაჩინოთ ეთნოლოგიის მეცნიერების განვითარების ფონზე.**

**თანამედროვეობამ მეცნიერებაში თაობათა ღვაწლის გადაფასების მტკივნეული პრობლემა დასვა. როგორც გარდამავალ პერიოდს ახასიათებს, ახალი შეფასების კრიტერიუმი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს წინა თაობის ღვაწლს.**

## ასეთ მეცნიერებზე იდგა და იდგება დარგი

ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა ობიექტური მიდგომით სამეცნიერო მიღწევებიდან საუკეთესო ნაწილის შერჩევა: ხარისხობრივი და არა რაოდენობრივი ნიშნით, კვლევითი ნაშრომების გამიჯვნა კომპილაციურიდან და შესაფერისი ადგილის მიჩენა. ახალი სამეცნიერო კადრების მშენებლობა უნდა მოხდეს არა ძველი თაობის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სრული უგულებელყოფით, არამედ მასზე დაყრდნობით, მისი საუკეთესო ნაწილის გამოყენებითა და განვითარებით.

დღეს უჭირს ქართულ მეცნიერებას, განსაკუთრებით ეთნოლოგიას, როდესაც მის წინაშე წამოჭრილია მტკივნეული პრობლემები. თითქოს ისტორია მეორდება. იგივე მდგომარეობაში იყო დარგი, საუკუნის წინათ, ჩამოყალიბების პერიოდში: მაგრამ სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ყველაზე მძლავრი ეთნოგრაფიული სკოლა აკად. გ. ჩიტაიას მოთავეობით, რომლებიც ამ წლებშიც ახერხებდნენ საველე მუშაობის წარმოებას და საერთაშორისო მნიშვნელობის ნაშრომების შექმნასაც, ხოლო მათ მიერ შეკრებილი საველე მასალები დღემდე რჩება უნიკალურ ისტორიულ წყაროდ. რა აძლევდა ეთნოლოგთა პირველ თაობას ძალასა და უნარს, დაეძლია ის დიდი წინააღმდეგობა, რაც დარგის შექმნას უძღოდა წინ. უპირველესად მოგავლის რწმენა, მიზანი, ფანატიკური გატაცება საქმით, ქართველი ხალხისა და მისი ისტორიის სიყვარული.

ჟულიეტა რუხაძე ამ პირველი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლისთვისაც ეთნოლოგია მეექვსე თანდაყოლილი გრძნობაა. მან უკვე გადააბიჯა რვა ათეულ წელს, მაგრამ წლების სიმრავლემ ვერაფერი დააკლო. ორმოცდაათიან წლებში, როცა ფეხით სერავდა საქართველოს მთასა და ბარს, ისევ იმ პირველი აღტაცებითა და იმ თვალებით უყურებს სამყაროს, ისევ იქით მიუწევს გული, ისევ ისეთი მიმნდობია და უშუალო. განა იოლია, იყო წილნაყარი ხალხურ შემოქმედებასთან, მოტრფიალე შენი ხალხის ადათ-ჩვევების, ზნეობის, რიტუალების, შეძლო მათი ფესვების საუკუნეების სიღრმეში მიკვლევა-განზოგადება, მაგრამ არსად ვარდისფერი საღებავი, არსად მიკერძოება ან გალამაზება, ყველგან იგრძნობა უდიდესი სიყვარული და ამ სიყვარულში სიფხიზლე და მომთხოვნელობა.

ხშირად გვიფიქრია, რა განსაზღვრავდა ქ-ნ ჟულიეტას პიროვნებას, მის შემოქმედებას. უპირველესად ანალიტიკური აზროვნება, გატაცება და იმპულსურობა, უსაზღვრო ოპტიმიზმი და უჩვეულო ენერგია, სიცოცხლის სიყვარული და დროის ფასი. ამ შეფასების უფლებას მაძლევს მის გვერდით გატარებული ათეული წლები, როცა საშუალება მქონდა დავკვირვებოდი როგორც პიროვნებას, მეცნიერს და აღმზრდელს. მისგან მიგვიღია არა მარტო მეცნიერული კვლევა-ძიების ჩვევა, არამედ სანიმუშო ზნეობრივი თვისებებიც. მისი ერთგულება თავისი მასწავლებლების პროფ. ვ.ბარდაველიძისა და აკად. გ.ჩიტაიას მიმართ, იყო ზნეობის გაკვეთილი და მისაბაძი ჩვენთვის, 60-იანი წლების სტუდენტებისათვის. ასევე მისი პიროვნული თვისებები, სიკეთის გამოვლენის არაჩვეულებრივი ნიჭი და დიდი ყურადღება, რომელიც თანაბრად ნაწილდებოდა ოჯახსა და ახლობლებს შორის. იგი არა მარტო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და მოღვაწეა, არამედ ტრადიციული ქართული ოჯახისშვილის ნათელი ნიმუში, უაღრესად კეთილშობილი პიროვნების, ცნობილი მათემატიკოსის, ავთანდილ ბენდუქიძის ღირსეული მეუღლე, დედმამიშვილების პატრონი და მფარველი, სახელოვანი შვილების ნუნუ და კახა ბენდუქიძეების აღმზრდელი, შვილიშვილების მოსიყვარულე დიდი დედა, ნათესავების, მეგობრების, გაჭირვებულთა, მოხუცებულთა ქომაგი და იმედი. მას შეეძლო მშობლიურად ეზრუნა სტუდენტებზე, გაეწია მორალური და ეკონომიური დახმარებაც კი.

განსაკუთრებულია ქ-ნ ჟულიეტას საველე მუშაობის მეთოდები. მე მქონდა ბედნიერება, თსუ ისტორიის ფაკულტეტზე სწავლების I კურსზე გამევლო საველე მუშაობის რუხაძისეული სკოლა. დღემდე მახსოვს ქ-ნ ჟულიეტას ლექციები ველზე, რომელიც გვინერგავდა ხალხის შემოქმედების სიყვარულს, მისი მომთხოვნელობა საველე მასალების აღებისას და უდიდესი სიხარული ნამუშევრის მოწონებისას. ჩვენ მოგვწონდა ხელმძღვანელი თავისი თვისებებით. მახსოვს, მარინე გუგუშვილმა შეამჩნია, ნახე, როგორ სათუთად არჩევს მინდვრის ყვავილებსო. და ჩვენც ვარჩევდით, ვკრეფდით და საველე რვეულებში ვალაგებდით. მაშინ სვანეთში პირველად დავიწყეთ ოცნება დიდ მეცნიერებაზე და დღემდე სტუდენტურ რვეულებშიშენახული შემჭკნარი, მაგრამ ფერებშერეული მინდვრის ყვავილები ამ ჩვენი ახალგაზრდული ოცნების განხორციელების და სწორი მეცნიერული აღზრდის სიმბოლოდ გვესახება.

ქ-ნი ჟულიეტა თავის საქმეზე შეყვარებული მეცნიერი ქალის სიმბოლოა. მან მთელი ცხოვრება შრომაში, უხმაუროდ და უპრეტენზიოდ გაატარა. არასოდეს ილტვოდა უზრუნველი ფუფუნებისაკენ, თავისებურად ესმოდა სილამაზე. ეს შეიგრძნობა თავის საკუთარ ოჯახშიც, სადაც სვანურ ორნამენტირებულ სკივრებს, თუშურ ფარდაგებსა თუ მინდვრის ყვავილების თაიგულში მუდამ იგრძნობა მაღალი გემოვნება, ხელოვნების სიყვარული და ქართული კულტურის თაყვანისცემა.

ჟ. რუხაძემ თავისი 60-წლიანი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ღრმა და წარუშლელი კვალი გაავლო. იგი არის 10 მონოგრაფიის და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. გამოქვეყნებულია ევროპულ ენებზე. ცნობილია საქართველოს ეთნოგრაფიის საუკეთესო სპეციალისტად. ქ-ნი ჟულიეტა აგრძელებს ცნობილი ქართველი ეთნოლოგი მეცნიერი ქალების ლ. ბოჭორიშვილის, ვ. ბარდაველიძის, რ. ხარაძის მიერ დაწყებულ ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე წმინდა საქმეს. მან უანგაროდ მთელი თავისი სიცოცხლე, ტიტანური შრომა და უმწიკვლო მოღვაწეობა მსხვერპლად მიიტანა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის გამომზეურების საკურთხეველთან, თავისი პირადი ცხოვრების უკან გადადების ხარჯზე. მისთვის, როგორც მკვლევარის ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა უპრეტენზიოდ ჩადგეს დარგის სამსახურში. „ჟულიეტას კოლეგიალობა, მოქალაქეობრივი მრწამსი, მე ვიტყოდი, გმირობის ტოლფასია, – ასე აფასებდა მას ალ. რობაქიძე, – უნარი, გადასდოს თავისი საკუთარი საქმე – იშვიათია. დარგის საქმე მას საკუთარ საქმედ მიაჩნია. სწორედ ასეთ ადამიანებზე იდგა და იდგება დარგი“.



1948 წლის ქართული ექსპედიცია: ჟულიეტა რუხაძე მთხრობლებთან.

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თავისი ათასობით მკითხველის სახელით გულითადად ულოცავს გამორჩენილ მეცნიერს, ჩვენი გაზეთის აქტიურ ავტორს, პროფესორ ჟულიეტა რუხაძეს საიუბილეო თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობასა და შემოქმედებით შემართებას.**

ჟ. რუხაძის შემოქმედების წარმატებების სათავე უფრო ადრეულ წლებში უნდა ვეძიოთ. მას მოღვაწეობა და შემოქმედებითი ჩამოყალიბება ქართველი მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენელთა ხელდებით მოუხდა. მისი ისტორიიდან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქ-ნი ჟულიეტა არის თსუ ახლადჩამოყალიბებული ეთნოლოგიის კათედრის პირველი კურსდამთავრებული. ს. ჯანაშიას რეკომენდაციით 1945 წლიდან მუშაობას იწყებს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც ცნობილმა მეცნიერებმა ნ. ბერძენიშვილმა, გ. ჩიტაიამ, ვ. ბარდაველიძემ ახალგაზრდა მეცნიერი მაშინვე მიიჩნიეს საიმედო ძალად. აქ გაატარა მან მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება, დაწყებული უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან დამთავრებული საქართველოს სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების ხელმძღვანელად.

ჟ. რუხაძის მეცნიერული მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდი მდიდარია შინაარსით და მრავალფეროვანი თავისი ხასიათით. მისი მეცნიერული ინტერესი ეხება ეთნოლოგიის თითქმის ყველა კარდინალურ პრობლემას. „ჟ. რუხაძე, – წერდა გ. ჩიტაია, – ყოველთვის არის იქ, სადაც ყველაზე მძიმეა უბანი, ამიტომაც მას მოუხდა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ყველა უბანში კალმის მოსინჯვა. უფრო რთულია გზის გაკაფვა, ვიდრე გაკვალულ გზაზე გავლა“. თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებულ მეცნიერ ქალს დაკვირვების გარეშე არ დაუტოვებია საქართველოს არც ერთი კუთხე და ენციკლოპედიური სიზუსტით იცნობს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფას. მთელი მისი შემოქმედება აგებულია ქართული ეთნოგრაფიული სკოლის საველე მუშაობის ორიგინალურ მეთოდზე. დღეს ბევრისათვის შეიძლება არც იყოს ცნობილი, რომ სწორედ ამ მეთოდის გამართლებაზე იყო დამოკიდებული დარგის ბედი და ქართული ეთნოგრაფიული სკოლის შექმნაც. სწორედ ეთნოლოგთა ამ პირველი თაობის დამსახურებაა, რომ კონკრეტული პრობლემების დამუშავების საფუძველზე აჩვენეს ქართული მეთოდის სისწორე, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის აღიარება.

მეცნიერის მასშტაბურობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ეხმიანება მისი ნაფიქრი და ნაღვაწი თანამედროვეობას. ჟ. რუხაძის ნააზრევისადმი ინტერესი დღემდე არ განელებულა, პრობლემები არ დაძველებულა. ამის დადასტურებაა მისი ფუნდამენტალური გამოკვლევა აგრარული ცივილიზაციის შესახებ. ჟ. რუხაძის კვლევის შედეგები და რეკომენდაციები დღეს უკვე გადაშენებული ფეტვნაირი და ბოჭკოვანი კულტურების შესახებ პრაქტიკული დანიშნულებისაა, თანამედროვე სოფლის მეურნეობაში ადგილობრივი კულტურების აღდგენა-დანერგვის საქმეში.

ჟ. რუხაძის მეცნიერულ ინტერესებში თავიდანვე შედიოდა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის სფერო. მისი ფუნდამენტალური მონოგრაფია: „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში“ (1999წ.) დაჯილდოვდა ს. ჯანაშიას სახელობის პრემიით. მონოგრაფია ქართული ისტორიული აზროვნების მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ეთნოლოგიურ ძიებებში მკვლევარი აჩვენებს ეთნოგრაფიული წყაროს მნიშვნელობას ისტორიულ კვლევაში. ამიტომ ამ მონაპოვარს გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი ქართველოლოგი.

ჟ. რუხაძე პოპულარიზაციას უწევდა ეთნოგრაფიულ მიღწევებს, პოპულარული ნაშრომების სერიის გამოცემით, დიდი ამაგი დასდო ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვა-გამოცემას და მრავალი სხვა, რომელთა განხილვას ამ ერთ წერილში ვერც მოვახერხებთ.

ქალბატონი ჟულიეტა ჩვენი ობიექტური შემფასებელი, გზის გამკვალავი და მრჩეველია.

გვიხარია, რომ იგი ასე მხნედ ხვდება მისი სიცოცხლის 85 წლისთავს, ნურც დაედრიკოს მისი მხრები წლების სიმძიმეს.

ნურც მოგვიშლოდეს მისი კრიტიკული შეფასება და ფიქრი იმისა, მოეწონება თუ არა ქ-ნ ჟულეტას ჩვენი ნაშრომი, რადგან მისი შენიშვნები წარმატების საწინდარია.

ნურც მოგვიშლოდეს მისი პრინციპული მოთხოვნა საველე სამუშაოების ჩატარებისათვის, რადგან ეს ნაკარნახევია დარგის აღორძინების აუცილებლობით.

ნუ მოგვიშლოდეს თქვენი კეთილი რჩევა და მიიღეთ ჩვენგან სამადლობელი იმ სიკეთისთვის, რომელიც პიროვნულად გვიწილადეთ და იმ უნიკალური მემკვიდრეობისათვის, რომელიც დღეს, ჩვენი ინტენსიური მუშაობის ბაზა და ხვალინდელი ახალი წარმატებების საწინდარია.

**თამილა ცაგარეიშვილი**



აჭარის 1963 წლის ექსპედიცია: ჟულიეტა რუხაძე, ზურაბ წერეთელი, ავლო ლეკიაშვილი და ლევან გაბუნია.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა ბუშს მოახსენა: საქართველო ერაყივით თავისუფალია



შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯორჯ ბუშს სთხოვა არ გამოიყვანოს ჯარები ერაყიდან. თავისი ასეთი თხოვნა-მუდარა მან განმარტა იმით, რომ **„ერაყში ამერიკელთა წარმატებები თბილისის წარმატებებიცაა. საქართველოს და ერაყის მაგალითებზე შეიძლება დავინახოთ თავისუფლების და დემოკრატიის ამერიკული მოდელის ეფექტიანობა“.** ბატონმა სააკაშვილმა ეს სწორად შენიშნა. ორივე ქვეყანა ხომ თითქმის სამოქალაქო ომის ზღვარზეა.

ბუშმაც საპასუხო კომპლიმენტებით შეამკო „ვარდების რევოლუციის“ ლიდერი, მიულოცა მას ქვეყანაში ისეთი კლიმატის შექმნა, რომელიც უწყობს ხელს ეკონომიკურ შესაძლებლობათა ზრდას. პოლიტკორექტულობის მხრივ ყველაფერი უნაკლოდ იყო, თუმცა მაინც, ოდნავ მოუქნელი ნათქვამი გამოუვიდა. ალბათ, თეთრი სახლის პატრონი ცუდად არის ინფორმირებული: ერთადერთი, რაც სადღეისოდ ქართულ ეკონომიკაში იზრდება, ეს არის უმუშევრობა, რაც შეეხება კლიმატს, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე იგი საბჭოურ დროშიც კარგი იყო.

უნდა ითქვას, რომ ამერიკელთა მხრიდან რევერანსები სტუმრის მიმართ ამით არ დასრულებულა. ბუშმა სააკაშვილი მიიწვია ნატოში – ალიანსი მხოლოდ მოგებული დარჩება, თუ თბილისი მასში გაწევრიანდებაო. რა თქმა უნდა, ნატოს ხომ მიეცემა იმის შესაძლებლობა, რომ თავისი ბაზები სოჭის მახლობლად განალაგოს.

ამან სააკაშვილი ისე გაახარა, რომ, როგორც ჩანს, მას დრო აერია. საქართველოს პრეზიდენტმა აღიარა, რომ თეთრი სახლის მეთაურს გადასცა წერილი, რომელიც საქართველოში „თავისუფლებისთვის მებრძოლებმა“ ვაშინგტონს ჯერ კიდევ 7 წლის წინ გაუგზავნეს, მაგრამ იგი ხელთ იგდო „სუკ-მა“. რა თქმა უნდა, სააკაშვილს, ალბათ, დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია იმისთვის, რომ იმ დროს თეთრი სახლის პატრონი ბილ კლინტონი იყო, ხოლო სსრ კავშირის უშიშროების კომიტეტი გაცილებით ადრე კი დაიშალა. როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტი რაღაც თავის სამყაროში ცხოვრობს.

**მაქსიმ ჩიჟიკოვი,**
**„კომსომოლსკაია პრავდა“,**
**7 ივლისი.**

***„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციისგან: გახარებულ სააკაშვილს დრო აერიაო, ამტკიცებს წერილის ავტორი მაქსიმ ჩიჟიკოვი. საქართველოს პრეზიდენტს არაფერი არევია, უფალო ჩიჟიკოვ! მან კარგად იცის და თქვა კიდეც, რომ ეს წერილი ხევსურებმა ამერიკის პრეზიდენტს 7 წლის წინათ კი არა 1936 წელს გაუგზავნეს.***

***ეხ, ჩიჟიკოვ, ჩიჟიკოვ... რას არ გააკეთებინებს კაცს ზოგჯერ თეთრის შავად გასაღების სურვილი. მაგრამ ეს „ზოგჯერ“ რომ თითქმის ყოველდღე ხდება რუსეთის მასმედიაში, როცა საქმე საქართველოს ეხება?***

***რას ვიზამთ! უკაცრავად შეხსენებისთვის, მაგრამ კამოს „კერძი“ იქ ბევრს უყვარს, მიჩვეულს კი ვერ გადააჩვევ. თანაც, ერთი უწყინარი ცხოველის წიხლიც არ უნდა გეწყინოს კაცს.***

# აფხაზეთს კოსოვოს იმედი აქვს

**6 ივლისს თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ პრესცენტრში შეხვდა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჟურნალისტებს.**

შამბამ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ აფხაზეთის პრობლემა ამჟამად მსოფლიო გაერთიანების ყურადღების ცენტრშია, და ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ბოლოს და ბოლოს ცნონ. „ბალკანეთში და კოსოვოში მიმდინარე მოვლენები განამტკიცებს ამის იმედს, – აღნიშნა მინისტრმა. **„ჩვენ დღეს არ დაგვიწყია ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, და არ იქნებოდა სწორი ლაპარაკი იმაზე, თითქოს ჩვენ ვიყოთ მარიონეტები რუსეთის ხელში“.** სერგეი შამბას მიაჩნია, რომ დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების პროცესის შეჩერებას უკვე ვერავინ შეძლებს. **„ხალხს არ სურს ეს, და ვერავინ გვაიძულებს, ძალით ვიცხოვროთ საქართველოსთან ერთად“.** ჟურნალისტების კითხვას, თუ კონკრეტულად რისი მიღწევა სურს აფხაზეთს – რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება თუ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა – შამბამ უპასუხა: **„დამოუკიდებლობა! მაგრამ ჩვენ მზად ვართ რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობის დამყარებისთვისაც“.**

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

**7 ივლისი.**

# მიმდინარეობს ბოლო მზადება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გახსნისთვის

**13 ივლისს თურქეთის ქალაქ ჯეიჰანში გაიმართება საზეიმო ღონისძიებები, რომლებიც მიეძღვნება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ოფიციალურ გახსნას. ღონისძიებებზე მოწვეულ სტუმართა შორის არიან შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი. ცერემონიაზე შეერთებულ შტატებს წარმოადგენს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე კლეი სელი.**

როგორც თურქეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, ოფიციალურმა ანკარამ მიწვევა გაუგზავნა შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მაგრამ იმის გამო, რომ ჯორჯ ბუში იმ დროისთვის მიიღებს მონაწილეობას „დიდი რვიანის“ სამიტში, გადაწყდა თურქეთში გაეგზავნათ ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელი. ამავე დროს, როგორც „აზერი-პრესის“ საინფორმაციო სააგენტო იუწყება, საზეიმო ღონისძიებაზე შეერთებული შტატების დელეგაციას უხელმძღვანელებს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი. ამერიკელთა დელეგაციის შემადგენლობაში შევა ასევე სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე მათიუ ბრაიზა. აღვნიშნავთ, რომ მილსადენის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანის, თურქეთის, საქართველოს და ყაზახეთის პრეზიდენტები – ილჰამ ალიევი, აჰმედ მეჯეთ სეზარი, მიხეილ სააკაშვილი და ნურსულთან ნაზარბაევი.

REGNUM

**საინფორმაციო სააგენტო,**
**7 ივლისი.**



# სამხრეთ ოსეთის შესახებ პუტინის მიერ გაკეთებული განცხადება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს

***როგორი იქნება ოფიციალური მოსკოვის პასუხი, თუ დსთ-ს ტერიტორიაზე თვითაღიარებული რესპუბლიკები გამართავენ რეფერენდუმებს და მისცემენ ხმას რუსეთის შემადგენლობაში შესვლას? ამ კითხვაზე პასუხისას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ პატივისცემით ეკიდება სხვა ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ „არ შეიძლება არ ვცეთ პატივი ამა თუ იმ ტერიტორიის მოსახლეობის აზრს თავისი ცხოვრების მოწყობის შესახებ“.***

„ასეთი წინააღმდეგობა, როგორც პრაქტიკულ ცხოვრებაში, ისე გაერთიანებული ერების დოკუმენტებში, ყოველთვის არსებობდა და დღემდე არსებობს. ჩვენ გვსურს, და ამას დაჟინებით მოვითხოვთ, რომ ასეთი სახის გადაწყვეტილებების შემუშავება მოხდეს საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, იმიტომ, რომ ე.წ. დღევანდელი პოლიტიკური მიზანშეწონილობის ან სადღეისო პოლიტიკური კონიუქტურის გათვალისწინებით აღარ იყოს შესაძლებელი ერთი მიდგომის გამოყენება ევროპის ერთ ქვეყნებთან და რეგიონებთან, ვთქვათ კოსოვოსთან მიმართებაში, ხოლო სრულიად განსხვავებულისა – სხვებთან, მაგალითად, აფხაზეთთან ან სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის დროს“, – განაცხადა პუტინმა 6 ივლისს გამართულ ინტერნეტ-კონფერენციაზე.

დსთ-ს საქმეების და თანამემამულეებთან კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს ანდრეი კოკოშინს რეფერენდუმის გამართვის იდეა მართლზომიერად და დროულად მიაჩნია. **„რეფერენდუმის გამართვის საკითხი სავსებით მართლზომიერია. ეს მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ამ იდეის გამოყენების პრაქტიკას, შეესაბამება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების წინადადებებს და გამონათქვამებს. გარდა ამისა, იგი ძალზე დროულია. მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ გარკვეულ ჩიხში მოექცა სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, დნესტრისპირეთის პრობლემების გადაჭრა, დიდია დაძაბულობის დონე, განსაკუთრებით – სამხრეთ ოსეთის ირგვლივ. მთელი ამ კვირის განმავლობაში კომიტეტები გულდასმით განიხილავდნენ ამ საკითხებს. იქ ქართული მხარე ამწვავებს დაძაბულობას და ჩვენ არ გამოვრიცხავთ მისი მხრიდან ძალისმიერ აქციებს, შესაძლოა, ეს მოხდეს „დიდი რვიანის“ სამიტის პერიოდშიც კი. ყოველივე ამის ფონზე მკვეთრ კონტრასტს ქმნის ის განწყობილება, რომელიც აქვს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს და, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ“,** – თქვა კოკოშინმა.

REGNUM

**საინფორმაციო სააგენტო.**

# მოკლედ

**კალიფორნიაში ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპნენ ტონგას სამეფოს „სახალხო უფლისწული“ და მისი მეუღლე. ინციდენტი მოხდა სან-ფრანცისკოს სამხრეთით გამავალ ერთ-ერთ გზატკეცილზე. ჯიპს, რომელშიც პრინცი ტუი-**



**პელეჰაკე და მისი ცოლი პრინცესა ტაიმანა იმყოფებოდნენ, შეეჯახა დიდი სიჩქარით მომავალი ავტომობილი, რომელსაც 18 წლის ამერიკელი გოგონა მართავდა.**

* * *

**უზბეკეთის იუსტიციის სამინისტროს პრეტენზია აქვს Human Rights Watch-ის მიმართ. იუსტიციის სამინისტროს მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ Human Rights Watch ორგანიზაციის თანამშრომლებმა ვერ შეძლეს წარმოედგინათ დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდნენ უზბეკეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს, როგორც ეს ხაზგასმულია ამ ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებებში.**

* * *

**ინდონეზიაში „ფრინველის გრიპის“ შედეგად გარდაიცვალა სამი წლის გოგონა. როგორც ექიმებმა დაადგინეს სიკვდილის მიზეზი იყო H5N1 ვირუსი, იტყობინება ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. თუ დიაგნოზს დაამტკი-**



**ცებს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ეს იქნება ინდონეზიაში „ფრინველის გრიპის“ შედეგად ადამიანების დაღუპვის 41-ე შემთხვევა.**

* * *

**მექსიკაში პრეზიდენტის არჩევნებზე 0,5 პროცენტით გაიმარჯვა მმართველი კოალიციის წარმომადგენელმა-კანდიდატმა. ფელიპე კალდერონმა, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 35,88 პროცენტი მოაგროვა, როცა მის ძირითად კონკურენტს – „საყოველთაო კეთილდღეობისთვის მებრძოლი“ მემარცხენე კოალიციის წარმომადგენელს ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორს მექსიკელთა 35,31 პროცენტმა მისცა ხმა. დამარცხებული კანდიდატი აპირებს კენჭისყრის შედეგების გაპროტესტებას.**

* * *

**იულია ტიმოშენკო მოითხოვს უზენაესი რადის დაშლას, ვიქტორ იანუკოვიჩი კი პრემიერის პოსტს უმიზნებს. უზენაესი რადის სპიკერის არჩევით წარმოიქმნება მმართველი საპარლამენტო კოალიციის ახალი ფორმატი. იულია ტიმოშენკოს ბლოკმა „ჩვენმა უკრაინამ“ პეტრე მოროზს მოღალატე უწოდა და დატოვა კოალიცია. მოსალოდნელი „ნარინჯისფერის“ ნაცვლად ახლა შეიძლება მივიღოთ მემარცხენე-ცენტრისტული კოალიცია, რომლის შემადგენლობაში შევლენ რეგიონების პარტია, სოცპარტია და კომპარტია.**

* * *

**ბაღდადში შეერთებული შტატების და ერაყის არმიების მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგად მოკლულია ორმოცამდე შიიტი-მოთარეში. ბრძოლა გაჩაღდა მაშინ, როცა ამერიკელი სამხედროები ახორციელებდნენ ანტიტერორისტულ რეიდს ბაღდადის აღმოსავლეთ რაიონში – სადრ-სიტიში, სადაც განლაგებულია შიიტთა რადიკალი ლიდერის მუქთადა ას-სადრის „მაჰდის არმიის“ მთავარი ფორპოსტები.**



### ◎ ელამი სარკე

# კრიმინალი მეცნიერები

**გამჭვირვალობამ და საჯაროობამ, რომელმაც დღეს მთელი ცივილიზებული კაცობრიობა მოიცვა, ბევრი რამ გაასაიდუმლოვა. თვით ამერიკისა და საქართველოს პრეზიდენტთა შეხვედრიდანაც კი, რომელიც ამ დღეებში შედგა, საუბრის უამრავი დეტალი ხალხისთვის უცნობი დარჩა. ინკოგნიტო წყაროს დახმარებით ზოგი რამის მოხელთება მაინც შევძელი.**

— შემიძლია მოგილოცოთ, — უთხრა ბატონმა ბუშმა თავის ქართველ კოლეგას, — აფხაზეთი და სამხრეთოსეთი მშობლიურ საქართველოს მალე საკუთარი სურვილით შეუერთდებიან.

— თქვენი წყალობით, მხოლოდ თქვენი წყალობით, ბატონო პრეზიდენტო. ხომ ხედავთ, მუდამ ურჩი და ჯიუტი რუსეთიც როგორ მოლბა — საქართველოდან სამხედრო ბაზები და ჯარები ისე ფხაჭა-ფხუჭით გაჰყავს, გამომშვიდობებასაც ვეღარ ვასწრებთ.

— უნდა მოასწროთ, ჩემო უმცროსო კოლეგავ, როგორმე უნდა მოასწროთ. კარგი იქნება, ხელიც ჩამოართვათ, რათა განაწყენებულმა ჯარები უკანვე არ შემოაბრუნოს.

— რად გვინდა მაგის ჯარები, ჩვენიც ვერ მოგვიხმარია.

— მაგაზე ნუ იჯავრებთ. თქვენ ვერ ხმარობთ, ჩვენ მოვიხმართ. ვიდრე ერაყში ომი არ დამთავრებულა, ჩათვალეთ, რომ ზედმეტი არაფერი გაქვთ.

— კეთილი, ბატონო ჯორჯ, კეთილი, როგორც გვეტყვით, ისე მოვიქცევით. ჩვენ ახლო მომავალში ომს მაინც არ ვაპირებთ და...

— თუ დააპირებთ, ჩვენ აქ არა ვართ, დაგეხმარებით.

— როგორ?

— ნატოს ვეტყვი და ჯარს შემოვაყვანინებ. მაგრამ რად გვინდა ომი, თქვენ ეგ მითხარით, ქვეყანაში ეკონომიკა როგორ მუშაობს?

— გადასარევად ბატონო, გადასარევად, თანაც ფაბრიკა-ქარხნებისა და ხალხის გამოუყენებლად. გადაჭარბებულად ნუ ჩამითვლით, თუ ვიტყვი, რომ სხვა რომელიმე ქვეყანაში ამას ვერ შევხვდებით.

— მართლაც საოცარი ხალხი ხართ ეს ქართველები. იქნებ ამიხსნათ, საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთავისუფლებული ადამიანები სად წაიყვანეთ?

— უფასო სასადილოებში, ბატონო.

— სასადილოებში?

— დიახ, ბატონო პრეზიდენტო, იქ ისინი კიდეც მუშაობენ და კიდეც სადილობენ.

— კარგია, კარგი, — კმაყოფილებით დააქნია თავი ბუშმა, — მაგრამ კრიმინალებს რა უყავით?

— ისინი საერთოდ გავაქრეთ!

— როგორ, რა გზით?

— ბევრი პირდაპირ ქუჩაშივე მივახვრიტეთ, ვინც ცოცხალი გადარჩა — ციხეებში გამოვამწყვდიეთ.

— ეტყობა, ამიტომ წერენ ესენი (ბუშმა წერილი გაშალა) — საქართველოში ადამიანთა უფლებები ირღვევა, მოგვხედეთ, ქვეყანა უკანონობამ წალეკაო.

— მაგას ალბათ კრიმინალი მეცნიერები იწერებიან.

— აკი კრიმინალები აღარა გვყავსო?

— ეგენი ნამდვილი კრიმინალები კი არა, ბატონო პრეზიდენტო, უბრალოდ, მეცნიერი კრიმინალები არიან.

— მეცნიერი კრიმინალები? ასეთი რამ პირველად მესმის. მაინც რა იკრიმინალეს მეცნიერებმა?

— ისეთი არაფერი. კონკურსზე გასვლა დაეზარათ, უნივერსიტეტის დარბაზში შეიკეტნენ და აღარ გამოდიოდნენ.

— მერე ყოფილიყვნენ, თანაც თუ არაფერს აშავებდნენ?

— კი ბატონო, ყოფილიყვნენ, მაგრამ თავადავე ატეხეს ხმაური — დარბაზში წყალი და ტუალეტი არ არის და ადამიანის უფლებები ირღვევაო.

— ეს უკვე აღარვარგა, თუ კონკურსი არ უნდათ, მიეცით სტიპენდია და დარბაზიდან გამოუშვით.

— უკვე გამოვუშვით, ბატონო პრეზიდენტო. დანარჩენს თავად მინისტრი ლომაია მოუვლის.

— მაგ მინისტრს რატომღაც ბევრი ემდურის, — უკმაყოფილო სახე მიიღო ბუშმა.

— თავის ბრალი არ არის, ბატონო პრეზიდენტო, ნამეტანი ტვინიანია და ბევრი მტერი გაიჩინა. ინგლისიდან უკვე მელაპარაკნენ, მალე იქ გადაიყვანენ განათლების მინისტრად.

***აქ ინკოგნიტო წყარომ გადმოცემა შეწყვიტა. რა მიზეზით, არ უთქვამს.***

ჩაიწერა
**ოტია ჩართოლანმა**

### ◎ მეზობლებთან

# იმეგობრეთ, ოღონდ... 60 წლის რომ ასცილდებით

**გჯერათ თუ არა მამაკაცსა და ქალს შორის მეგობრობისა? — ასეთი შეკითხვა დაუსვა გაზეთმა „Комсомолка"-მ მკითხველებს. გთავაზობთ ზოგიერთ პასუხს.**

**ალექსანდრე კიჩაევი, ფსიქოლოგი:**

— მეგობრობა შესაძლებელია, ოღონდ ქალი ძალიან ლამაზი არ უნდა იყოს და კაცი — არცთუ დიდად ვნებიანი; ან კიდევ, როცა ქალი ბევრად მეტი ასაკისაა, ვიდრე კაცი.

**ანდრეი კივინოვი, მწერალი:**

— ისეთი მეგობრობა, მამაკაცებმა რომ იციან, ქალთან წარმოუდგენელია.

**არკადი ინინი, მწერალი — იუმორისტი:**

— მხოლოდ 60 წლის მერე, მანამდე კი — არა.

**ლერა კუდრიავცევა, ტელეწამყვანი პროგრამისა „ყოფილ ცოლთა კლუბი":**

— თუ ეს ნამდვილი მეგობრობაა, წარსულში ნაღდად არ იქნებოდა საქმე ულოგინოდ.

**ქსენია სობჩაკი, ტელეწამყვანი, მაღალი წრის ძუ ლომი:**

— მჯერა. მე ბევრი მეგობარი მამაკაცი მყავს, მაგალითად, უმარ ჯაბრაილოვი. ჩვენ მართლაც გვქონდა რომანი და უმარს აქამდე ვუყვარვარ, ოღონდ დასავით. ვისთანაც კი რომანი მქონია, ყველასთან ვინარჩუნებ მეგობრულ ურთიერთობებს, თუმცა ამას ეგოისტური მოსაზრებებით ვაკეთებ: ემოციები დამიტოვებია იმათთვის.

**ალექსეი მიტროფანოვი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი:**

— არა მჯერა, ისევე როგორც კატასა და ძაღლს შორის მეგობრობისა. ქალი უფრო სუსტია, მაგრამ კომპენსაციას ინტრიგებითა და შანტაჟით ახდენს. მამაკაცი ბუნებით უხეში და სწორხაზოვანია. ეს ყოველთვის „ცივი ომია", თუნდაც ღიმილით იყოს თანხლებული.

**ანფისა ჩეხოვა, წამყვანი პროგრამისა „სექსი ანფისა ჩეხოვასთან ერთად":**

— ასეთი მეგობრობა შესაძლებელია მხოლოდ სამ შემთხვევაში: ან წყვილს სექსი უკვე ჰქონდა, ან ამჟამად არიან საყვარლები, ან მამაკაცი და ქალი ერთმანეთს სექსუალურ „ავანსებს" ჰპირდებიან სამომავლოდ...

### ◎ ანეკდოტები

— მაპატიე, გუშინ დავთვერი და შენს ცოლთან ვიწექი, — ეუბნება პეტკა ვასკას.

— არა უშავს რა! მე მასთან ყოველდღე ვწევარ.

* * *

ტიპი ზოოპარკში მაიმუნის გალიასთან მივიდა. რამდენჯერაც შეხედა, მაიმუნმა იმდენჯერ თითით ქვედა ქუთუთო ჩამოიწია.

გაუკვირდა ტიპს. დარაჯს ჰკითხა, ეს რას ნიშნავსო.

— გეუბნება, წადი ერთი შენიო!.. — აუხსნა დარაჯმა.

განაწყენდა ტიპი. იყიდა გრძელი ძეხვი,



შეიდო ფეხებს შუა, მივიდა გალიასთან და ძეხვის აქეთ-იქით ქნევა დაიწყო. მაიმუნმა თავისი „იარაღით" იგივე გააკეთა. ტიპმა ძეხვით გალიის არმატურებს გადაუარა. მაიმუნმაც იგივე გააკეთა.

— ახლა გაჩვენებ სეირსო, — გაიფიქრა ტიპმა და ძეხვი მოკბიჩა.

მაიმუნმა თითით მშვიდად ჩამოიწია ქვედა ქუთუთო.

* * *

ჩემი ცოლი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩემპიონია. სხვა ცუდი რამის თქმა მასზე არ შემიძლია...

* * *

— არ იცით, რა მოხდა აქ?

— ქალი გაქურდეს.

— მაინც რამდენი მოპარეს?

— თუ მისი კივილის ხარისხით ვიმსჯელებთ, მინიმუმ ოთხი ათასი...

* * *

— უკაცრავად, რამდენი წლის ბრძანდებით? — ეკითხება ახალგაზრდა მამაკაცი ქალს.

— იქნებ თავად სცადოთ და გამოიცნოთ? — კეკლუცობს ქალი. თუ გიჭირთ, მინიშნებით დაგეხმარებით: ჩემი გოგო საბავშვო ბაღში დადის...

— ის რა, იმ ბაღის გამგეა?

### ◎ ცხოვრების ნამცეცები

# „ზამბნა" არის...

ქუთაისელი „უბედურნახევარი" ბუჭუია სულ ბოლოს ოფიციანტად მოეწყო ახალ სასადილოში. ძმაკაცებმა გადაწყვიტეს, მოდი „ავაგდოთ", რაც იქნება, იქნებაო, თეატრიდან ერთი მოცლილი მსახიობი „დაიქირავეს" გრიმი გაუკეთეს, პარიკი მოარგეს, ჰალსტუხიც შეურჩიეს და სასადილოში „ინტრიგანად" შეუშვეს.

„უცნობმა" ჩაშუშული მოითხოვა.

ბუჭუიამ წამში მიართვა „ნაციონალური კერძი".

კაცმა გემრიელად მიირთვა მართლაც უგემრიელესი კერძი და ბოლოს, ორი-სამი ლუკმა რომ დარჩა (ბოლო ლუკმები განსაკუთრებით გემრიელიაძ, ჯიბიდან მკვდარი ბუზი ამოიღო და თეფშში ჩააგდო.

— ოფიციანტტტ! — უყვირა ლაყაფიას. ისიც მკვირცხლად ეახლა კლიენტს.

— ამ კერძში ბუზია! სასწრაფოდ გამიცვალეთ.

ბუჭუიამ მიიხედ-მოიხედა, ერთი ბუზიც არ ჭაჭანებდა სასადილოში. ყველაფერს მიხვდა, მაგრამ არ შეიმჩნია:

— კი, ბატონო, ნამდვილად ბუზია.

— ხო, ხო... მეც ვიცი, რომ ბუზია.

— ახლა რა ვქნათ, ბატონო?

— შემიცვალეთ.

— ბუზი არსადაა ამ არემარეზე, ბატონო, და სხვა გზა არაა, თუ არ გეწყინებათ, ერთი ტარაკანა ვიცი შკაფის უჯრაში, იმას ჩაგიგდებთ და მოგართმევთ, — გავარდა ბუჭუია სამზარეულოში.

# ცოფი

ძალიან მიყვარს ძაღლები. ჩემი არ მყავდა და იმდენი ვეფერე მეზობლის ძაღლებს, რომ ერთმა ველარ მოზომა და არ მიკბინა?! იმ დღიდან დაიწყო ჩემი უბედურება. ექიმი, პასტერის ქუჩაზე დაზღვევის შრატი და დარიგება: „დააკვირდი ძაღლს, თუ ათ დღეში მოკვდა, შენც მკვდარი ხარ".

მოვედი სახლში და ყველაფერი ვუამბე ცოლს. თან ძაღლს უნდა გავუფრთხილდე, არ მოკვდეს.

— რაო, რა ჭამეო? — მეკითხება მზრუნველი ცოლი. თავში გადასარევი იდეა გაჩნდა:

— რაო, და შემწვარი წიწილაო, ხაჭაპურიო, ხინკალიო, ხანდახან „ელარჯიც" შეიძლებაო, თუ არა, შეიძლება გაცოფდეო... — ვთქვი წყნარად.

დატრიალდა ჩემი მზრუნველი მეუღლე და პირველსავე დღეს მომაყარა ზემოთ ჩამოთვლილი, რასაც ჩვენი დანაზოგის 70 პროცენტი შეეწირა, მაგრამ მე და ჩემი „აგრესორი" ძაღლი განცხრომაში ვართ. ორ დღეში გათავდა მარაგი.

— წიწილა და ხაჭაპური გათავდა, — გავძახე დილით ცოლს, არცხინკალია!

— ფული აღარაა, — გამომძახა ცოლმა.

— ღღღრრრრ! — დავიღრიალე ძაღლის ხმით. არ გაცოფდესო და ცოლი ბაზარში გავარდა.

კიდევ ორ დღეში გათავდა მარაგი. ისევ შევახსენე. ისევ ის პასუხი.

— ღღრრრ!

მოთმინება და ფულგამოლეული ცოლი აღარ შემეპუა, კარადის უკნიდან (ყოველ შემთხვევისთვისძ ბაბუაჩემის ნაქონი ხელჯოხი გამოაძვრინა, მაღლა შემართა და მიკივლა:

— ღრენას და კბენას შენ მასწავლი, შე უქნარა? — აღარაა ფული, აღარ! აჰა, აგერ ვარ, ბატონო, და მიკბინე, დამცოფე და მომკალი, აღარაა ფული... ჰოო, ჰოო, მიკბინე!!!! მეც გავცოფდები და მიცხვე ხაჭაპურები!!!

აღარ დამიღრენია. არადა, სამი დღე კიდევაა ათი დღის გასვლამდე, — გავიფიქრე სინანულით...

**მურმან მერკვილიშვილი**

### ◎ ქართული ლათაია

— ჭაობში ცხოვრობს. მწვანეა, ბაყა-ზე იწყება და ყი-ზე მთავრდება. რა არის?

— ტანკი.

— ეეე, იცოდი არა?!

* * *

მაროს კვერცხი მიაქვს ბაზარში გასაყიდად. ნაბიჯს რომ აუჩქარა, „ჰაეროვანი მარცხი" მოუვიდა. მოუვიდა და (მაინც ხარჯიაოძ მიაყოლა, სამშაბათი... ოთხშაბათი... ხუთშაბათი... პარასკევი... მოკლედ ასე „აჰაერა" კვირის ჩათვლით და შენიშნა კიდევაც უკან მომავალი მეზობლის ბიჭი. შერცხვა, მაგრამ მაინც იქით შეუტია ბიჭს:

— შე სასიკვდილევ, შენა! დიდი ხანია უკან მამყვები?

— ოთხშაბათიდანა, — მარო ძალო!

* * *

ოსი მდგმურადაა.

დიასახლისი: — რამდენჯერ გითხარი, სააბაზანოში როცა ვბანაობ, საკლიტურიდან ნუ იჭვრიტები.

— ბოდიში, მე მეგონა სენი გოგო ბანაობდა...

* * *

დამრიგებელი ცელქი ვაჟიკოს სახლში მივიდა. კარი თვითონ ვაჟიკომ გააღო.

— სად არიან შენი მშობლები? — ეკითხება ანც მოსწავლეს.

— ვანაში მასწ.

— მალე გამოვლენ?

— არა მგონია, კარები ჩავუკეტე და გასაღები დამეკარგა...

* * *

ახალგაზრდა მასწავლებელი თეა სკოლაში ახალი კულონით მოვიდა. კულონი თვითმფრინავის ფორმის იყო. გოგა თვალს არ აშორებს.

— რა იყო, გოგა, ასე აღტაცებით რატომ მიყურებ?

— მომწონს მასწ.

— რა, თვითმფრინავი?

— არა... აეროდრომი, მასწ....

* * *

— რა გირჩევნია ქალი თუ სასმელი? — ეკითხებიან კახელს.

— ქალი კარგია, მაგრამა დასალევად მაინც პივა ჯობია.

* * *

— უკაცრავად.

— გისმენთ.

— საათს ვერ მეტყვით?

— რატოაც ვერა — ს ა ა თ ი.

* * *

— ბავშვებო, რამდენი ფერისაა კვერცხი?

— წითელიი, თეთრიი, ლურჯიი!

— აბა, ბენო, რომ ამბობ ლურჯიო, სად გინახავს ლურჯი კვერცხი?

— ჩვენი სკოლის დარაჯს ჰქონდა... კარებში რომ მოჰყვა...

* * *

ადამი და ევა ბალ-მასკარადზე მიდიან.

— ადამიკო, რომელი ფოთოლი ავიფარო დღეს, ლეღვის თუ კვახის?

— ჭინჭრის ევიკო, ჭინჭრის, იქ, მე მგონი, ბევრი მანიაკი იქნება.

* * *

გურული და მეგრელი რესტორნიდან გამოვიდნენ.

— მაგრამ მოვატყუე ოფიციანტი, — ამბობს გურული.

— რანაირად?

— კვერცხები რომ მოვითხოვეთ, გახსოვს?

— რავა არა.

— ერთში წიწილი იყო და ისე გადავყლაპე, არ გაუგია.

* * *

— რა არის გარდამავალი ასაკი?

— ეს ის ასაკია, როდესაც მთავრობა ჯერ პენსიას არ გაძლევს და ქალები უკვე აღარ გაძლევენ.

* * *

სვანმა შვილებს დაუბარა, რომ მოვკვდები, ოკეანეში დამმარხეთო.

— მერე?

— რა მერე, მამის გასვენებამდე ორივე ოკეანეში დაიხრჩო საფლავის თხრის დროს...

**ირაკლი ბერიკაშვილი**




— ცოტა დაუჩქარე, მამაო, ორ საათში ფინალური მატჩი იწყება!

### ◎ სხარტულა

**გქონდეს რეაქცია...**

*ეჭვი — ვიცი ეს მე — როგორი ოხერია...*
*„რუსთავი-2"-დან მიდის*
*ე. ხოფერია...*
*ამტყდარა ეკრანზე მორიგი*
*რია-რია...*
*ეგებ ეს მორიგი რეკლამა-პიარია?..*

**ალყაში**

*სიბრიყვე ვისაც „ევალება",*
*ბეჯითად ბრიყვობს...*
*არცა შიგნით და არცა გარეთ*
*აღარ გვიშვებენ:*
*ალმა მატერი, თითქოს*
*ლაზის სექტორი იყოს,*
*დაბლოკილია. ღმერთო,*
*გვიშველე!..*

**რჩევა**

*მაგ ენაპირით არ დაიდო*
*რაიმე ცოდვა,*
*როს ტვინს აცხელებს ასე ივლისი:*
*„ვაი-პროფესორს" ვიდრე იტყვი,*
*დაფიქრდი ცოტა —*
*ეგებ თავად ხარ ვაი-მინისტრი...*

**ლუკა გორგაძე**

◉ კრივი

# შემადგენლობა გაირკვა



**ბულგარეთში 14-22 ივლისს მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრებიც. კრივის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის – პეტრე ცისკარიშვილის, ასევე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით ნამგალაურის ერთობლივი ძალისხმევით ჩვენმა სპორტსმენებმა საწვრთნელი შეკრება ბაქოში გაიარეს ნაკრების თავკაცის – დავით ცერცვაძისა და კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ვლადიმერ ახალკაცის ხელმძღვანელობით.**

როგორც შევიტყვეთ, აზერბაიჯანელებს ჩვენი დელეგაციის წევრებისთვის ვარჯიშისა და დასვენების შესანიშნავი პირობები შეუქმნიათ. იქვე გამართული სპარინგების შემდეგ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაც გარკვეულა. ამდენად, ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ ზვიად ხადური (48კ, გიორგი კილანავა (51კ, ნიკოლოზ იზორია (54კ, კობა ფხაკაძე (57კ, კონსტანტინე კუპატაძე (60კ, კახა ჟვანია (69კ, რევაზ ქარელიშვილი (75კ, დავით წიკლაური (81კ, ბექა ლობჟანიძე (91კ და იუზა გულორდავა (+91კ.

ბულგარეთში გამგზავრებამდე ქართველი მოკრივეები თბილისში განაგრძობენ მზადებას.

**გიორგი გაგუა**

◉ მუნდიალ-2006

# გიორგი ასანიძე იტალიას ქომაგობს და პეკინისკენაც უჭირავს თვალი

**გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე დღეს და ხვალ გადამწყვეტი მატჩები გაიმართება.**

**ვინ ვის?**

არის აზრთა სხვადასხვაობა, რადგან ზოგი ვის ქომაგობს და ზოგი – ვის. ათენის ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე** იტალიის გულშემატკივარია და ხშირად ნახავთ „ნოანოაში“, სადაც „სკუადრა აძურას“ ფანკლუბია.



– ბავშვობიდან არგენტინული, ფრანგული და იტალიური ფეხბურთი მიტაცებდა, – მითხრა გუშინ ოლიმპიურმა ჩემპიონმა – ამ ჩემპიონატზე რატომღაც თავიდანვე მჯეროდა, რომ იტალია გაიმარჯვებდა. რადგან ფინალში გავიდა, იმედია, შანსს არ გაუშვებს ხელიდან, რომ 24 წლის წინანდელი შედეგი გაიმეოროს. მოტივაციაც საკმარისზე მეტი აქვს – მასპინძელთა მძლეველ გუნდს ჩემპიონობის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს, თუმცა, არც ფრანგები არიან ფსიქოლოგიურად ნაკლებმოტივირებული – მათ ხომ მსოფლიო ჩემპიონები ჩამოიშორეს გზიდან.

ვფიქრობ, ლამაზი, დაძაბული ფინალური მატჩი იქნება და 2:1-ს „სკუადრა აძურა“ მოიგებს. რაც შეეხება მესამე ადგილისთვის ბრძოლას, აქ აშკარა უპირატესობა გერმანელთა მხარესაა. ალემანები ყოველმხრივ შეეცდებიან, საკუთარ გულშემატკივართა თვალწინ შელახული რეპუტაცია აღიდგინონ.

**– სახელოვანმა ფრანგმა ფეხბურთელმა პლატინიმ უკმაყოფილება გამოთქვა წლევანდელი ჩემპიონატის საერთო დონის გამო. თქვენ რას იტყვით?**

– ვის ვის და პლატინის ფეხბურთი არ ესწავლება. მის დროს მატჩები უფრო სანახაობრიობით გამოირჩეოდა. დღეს უფრო ძალისმიერი ფეხბურთია, ფიზიკურ კონდიციებზე გათვლილი. უწინ ჩემპიონატებზე 4-6 გუნდი თუ დომინირებდა, ახლა პირველობის მონაწილე 32 ნაკრებიდან აუტსაიდერად, ფაქტობრივად, ვერავის შერაცხავ. თანაც, გერმანიაში სანახაობრივ ფეხბურთს მსაჯებმაც დაატყვეს თავისი ხელი. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ტურნირზეც იყო ლამაზი მატჩები და ვარსკვლავების ნაკლებობასაც არ განიცდიდა. მარტო ზიდანი რად ღირს!

**– ორიოდ დღეში ჩემპიონატი დამთავრდება და...**

– ქართველ გულშემატკივრებს მოსაწყენად მაინც არ ეცლებათ. საქართველოს ნაკრებს ხომ მსოფლიო ჩემპიონთან და ვიცე-ჩემპიონთან მოუწევს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების გამრთვა. 2 სექტემბერს განახლებულ ეროვნულ სტადიონზე ფრანგებთან მართლაც, ისტორიული მატჩი გველის.

**– როგორც ვატყობ, გიორგი ასანიძე მთლიანად ფეხბურთზე გადაერთო. ძალოსნობას ხომ არ უგანა?**

– არც ასეა საქმე. საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ინიციატივით ვაკესა და გლდანში ორი დარბაზის კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს. ამჟამად მეც სამშენებლო საქმეებით ვარ დაკავებული, სამწუხაროდ, სტაბილურად ვარჯიშს ვერ ვახერხებ. ამიტომ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვერ მოვემზადები, გაისად კი ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად გამოვალ. ოპტიმალურ სპორტულ ფორმას თუ აღვიდგენ და შედეგიც ნორმალური მექნება, მაშინ პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაზეც ვიფიქრებ.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია**

◉ ორბიტაზე

## ფინალს არგენტინელები უმსაჯებენ

**მსოფლიო ჩემპიონატის ხვალინდელი კულმინაციის – ფინალური მატჩის იტალია-საფრანგეთის მსაჯად დანიშნეს არგენტინელი ორასიო ელისონდო, თანაშემწეებად კი თანამემამულეები დარიო გარსია და როდოლფო ოტარი ეყოლება.** ალბათ გახსოვთ, ელისონდომ უმსაჯა ჩემპიონატის პირველ მატჩს – გერმანია-კოსტა-რიკა. აგრეთვე შეხვედრებს ინგლისი-პორტუგალია, შვეიცარია-კორეა და ჩეხეთი-განა, რაც ახალი რეკორდია.

დღევანდელ, მე-3 ადგილისთვის მატჩს კი – გერმანია-პორტუგალია – გაუძღვება იაპონელი **ტორუ კამიკავა.**



## როგორ მარცხდებოდნენ ჩემპიონები?

**ფეხბურთში მსოფლიო პირველობების ისტორიაში ჩემპიონის ტიტულიც მხოლოდ ორჯერ მოიპოვეს ზედიზედ.**

**პირველი შემთხვევა** გასულ საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის წინ იყო. 1938 წელს „ოქროს ქალღმერთი“ არავის დაუთმო იტალიის ნაკრებმა, დიდებული მწვრთნელი ვიტორიო პოცო რომ უდგა სათავეში. უკანასკნელად კი ეს მოხდა 1962 წელს, ჩილეში, როდესაც ბრაზილიელებმა, ტრავმირებული პელეს გარეშე, დაიცვეს შვედეთში მოპოვებული მაღალი წოდება – და ორგზისანი გახდნენ. ამის შემდეგ როგორ ასპარეზობდნენ მსოფლიო ჩემპიონები?

**1966 წელი. ბრაზილია** ვერ გადის ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე, მხოლოდ მესამე ადგილი მოიპოვა პორტუგალიასა და უნგრეთის შემდეგ, საბოლოოდ – **მე-11 ადგილი.**

**1970 წელი. ინგლისი** მეოთხედფინალის (ახლანდელ – პლეიოფშიძ დამატებით დროში მარცხდება გფრ-ის ნაკრებთან – **მე-8 ადგილი.**

**1974 წელი. ბრაზილია** მეორე ადგილს იკავებს მეოთხედფინალურ ჯგუფურ ტურნირში, წინ გაუშვა რა ჰოლანდია. მესამე ადგილისთვის მატჩში კი მარცხდება პოლონეთთან – **მე-4 ადგილი.**

**1978 წელი. გფრ** მხოლოდ მესამე ადგილზეა მეოთხედფინალურ ჯგუფურ ტურნირში, წინ ნიდერლანდები და იტალია გაუშვა – **მე-6 ადგილი.**

**1984 წელი. არგენტინა** ბოლო, მესამე ადგილს იკავებს მეორე ჯგუფურ ტურნირში, დამარცხდა რა იტალიასა და ბრაზილიასთან – **მე-11 ადგილი.**

**1986 წელი. იტალია** მერვედფინალში მარცხდება საფრანგეთის ნაკრებთან – **0:2. მე-12 ადგილი.**

**1990 წელი. არგენტინა** მიდის ფინალამდე, სადაც მინიმალური ანგარიშით მარცხდება გფრ-თან – **მე-2 ადგილი.**

**1994 წელი. გერმანია** მეოთხედფინალში მარცხდება ბულგარეთთან – **1:2, მე-6 ადგილი.**

**1998 წელი. ბრაზილია** გადის ფინალში, მაგრამ მარცხდება მასპინძლებთან – ფრანგებთან – **0:3. მე-2 ადგილი.**

**2002 წელი. საფრანგეთმა** ჯგუფსაც კი ვერ გააღწია. დამარცხდა სენეგალთან და დანიასთან. **მე-19 ადგილი.**

წლევანდელი ჩემპიონატის მოვლენები კი უკვე კარგად მოგეხსენებათ.

◉ ფეხბურთი

# ყველაზე ძვირი ყველაზე ძლიერი როდია!

**თუმცა ეს უკვე დაამტკიცა ესპანეთის სამეფო კლუბმა „რეალმა“, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები რომ შეიძინა, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატსა და ევროპულ ტურნირებზე მაინცდამაინც დიდი წარმატება ვერ მოიპოვა.**

და მაინც, მოდით და ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ფეხბურთში საქართველოს ნაკრების ან ერთ დროს სახელოვანი თბილისის „დინამოს“ თამაშით იმედგაცრუებულმა ქართველმა ოლიგარქმა გადაწყვიტა რომელიმე მზამზარეული ეროვნული ნაკრების შეძენა და ამით ქართველი გულშემატკივრების გახარება. მაინც რა დაუჯდებოდა ასეთი გუნდის შეძენა ჩვენებურ მდიდარ მეცენატს?

ამ კითხვაზე „transfermrkt“-ის ექსპერტების დახმარებით მომზადებული პასუხი გაზეთში **„არგუმენტი ი ფაქტი“** აღმოვაჩინეთ და თქვენც გთავაზობთ:

| ნაკრებები | | ყველაზე ძვირი ფეხბურთელი მთელ ევროპაში |
|---|---|---|
| იტალია | საშუალო ასაკი 28,8 საერთო ღირებულება მილ. ევრო – 377,5 | ფრანჩესკო ტოტი („რომა“ძ – 37,0 |
| ბრაზილია | საშუალო ასაკი 28,8 საერთო ღირებულება მილ. ევრო 365,2 | რონალდინიო („ბარსელონა“ძ 70,0 |
| ინგლისი | საშუალო ასაკი 26,2 საერთო ღირებულება მილ. ევრო 351,3 | ფრენკ ლემპარდი („ჩელსი“ძ 38,5 |
| საფრანგეთი | საშუალო ასაკი 29,2 საერთო ღირებულება მილ. ევრო 257,9 | ტიერი ანრი („არსენალი“ძ – 50,0 |
| არგენტინა | საშუალო ასაკი 26,7 საერთო ღირებულება მილ. ევრო 226,8 | ესტემბან კამბიასო („ინტერი“ძ 19,0 |
| პორტუგალია | საშუალო ასაკი 28,5 საერთო ღირებულება მილ ევრო 225,1 | კრიშტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი“ძ 25,0 |
| გერმანია | საშუალო ასაკი 26,9 საერთო ღირებულება მილ. ევრო 179,9 | მიხაელ ბალაკი („ჩელსი“ძ 35,0 |
| უკრაინა | საშუალო ასაკი 3698 საერთო ღირებულება მილ. ევრო 100,9 | ანდრეი შევჩენკო („ჩელსი“ძ 51,0. |

**სხვათა შორის: მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე იაფი გუნდი საუდის არაბეთის ნაკრები იყო, რომლის ყველა მოთამაშის საერთო ღირებულება ძლივს აღემატებოდა 10 მილიონ ევროს, ხოლო ეკვადორელი მოთამაშეების ფასი კი, რომლებმაც კინაღამ ჩემპიონატიდან ინგლისელები გამოთიშეს, 18,5 მილიონი ევრო იყო. რაც შეეხება ესპანეთის ნაკრების მოთამაშეებს, რომლებიც შინ მერვედფინალის შემდეგ დაბრუნდნენ, მათი ფასი თითქმის 340 მილიონ ევროს უტოლდებოდა.**

◉ კადრი

# წამის გაელვება



**ამ ფოტოზე, რომელიც მეოთხედი საუკუნის წინათ მაისის შუა რიცხვებში გადაიღო მაშინ „ლელოს“ ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა, აღბეჭდილია ევროპის თასის მფლობელთა დიდი [redacted]გამარჯვებული თბილი[redacted]ს“ სრული შემადგენლო[redacted]რთელები, მწვრთნელები, [redacted]მეები და ყველა ის, ვინც [redacted]ლი შეიტანა თბილისელ[redacted]არჯვებაში. კადრის შუაში, ვიტალი დარასელიასა და გოჩა მაჩაიძეს შორის, დგას ჩვენი სანაქებო მოჭადრაკე ნანა ალექსანდრია, რომელიც სწორედ იმ მომენტში მოვიდა მაშინდელი საქართველოს უმაღლესი საბჭოს შესასვლელთან, დიდი სიყვარულით მოეფერა დინამოელებს და მათთან ერთად სურათის გადაღება ისურვა. პირველ რიგში, რამაზ შენგელიასა და მანუჩარ მაჩაიძის გვერდით დგას „ლელოს“ მაშინდელი რედაქტორი ანზორ ბასილაია, რომელმაც ამ დღეებში შემოგვთავაზა ეს ძვირფასი ფოტორელიკვია. საინტერესოა, რომ ყვე[redacted]თელს ხელთ [redacted] დროინდელი საქართველოს [redacted]ოების უზენაესი ჯილდო [redacted] საბჭოს პრეზიდიუმის [redacted]გელი.**

**დავძენთ, რომ ჩვ[redacted]ნავი გუნდის ასეთი სრუ[redacted]ურათი არ არსებობს.**

◉ ხელბურთი

## მესამე ადგილზე გადაინაცვლეს

**უკვე გაუწყეთ, რომ გდანსკი (პოლონეთიძ სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. B ჯგუფში საქართველოს ნაკრებიც ასპარეზობს.** ჩვენი ბიჭები პირველ-მეორე ტურში პოლონელებს დაუზავდნენ და უნგრეთის ნაკრებთან დამარცხდნენ, მომდევნო ორ შეხვედრაში კი ჩეხებსა და ხორვატებს სძლიეს. ბოლო ტურის წინ საქართველოს ნაკრები 5 ქულით მესამე ადგილზეა. პირველ-მეორე ადგილებს 6-6 ქულით იაპონელები და უნგრელები იყოფენ. საგულისხმოა, რომ ჯგუფის გამარჯვებული ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, ხოლო მეორე ადგილზე გასული გუნდი ბრინჯაოს მედლისთვის ითამაშებს.

ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან: საქართველო – იაპონია, უნგრეთი – ჩეხეთი, პოლონეთი – ხორვატეთი.

◉ სტარტი უცნობი ნაცნობისკენ

# „დისკავერი“, „ნუბლე“ და... რა იქნება ხვალ?

*როგორც უკვე ვიუწყებოდით, მცირე შეფერხების შემდეგ კოსმოსისკენ წარმატებით აიღო სტარტი ამერიკულმა ხომალდმა „დისკავერმა“. დღეს გთავაზობთ კიდევ რამდენიმე საინტერესო დეტალს ამასთან დაკავშირებით.*

***სამშაბათს, ორ საათსა და 38 წუთზე კანავერალის კონცხიდან, კენედის სახელობის კოსმოსური კვლევების ცენტრიდან „დისკავერმა“ სტარტი აიღო.***

***ხომალდის მეთაურია სტივენ ლინდზეი – ეკიპაჟის წევრები: – მარკ კელი, ლიზა ნოვაკი, მიხაილ ფორუში, სტეფანია ვილსონი, პიერ სელერსი და გერმანელი სპეციალისტი თომას რეიტერი.***

წინადღით კი ხომალდის კორპუსზე, საიზოლაციო ფენაში შემჩნეულმა მცირე ბზარმა Nasa-ს ინჟინრები ძლიერ შეაშფოთა, მაგრამ იმავე დღეს აერონავტიკის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციამ სტარტის თანხმობა განაცხადა.

Nasa-ს მენეჯერმა ბილ გერშტენმაიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ცხარე დისკუსია გაიმართა, თუმცა ფრენის მომზადების ჯგუფი დარწმუნებული იყო, რომ ავზის საიზოლაციო მასის პრობლემა სახიფათო არ იქნებოდა.

– არა მგონია, იმაზე მეტ რისკთან გვქონოდა საქმე, ვიდრე ფრენის თავდაპირველი გეგმა ითვალისწინებდა, – თქვა მან.

მეტეოროლოგების ვარაუდით, ფრენისთვის ხელსაყრელი ამინდის ალბათობა სამოც პროცენტზე მეტი იყო.

ხომალდის ყველაზე დიდი ნაწილია საწვავის ტანკი, რომელიც 535.000 გალონ საწვავს იტევს (თითქმის მილიონი ტონა!ძ



ექსტრემალური ტემპერატურების დროს თხევადი წყალბადის შესანახად საჭიროა მინუს 423 გრადუსი ფარანგეიტით, ხოლო თხევადი ჟანგბადის შესანახად – მინუს 297 გრადუსი ფარანგეიტით.

პროგრამის მიხედვით Nasa-მ 2010 წლამდე თექვსმეტი გაფრენა უნდა



Nasa-ს სჭირდება ამ „სამუშაო ცხენის“ შენარჩუნება, ყოველ შემთხვევაში, კიდევ თექვსმეტი თვე მაინც, რათა შესრულდეს სადგურის განვითარების ვალდებულება რუსეთელ, ევროპელ და იაპონელ პარტნიორებთან...

ეს ყველა დროის უდიდესი საერთაშორისო პროექტია, რომლის ღირებულება ჭეშმარიტად ასტრონომიულია – ასი მილიარდი დოლარი!!!

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: შატლზეა დამოკიდებული ცნობილი კოსმოსური ტელესკოპის მომავალი!

ასობით ასტრონომი მოელის, რომ

**ამერიკიდან გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ჯუმბერ ჯიშკარიანი**

უზრუნველყოს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე. ესე იგი, ყოველ წელს ოთხი ეკიპაჟის გაგზავნა.

– ასეთი შემჭიდროებული, მტკიცე გრაფიკი ძალიან მცირე შანსს გიტოვებს, რომ შეცდომა დაუშვა, – განაცხადა სამეფო ასტრონომიული საზოგადოების წევრმა პეტერ ბონდმა (petev Bondძ. იგი ავტორია საინტერესო წიგნისა – „კოსმოსის გმირები: გაგარინიდან ჩელენჯერამდე“.

– ფრენის დაწყების წინ შეფერხებები მუდამ იყო, მაგრამ როდესაც Nasa-ს მენეჯერები გაფრენის დადგენილი ვადების გავლენის ქვეშ არიან, პრობლემა იზრდება, – თქვა მან.

მისი აზრით, ყოველწლიურად სამი-ოთხი ხომალდის კოსმოსში გაგზავნა რეალურია, თუ უსაფრთხოების პრობლემები არ იქნება.

„Discovevy“-ს გაშვება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ეს რუსეთელ, ევროპელ და იაპონელ პარტნიორებთან გაფორმებული ერთობლივი პროექტის განახლებას ნიშნავს.

– მიწაზე იძულებითმა ყოფნამ საერთაშორისო კოსმოსური სადგურის გამოყენება შეაფერხა, – განაცხადა ნორმან ტაგარდმა, რომელიც ხუთჯერ იყო კოსმოსში, ხოლო რუსულ სადგურ „Мир“-ზე ხუთი თვე დაჰყო.

„დისკავერის“ წარმატებული ფრენის შემდეგ შესაძლებელი გახდება ტელესკოპ „ნუბლეს“ შეკეთება.

1990 წელს „დისკავერმა“ ორბიტაზე მიიტანა ტელესკოპი, რომლის ღირებულება მილიარდნახევარი დოლარია! ამ ხნის განმავლობაში ოთხჯერ მოხერხდა მისი მომსახურება. უკანასკნელად ეს იყო 2002 წელს. ტელესკოპი რომ სამუშაო მდგომარეობაში იყოს, აუცილებელია პერიოდულად შეიცვალოს ბატარეები, გიროსკოპი, ელექტრონული ბოქსები, კამერები და სხვა.

სამეცნიერო საზოგადოება ამ ტელესკოპს ეროვნულ სიმდიდრედ მიიჩნევს, მაგრამ ამჟამად იგი სავალალო მდგომარეობაშია. შვიდი წლის წინანდელი გიროსკოპი გაცვდა. ამიტომ მისი შესაძლებლობები შეზღუდულია.

– ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ბატარეების ახალი კომპლექტი და გიროსკოპი, – განაცხადა ბალტიმორის სამეცნიერო ინსტიტუტის წარმომადგენელმა ჩარლ ბანდიმ; ვიმედოვნებთ, რომ „შატლის“ მისია წარმატებულად გაგრძელდება გიროსკოპისა და ბატარეების შეცვლის შემდეგ.

◉ ესეც ასე!

# იქმნება ავიახაზი მწეველებისთვის

**გერმანელი მეწარმე აპირებს, დააფუძნოს ახალი ავიახაზი, რომლის თვითმფრინავებზეც მოწევა დაშვებული იქნება**

**ბოლო დროს თამბაქოს წევის მავნე შედეგებთან გლობალური ბრძოლის ჩარჩოებში ფრენისას „გაბოლების“ საშუალება პრაქტიკულად ყველა ავიახაზის მგზავრებს მოესპო. მაგრამ ყოფილ ბირჟის ბროკერს ალექსანდრ შოპმანს უნდა იმ კარგ ძველ დროს დაუბრუნდეს, როდესაც ფრენისას მოწევა აკრძალული არ იყო. შოპმანი ცდილობს, გამონახოს სახსრები ახალი ავიაკომპანიის შესაქმნელად, რომელსაც ერქმევა „Smintair-Smoker's International Air ways“ („საერთაშორისო ავიახაზები მწეველებისათვის“ძ. შოპმანს განზრახული აქვს, მოაწყოს გადაფრენები მაშრუტით დიუსელდორფი – ტოკიო იჯარით აღებულ ორი თვითმფრინავით Boeing 747.**

თუ შოპმანი ინვესტორებს იშოვის, ახალი ავიაკომპანია უკვე 2007 წლის ზაფხულში შეძლებს მუშაობის დაწყებას. „Smintair-ის რეისებზე იაფი ბილეთები არ იქნება, სავარაუდოდ ამ თვითმფრინავებს ეკონომკლასი არ ექნებათ. ჩანაფიქრით, ახალი ავიაკომპანიის ძირითადი კლიენტები უნდა გახდნენ ბიზნესმენები, რომლებიც მზად არიან, თვითმფრინავის ბორტზე „გაბოლების“ სიამოვნებისთვის და ლუქსის სტილის მომსახურებისთვის ჯიბეზე ხელი გაიკრან.

„ბოინგში“ ჩვეულებრივი 416 ადგილის ნაცვლად სულ 138 ადგილია, „ვისაც თამბაქოს კვამლზე ალერგია აქვს, გთხოვთ, „ბილეთებისთვის ნუ მოგვმართავთ“, – ნათქვამია ავიაკომპანიის საიტზე.



შოპმანის აზრით, თვითმფრინავების ბორტზე მოწევის ტოტალური აკრძალვა გამოწვეულია ავიაკომპანიების სურვილით, ჰაერის კონდიციონერების სისტემების ხარჯზე ეკონომია გასწიონ. მეწარმე პირობას დებს, რომ აღადგენს თვითმფრინავში სუფთა ჰაერის მიწოდების სისტემას. ავიაგადაზიდვებზე ლიცენზიის მისაღებად Smintair-ს სჭირდება არა ნაკლებ 40 მლნ. ევრო.

◉ ყოფილნი

# და ჰჩეს ილი მიხეილი




**სსრ კავშირის პირველმა პრეზიდენტმა ოპოზიციური გაზეთი შეისყიდა, ოღონდ ამხანაგის, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ალექსანდრე ლებედევის დაფინანსებით.**

„Единая Россия“-ს ამ წევრმა გაზეთის აქტივების 39 პროცენტი შეიძინა, მიხეილ გორბაჩოვს კი 10 პროცენტი ხვდა. პირველი იანვრიდან (ცხადია, 2007 წლისაძ გამოცემა ახალი ფორმატითა და „ახალი შესაძლებლობებით“ წარმოდგება.

ექს-პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ გაზეთის გამოყენებას არ აპირებს საკუთარი კორპორაციული საჭიროებებისთვის.... სამაგიეროდ, აქვს სურვილი „უფრო დამაჯერებელი“ გახადოს გაზეთი – დარჩება კი ამასთან ერთად ოპოზიციურიც?....

◉ ეს იცოდით?

# გიგანტები და ლილიპუტები

***სად ცხოვრობენ ყველაზე ტანმაღალი ადამიანები? ვერავინ წარმოიდგენს, რომ ჩინეთში. გინესის რეკორდების წიგნში ყველაზე მეტი ტანმაღალი ჩინელია შეყვანილი. ერთ-ერთ მათგანზე, 34 წლის ქალბატონ იაო დეფენზე ჩვენი გაზეთის საშუალებითაც გამცნეთ. მისი სიმაღლე 236 სანტიმეტრია. სულ ახლახან იგი ამერიკულმა პროდიუსერმა მიიწვია ცირკში. იაოს, რომელიც სიღატაკეში ცხოვრობდა, საარსებო სახსრები გამოუჩნდა. გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, 2005 წელს მსოფლიოს ყველაზე მაღალ მამაკაცად ითვლებოდა 55 წლის ჩინელი სი შუნი, რომლის სიმაღლე 236,1 სანტიმეტრი იყო და იგი სულ რაღაც 1 სანტიმეტრით მაღალი იყო ტუნისელ რადუან შარბიბზე. სამიოდე წლის წინათ ალჟირის საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომ მათი თანამემამულე მუნირე ფურარე 244 სმ. სიმაღლისაა. მას რატომღაც არ მიუმართავს არც გინესის რეკორდების წიგნისთვის და არც სხვა სააგენტოებისთვის. ფურარე ლუკმა-პურს ატრაქციონებზე და ბაზრობებზე გამოსვლით შოულობს.***

დედამიწის ზურგზე საერთოდ ყველაზე მაღალი ადამიანები – ტუტსები აფრიკაში – რუანდასა და ბურუნდში ცხოვრობენ. ტუტსის ტომელების საშუალო სიმაღლე 183 სანტიმეტრია. ყველაზე დაბლები კი მათ მეზობელ – ზაირში. აქ მცხოვრები პიგმეები მბუტსის ტომიდან 132 სმ-ს არ აღემატებიან. ქალების სიმაღლე საშუალოდ 124 სანტიმეტრია.

ახლა ლილიპუტებზეც გადავიდეთ. ჩვენს პლანეტაზე ყველაზე დაბალ ადამიანად ითვლება ინდოელი გულ მუჰამედი, რომლის სიმაღლეც 57 სანტიმეტრია, რუსეთში კი ცირკის ტანმოვარჯიშე ალექსეი ზალატინუ (80 სმ.ძ.

როგორც ცნობილია, ციდა ადამიანები უმეტესწილად ცირკში მოღვაწეობენ, მაგრამ ესპანეთის კორიდაზე გამოჩნდნენ ლილიპუტი ტორეადორები. ხუთი ლილიპუტისაგან შემდგარი ჯგუფი მსოფლიოში ერთადერთია. ისინი 200-კილოგრამიან გიგანტურ ხარებს ამარცხებენ.





სამაგიეროდ ამერიკელმა სენდი ალენმა, რომლის სიმაღლეცაა 231 სმ. სწორედ გინესის რეკორდების წიგნის საშუალებით შეიქმნა კარიერა. სენდი 1955 წელსაა დაბადებული. მას ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა თავისი სიმაღლე. ბოლოს გაბედა და 1974 წელს რეკორდების წიგნს თავისი ფოტო და მონაცემები გაუგზავნა. ერთი წლის შემდეგ ცნობილმა რეჟისორმა ფედერიკო ფელინიმ, რომელიც ცნობილი იყო ექსტრავაგანტური აღნაგობისა და გამომეტყველების მსახიობების შერჩევით, სენდი თავის ფილმ „კაზანოვაში“ გადაიღო. გოგონა პოპულარული გახდა. საქმროც გამოჩნდა, რომელიც მასზე 2 სანტიმეტრით დაბალია და ბედნიერი ოჯახიც შექმნეს.

თუ გადავხედავთ ოფიციალურ მონაცემებს, ჯერჯერობით მსოფლიოში ყველაზე მაღალ ადამიანად რჩება 1918 წელს დაბადებული ამერიკელი რობერტ პერშინგ უოლდი, რომლის სიმაღლეც 272 სმ. იყო. იგი 22 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. იგი 47 სმ. სიგრძის ფეხსაცმელს იცმევდა და 222 კილოს იწონიდა. როგორც ცნობილია, ადამიანები სიმაღლეში დაახლოებით 25 წლამდე იზრდებიან. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არა ტრაგიკული შემთხვევა, რა სიმაღლეს მიაღწევდა უოლდი.

ხიდი

# გალინა ვიშნევსკაია გვპირდება...

**— მე არაერთხელ ვყოფილვარ საქართველოში და ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებ თქვენს მუსიკალურ ხალხს, გულთბილობას და სტუმართმოყვარეობას. ამჯერად მაქვს ბედნიერება თბილისში წარმოვადგინო ჩემი აღსაზრდელები და მწამს, რომ ჩვენც და შესანიშნავ ქართულ აუდიტორიასაც ელის საუკეთესო შთაბეჭდილებები, — ამბობს ჩვენი დროის ერთ-ერთი ჩინებული რუსი მომღერალი გალინა ვიშნევსკაია, რომელიც ქართველ საზოგადოებრიობას სექტემბრის პირველ ნახევარში საოპერო ზეიმს ჰპირდება. ეს იქნება მისი საოპერო ცენტრის გასტროლი ორი სპექტაკლით.**



ამ ცენტრის შესახებ ჩვენი საზოგადოებრიობა ნაკლებად არის ინფორმირებული. რას წარმოადგენს იგი?

როგორც იქნა აიხდინა ოცნება გამოჩენილმა მომღერალმა გალინა ვიშნევსკაიამ, — მართავდა რა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მასტერკლასებს, — ხელოვნების სამსახურში თავისი ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილებით დახმარებოდა დამწყებ მსახიობებს დიდ გზაზე გასვლაში. ამისთვის საჭირო იყო სპეციალური მეთოდი. აი ამ მიზნით დააარსა მომღერალმა 2002 წელს მოსკოვში საოპერო ცენტრი — როგორც საფეხური კონსერვატორიასა და თეატრს შორის და რომელიც ძალიან ესაჭიროება მსოფლიოს ყველა საოპერო თეატრს.

დღეს ცენტრში სწავლობენ უმაღლესი პროფესიული მუსიკალური განათლების მქონე ახალგაზრდები მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან. აქ სწავლის 2 წლის მანძილზე ისინი ამზადებენ ოთხ ან მეტ წამყვან პარტიას საოპერო რეპერტუარიდან გამოჩენილი ხელოვანების ხელმძღვანელობით.

მიუხედავად არსებობის მცირე დროისა, გალინა ვიშნევსკაიას საოპერო ცენტრმა გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა მოსკოვის კულტურულ ცხოვრებაში. ამ პერიოდში განხორციელდა ექვსი საოპერო დადგმა, გაიმართა მრავალრიცხოვანი კამერული კონცერტები, რომელთაც მსმენელებისა და კრიტიკოსების მაღალი შეფასება დაიმსახურეს. საგულისხმოა, რომ ცენტრში მოღვაწეობენ ჩვენი თანამემამულენი: მომღერალი ბადრი მაისურაძე, (პროფესორის რანგშიძ, მუსიკოსები — ელისო ჭირაქაძე (ცენტრის დირექტორის მოადგილეძ და ნატო ელიავა, ეს უკანასკნელი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს.

ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივი აქტიურ საგასტროლო მოღვაწეობასაც მისდევს. მათი ხელოვნება გაიცნეს ბევრ ქვეყანაში. გარდა ამისა ცენტრი თანამშრომლობს ისეთ მსხვილ ინსტიტუტებთან, როგორიც არის არტურო ტოსკანინის ფონდი, პარიზის კონსერვატორია, სამხრეთ აფრიკის ხელოვნების უმაღლესი სკოლა, კურტისის მუსიკალური ინსტიტუტი ფილადელფიაში... მისი მუშაობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია საერთაშორისო პროექტების ორგანიზება, რომელთა შორის აღსანიშნავია რუსული კულტურის ფესტივალი იტალიაში, იტალიური სეზონი რუსეთში, შოსტაკოვიჩის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალი და სხვ...

საოპერო ცენტრის უახლოეს შემოქმედებით გეგმებშია ბიზეს „კარმენისა“ და ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინის“ დადგმები, გასტროლები ნოვგოროდში, სანკტ-პეტერბურგში, ბაქოსა და თბილისში. აგრეთვე გალინა ვიშნევსკაიას ოპერის არტისტთა პირველი საერთაშორისო კონკურსის გამართვა, რომელიც მიეძღვნება გამოჩენილი მომღერლის იუბილეს.

**დიახ, შემოდგომაზე გალინა ვიშნევსკაიას 80 წელი უსრულდება და ამ იუბილეს ეხმიანება თბილისური გასტროლიც. 13 და 15 სექტემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გალინა ვიშნევსკაიას საოპერო ცენტრი წარმოადგენს ვერდის — „რიგოლეტოს“ და რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლეს“. ამისთვის უკვე ემზადება ჩვენი თეატრის სიმფონიური ორკესტრი, სპექტაკლებს უდირიჟორებს იაროსლავ ტკალენკო.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

არქეოლოგია

# „აღმოაჩინეს“... კოპერნიკი

***ნაპოვნია დიდი მოაზროვნის, ფილოსოფისის, ეკონომისტის, ექიმისა და ღვდელთმსახურის, ლეგენდარული კოპერნიკის საფლავი. როგორც ცნობილია ნიკოლაი კოპერნიკი დიდი ასტრონომი და მათემატიკოსი 1543 წელს გარდაიცვალა და იგი ქალაქის ფრომბორკის კათედრალურ ტაძარში დაკრძალეს, სადაც თავად მსახურებდა. ქალაქი, რომელიც ბალტიის ზღვის სანაპიროზე, ვარშავიდან ჩრდილოეთით 290 კილომეტრზე მდებარეობს შვედებთან ომის დროს (1617-1629ძ წლებში ნაწილობრივ დაინგრა. სრულიად განადგურდა ტაძარიც, სადაც ნიკოლაი კოპერნიკი იყო დაკრძალული.***

*შარშან არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის ეჟი გასოვსკის ხელმძღვანელობით*



*ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე და თვით ტაძრის შიგნითაც დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. მეცნიერები უახლესი ტექნიკის საშუალებით ამოწმებდნენ ნატაძრალის ყოველ სანტიმეტრს, 16-დან ერთ-ერთი საკურთხევლის ქვეშ ადამიანის თავის ქალა აღმოაჩინეს. პოლონელმა ანთროპოლოგებმა ქალა აღადგინეს, შეადარეს იგი დიდი მეცნიერის ერთადერთ პორტრეტს, რომელიც*



*XVI საუკუნეშია დახატული და ტორუნის მუზეუმში ინახებოდა და დაადგინეს, რომ თავის ქალა დიდ მეცნიერს ეკუთვნოდა. ამ მტკიცებას ორი ფაქტორიც ასაბუთებდა: ჯერ ერთი, ცნობილია, რომ კოპერნიკს ბავშვობისას ცხვირი გაუტყდა და მთელი ცხოვრება ცხვირის ძვალი დაზიანებული ჰქონდა. აღმოჩენილ ქალას სწორედ ამგვარი ნიშნები აღენიშნებოდა. მეორეც — მეცნიერი 70 წლის ასაკში გარდაიცვალა, რაც იმ დროისათვის, როდესაც სიცოცხლის საშუალო ასაკი 21-25 წელი იყო, ხანდაზმულად ითვლებოდა. ასაკი თავის ქალის შემოწმებაც დაადასტურა.*

*ვარშავის პოლიციის ექსპერტ-კრიმინალისტებმა აღადგინეს კოპერნიკის სახე. ეს პორტრეტი ძალზე წააგავს ტორუნის მუზეუმში დაცულ ნახატს. „კოპერნიკი პოლონელთა სიამაყეა. დიდი ასტრონომი ჩვენი თანამემამულეა და მისი ნეშთის აღმოჩენა დიდი ბედნიერებაა“ — აცხადებს ეჟი გასოვსკი. მაგრამ... მეცნიერები თვლიან, რომ კოპერნიკი არ იყო პოლონელი. მისი გვარი წარმოსდგება სილეზიის სოფლის კიოპერნიგის სახელწოდებიდან, თავად კოპერნიკი პრუსიის სამეფოს ქალაქ ტორინში დაიბადა და ცხოვრების დიდი ნაწილიც გერმანიაში გაატარა. მათი მტკიცებით კოპერნიკის დედა გერმანელი იყო და თავად დიდ მეცნიერს ერთი სიტყვაც არ დაუწერია პოლონურად — იგი ლათინურად წერდა. ჯერჯერობით დავჯერდეთ იმას, რომ კოპერნიკი ევროპელი იყო, ხოლო გერმანელებმა და პოლონელებმა თავად გაარკვიონ მისი ეროვნება.*

მეუღლე ზოია ქაჯაია, შვილი კახა ელბაქიძე, რძალი მეგი მუქერია, შვილიშვილები ლუკა, სანდრო, ელენე, ძმები ვოვა, გურამ ელბაქიძეები ოჯახებით, მამიდა ნინა ელბაქიძე, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ ივანეს ძე ელბაქიძე

პანაშვიდი 7, 8 VII, 17 სთ. დაკრძალვა 9 VII, 14 სთ. მისამართი: დიღმის მასივი, მე-5 კვ. მე-9 კურპუსი.

---

დალი ჩიქოვანი, არჩილ ბახტაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გია ჩიქოვანი

გამოსვენება 8 VII, 15 სთ. ვაკის ეკლესიიდან.

---

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, პროფესორ

მალხაზ ყიფშიძის

გარდაცვალებას.

---

## მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი კომისია აცხადებს აუქციონს

მცხეთის რაიონის ყოფილი დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 2.1 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721408295ძ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე: საწყისი გასაყიდი ფასია 1 კვ. მ. — 10 (ათიძ ლარი, სულ 210000 (ორასათიათასიძ ლარის ოდენობით.

აუქციონის „ბ“ შეადგენს გასაყიდი ფასის 10 პროცენტს. მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილი უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები. (სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი 38700, 90 (ოცდათვრამეტიათას-შვიდასი ლარი და 90 თეთრიძ ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის 12 საათზე, აუქციონი ჩატარდება განცხადების მიღებისათვის განსაზღვრული ვადის დამთავრების მეორე დღის 11 საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ნაკვეთს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბ“-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბ“-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის რაიონის გამგეობა ანგ. № 33030001, სახალხო ბანკის კოდი 220101415, საიდენტიფიკაციო კოდი №236033234. კომისიის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73, ტელ. 8(27-32ძ 27-27: 893 45-14-44, მცხეთის რაიონის გამგეობა.

**„არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი რაიონული კომისია“.**

---

## განცხადება

*სააქციო საზოგადოება „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია ატარებს აუქციონს საზოგადოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გაყიდვის მიზნით:*

*აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება 2-სართულიანი კაპიტალური შენობა სოფ. გომარეთში, საწყისი ფასით 3000 ლარი; 2-სართულიანი შენობა სოფ. ოძისში, საწყისი ფასით 2100 ლარი; წყლის ბეტონის 2 ცალი რეზერვუარი სატუმბ სადგურთან ერთად საწყისი ფასი 4500 ლარი და მასზე დამაგრებული 1960 კვ. მ მიწის ნაკვეთთან ღირებულებით 42460 ლარი ერთად. აუქციონზე ვაჭრობისას დაცული უნდა იქნას ფასის მატების ბიჯი ფასის 5 პროცენტის ოდენობით.*

*სარეალიზაციოდ გამოტანილი შენობა-ნაგებობები აღჭურვილია მათი განუყოფელი დანადგარებით და სისტემებით.*

*აუქციონი ჩატარდება მიმდინარე წლის 10 ივლისს დღის 12 საათზე, სს „ელვას“ ტერიტორიაზე, მისამართი ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №5.*

*აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში წარადგენს: განცხადებას; „ბე“-ს ობიექტის ღირებულების 10 პროცენტის გადახდის ქვითარს; პირადობის დამადასტურებელ მოწმობას; მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით.*

*აუქციონზე მონაწილეთა განცხადებები მიიღება ყოველდღე 11 საათიდან 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში მიმდინარე წლის 10 ივლისამდე.*

*თუ აუქციონის მონაწილე არ გამოცხადდა აუქციონზე, მას „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა არ უბრუნდება.*

*ობიექტის გაცნობა და დამატებითი ცნობების მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.*

*სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია*

---

## მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი კომისია აცხადებს აუქციონს

მცხეთის რაიონის დიღმის ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის სახელობის ხეივნის, მცხეთიდან ქ. თბილისში მიმავალი ავტომაგისტრალის გასწვრივ დასავლეთით და ყოფილი საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სამაკეტო ბაზის აღმოსავლეთით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 452 $მ^2$ (მიწის სარეგისტრაციო №721434410ძ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე საწყისი გასაყიდი ფასია: 1 $მ^2$ — 100 (ასიძ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

აუქციონის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ფასის 10 პროცენტს. მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილი უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის 12 საათზე, აუქციონი ჩატარდება განცხადების მიღებისათვის განსაზღვრული ვადის დამთავრების მეორე დღის 11 საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ნაკვეთს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის რაიონის გამგეობა ანგ. № 33030001, სახალხო ბანკის კოდი 220101415, საიდენტიფიკაციო კოდი №236033234. კომისიის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73, ტელ. 8(27-32ძ 27-27: 893 45-14-44, მცხეთის რაიონის გამგეობა.

**„არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი რაიონული კომისია“.**

## გვემრავლოს!

# პატარძეულში ბიჭი დაიბადა, დუზაგრამაში — გოგო!..

– საგარეჯოს რაიონი სოფელ პატარძეულის სამშობიარო განყოფილებაში (რომლის გამგეა მამუკა ხოშტარიაძე) მშობიარეთა მისაღებად ნორმალური პირობებია შექმნილი. წლეულს, ექვს თვეში აქ 60-ზე მეტმა ქალმა იმშობიარა. წუხელ პატარძეულელ ნინო და გიორგი ლაფერიშვილებს მეორე შვილი გიორგი შეეძინათ. ახალშობილი ჯანმრთელი ბავშვია, შინ მის მისვლას კი 4 წლის დაიკო მარიამი ელოდება. ახალშობილის დედას ექიმ-გინეკოლოგ ტასიკო ცხვარიაშვილთან ერთად მზრუნველობას არ აკლებს დედამთილი მარიამი. ამავე დღეს



იმშობიარა სოფელ დუზაგრამელმა გულასარ ისმაილოვამ, მას გოგონა შეეძინა.

დუზაგრამაში აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. მათ ქართული კარგად იციან, ქართველებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვთ. გულასარის მეუღლე ბაშირ სადიკოვიც ცოლ-შვილის სანახავად იყო მოსული, სულ „იახში კიზი" (კარგი გოგოძ მყავსო, გაიძახოდა.

ვულოცავთ პატარძეულელ ლაფერიშვილებს ვაჟიშვილის და დუზაგრამელ სადიკოვების ოჯახებს გოგონას შეძენას, ორივენი ქვეყნის ღირსეულ შვილებად გაზრდილიყვნენ.

ინფორმაცია საგარეჯოდან მოგვაწოდა ჩვენმა კორესპონდენტმა ლეილა არჩემაშვილმა.

ჩვენი ტელეფონია: 98-96-33.

## შტრიხკოდი



# ოფსაიდში?

*ერთი წლით უარი ვთქვათ ლეგიონერების მომსახურებაზე სპორტის ბურთიან სახეობებში – ასეთი წინადადება გამოთქვა ვიაჩესლავ ფეტისოვმა, პროფესიული ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელმა, რაც თავისთავად ნიშნავს იმავე ვადით რუსეთის რეგულარული ჩემპიონატების გაყინვას. „უცხოელ სპორტსმენებს რუსეთიდან ყოველწლიურად გააქვთ დაახლოებით 600 მილიონი დოლარი, ამ თანხებით კი შესაძლებელი იქნება ფეხბურთის, ჰოკეის, კალათბურთის და ფრენბურთის მოედნების აშენება მთელი ქვეყნის მასშტაბით".*

*თუმცა, ფეტისოვს არაფერი უთქვამს იმ მექანიზმზე, რომლის წყალობითაც კერძო ინვესტორთა ფული სპორტულ მოედნებად და არენებად გადაიქცევა. თვით სააგენტოში კი ასეთი განმარტება მოგვცეს: ფეტისოვის სიტყვები არის არა სამოქმედო პროგრამა, არამედ ინფორმაცია განსჯისთვის, რომელიც მან მიაწოდა რუსეთის ფეხბურთის, ჰოკეის, კალათბურთის და სხვა ფედერაციების ხელმძღვანელებს. მაგრამ, მაგალითად, ვიტალი მუტკომ – რუსეთის ფეხბურთის კავშირის წარმომადგენელმა – უარი თქვა ამ წინადადების განხილვაზე და ფეტისოვის განცხადებას დაუსაბუთებელი უწოდა.*

## ლარის კურსი

**8 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2506 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7721 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2555 ლარი |

# NON-STOP

## რა აინტერესებთ რუსებს თავიანთი პრეზიდენტისგან?

**ინტერნეტში გახსნილია სპეციალური საიტი, სადაც რუსეთის მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ, ნებისმიერ თემაზე კითხვები დაუსვან თავიანთ პრეზიდენტს. ორი დღის განმავლობაში ყველაზე საინტერესოდ რუსებმა მიიჩნიეს:**

7957 ხმა – რატომ აკოცა პრეზიდენტმა კრემლის მოედანზე შეკრებილი ხალხის ჯგუფიდან პატარა ბიჭუნას... მუცელზე?

4111 ხმა – ლეგალიზებულ იქნება თუ არა რუსეთში მარიხუანა? იყენებდით თუ არა ნარკოტიკებს?

2257 ხმა – როდის მოელება ბოლო რუსების დისკრიმინაციას?

2005 ხმა – არ დადგა დრო, დღის საკითხად დავაყენოთ ყირიმის რუსეთთან შემოერთება? როგორია რუსეთის შემდგომი მოქმედებები ნახევარკუნძულთან დაკავშირებით?

1883 ხმა – როდის აიკრძალება სამხედრო სამსახურში სტუდენტების გაწვევა? არა სჯობს ჯარში წასვლის ნაცვლად ცოდნა ავიმაღლოთ?

## როგორ ააყვავილებენ რუსეთის დროშას?

**სანკტ-პეტერბურგის ადმინისტრაციამ „დიდი რვეულის" ქვეყნების სამიტისათვის უიშვიათესი სახეობის მილიონ 700 ათასი ყვავილი შეუკვეთა.**

გარდა ამისა ჩრდილოეთის დედაქალაქის მოსკოვის რაიონში, კერძოდ, გამარჯვების მოედანზე რუსეთის სამფეროვან უზარმაზარ დროშას გააკეთებენ. უმშვენიერესი ალერატუმები და ცინერარიუმები ნახევარი წელიწადია სპეციალურად ორანჟერეებში გამოჰყავთ.

## მოდა

# რა დაგვიტოვა მეოცე საუკუნის მოდამ

**XX საუკუნეში მოდამ დიდი ცვლილებები განიცადა. საერთოდ, როცა მოდაზე ვსაუბრობთ, უპირველესად პირველი მსოფლიო ომი უნდა გავიხსენოთ. სწორედ ამ ომის შედეგად მოიპოვეს ქალებმა სრულფასოვანი ცხოვრების უფლება. მაგალითად, მოდის კურატორი ვალერი სტილი აღნიშნავს, რომ 1900 და 1920 წლებში კორსეტების ხანა დავიწყებას მიეცა და ქალის მთავარი ატრიბუტი ბიუსტჰალტერი გახდა. 20-იანი წლების დასაწყისში ქალის გარდეროებში შარვლის მოდელებიც გამოჩნდა, მის ფუძემდებლად კი შეიძლება ცნობილი მემოდელე ჟან დრიუსედოუ მივიჩნიოთ.**




ათასწლეულის დასაწყისში გამოჩნდა კოკო შანელი, რომელმაც იმ დროისთვის წარმოუდგენელი მოდელი – საბანაო კოსტიუმი შექმნა. მანვე წაშალა ერთგვარი ზღვარი მდიდრებისა და ღარიბების სამოსს შორის. მისი სახელის ხსენებისას ყველას თვალწინ წარმოუდგება ცნობილი „პატარა შავი კაბა".

30-იან წლებში მოდის ბედი ჰოლივუდის კინოვარსკვლავებმა (კეტრინ ჰეპბერნი, მარლენ დიტრიხიძ გადაწყვიტეს, მათ შესანიშნავად მოიხდინეს მამაკაცის სამოსი.

40-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, ქალები იძულებულნი იყვნენ, დაეკავებინათ მამაკაცის ადგილი და მათი სამუშაო შეესრულებინათ. სწორედ ეს ფაქტი აისახა იმდროინდელ მოდაში – მაშინ გამოჩნდა პირველი კომბინიზონი.

1947 წელს მსოფლიო მოდაში „კრისტიან დიორის" სახელი გამობრწყინდა, მისთვის მთავარი იყო ქალისთვის გრაციოზულობა მიენიჭებინა. იგი პირველი დიზაინერია, რომელმაც ქალის მოდელებთან ერთად მამაკაცის ჩაცმულობაზეც იზრუნა.

50-იანი წლებიდან მოდასთან ერთად, ქალის ფიზიკური ფორმებიც შეიცვალა – გამოჩნდა მერილინ მონრო, იგი ლუსილ ბოლის ქვედაკაბების მუდმივი მომხმარებელი იყო. ამავე პერიოდში დაიწყო სპორტული ტანსაცმლის წარმოებაც, რომელსაც დიზაინერი კლერ მაკკარდელი თაოსნობდა.

60-იანი წლებიდან ჟაკლინ კენედის „ჩაის" კოსტიუმმა და კოლოფის ფორმის შლაპებმა 50-იანი წლების ქალის ვნებიანი სხეულის (მერილინ მონროსძ ტრადიცია შეცვალა და მოდაში სწორი, გრძელი სილუეტი შემოვიდა.

ქვედაკაბები სულ უფრო და უფრო დამოკლდა. გამოჩნდა, აგრეთვე, იმ დროისთვის უცხო – ქალის გამჭვირვალე, მაღალყელიანი წინდები. ამავე დროს, პიერ კარდენმა თავისი პირველი მოდების ჩვენება მოაწყო, ეს ყველაფერი ოკეანის გადაღმა ხდებოდა. ევროპაში კი, კერძოდ ინგლისში ბიტლომანია მეფობდა, რომელმაც ბუნებრივია, მოდაზეც იქონია გავლენა – ახალგაზრდებმა თმა და კაბები მაქსიმალურად დაიმოკლეს.







60-იანი წლებში დაიწყო ფემინისტური მოძრაობა – ქალებმა უარი განაცხადეს ტრადიციულ ელემენტებზე. 70-იანი წლების დასაწყისში კი გამოჩნდნენ ჰიპები, ამ პერიოდში საბოლოო აღიარება ჯინსმა მოიპოვა, რაც ჰიპების, შემდეგ კი ახალგაზრდების მთავარი და განუყრელი სამოსი გახდა.

80-იან წლებში გამობრწყინდნენ დიზაინერები: კელვინ კლაინი, რალფ ლორენი და დონა კარანი. მათი წყალობით დღესაც მოდურია ქვედაკაბები სახელწოდებით „ტულპანი".

დაბოლოს, 90-იან წლებში მოდის ისტორიამ მნიშვნელოვანი პერიოდი დაასრულა და ახალი ათასწლეულის შესახვედრად მოემზადა, მთავარი აქცენტი საქმიან სამოსზე გადავიდა. ამ წლების მოდამ ყველა გასული ათწლეულის მოდის მიღწევები და ელემენტები გამოიყენა. მაშინდელი დიზაინერების სამოდელო სახლები (დონა კარანი, კოკო შანელი, კეპი, პიერ კარდენი და სხვებიძ მსოფლიო მოდის სამყაროში დღესაც ფურორს ახდენენ.

**ლელა დონაძე**

**სურათებზე: პიერ კარდენისა და დონა კარანის მოდელები.**

## დარია თუ ავდარია

# ამინდი 8 ივლისს

**დასავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+22^0$ – $+29^0$, ღამით $+15^0$ – $+19^0$.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+22^0$ – $+28^0$, ღამით $+15^0$ – $+20^0$.

**თბილისში –** მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით $+20^0$ დღისით $+28^0$.

**ბათუმი** – (წვიმა) ღ. $+19^0$, დ. $+23^0$; **სოხუმი** – (წვიმა) ღ. $+19^0$, დ. $+24^0$; **ქუთაისი** – (წვიმა) ღ. $+19^0$, დ. $+21^0$, **ოზურგეთი** – ღ. $+17^0$, დ. $+25^0$, **ზესტაფონი** – ღ. $+18^0$, დ. $+26^0$; **რუსთავი** – ღ. $+20^0$, დ. $+28^0$, **ფოთი** – (წვიმა) ღ. $+20^0$, დ. $+27^0$; **მესტია** – ღ. $+12^0$, დ. $+19^0$; **სტეფანწმინდა** – ღ. $+12^0$, დ. $+16^0$; **თელავი** – (წვიმა) ღ. $+19^0$, დ. $+29^0$; **გორი** – (წვიმა) ღ. $+18^0$, დ. $+27^0$; **ახალციხე** – (წვიმა) ღ. $+15^0$ დ. $+24^0$;



**ბორჯომი** – (წვიმა) ღ. $+15^0$, დ. $+21^0$; **ცხინვალი** – ღ. $+12^0$, დ. $+25^0$; **სამტრედია** – (წვიმა) ღ. $+19^0$, დ. $+26^0$; **ზუგდიდი** – (წვიმა) ღ. $+17^0$, დ. $+23^0$; **ჭიათურა –** (წვიმა) ღ. $+15^0$, დ. $+23^0$.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.